საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 095 (12 470) 23 აპრილი ოთხშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## ივანკოვიჩი ფულისთვის კი არა, პრესტიჟისთვის უნდა ჩამოვიდეს

ინტერვიუ პეტარ სეგრტთან 3

## მანჩესტერი შეტევებით უნდა დავბომბოთ

ინტერვიუ იოჰან კრუიფთან 7



## რას ფიქრობს გუცაევი ახალკაცის შეთავაზებაზე



2

# თქვენ ის ხალხი არ ხართ?..

## ვინ უფრო მაგარი აზორტმახერია?





თემა განსჯისთვის 2

## რიისემ ლივერპულს ყელი გამოჭრა



ჩემპიონთა ლიგა 6

## ესპანეთთან ვერ გავისეირნებთ!



საქართველო-ესპანეთი 11

ტიმ ლეინი გუშინდელ ვარჯიშზე, უკანა პლანზე დავით ქუბრიაშვილი

ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხის პასუხი

# გუცაევი ალმასკომის წევრობაზე უარსაა

## ... და ბრძოლას აგრძელებს



ვლადიმერ გუცაევი

გუშინწინ, ჭადრაკის სასახლეში შეკრებილმა საფეხბურთო ოპოზიციამ **ნოდარ ახალკაცისა** და ალმასკომის სრულ შემადგენლობით გადადგომა და ფეხბურთის ფედერაციის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა მოითხოვა. პროტესტის ნიშნად, ბოლნისის "სიონის" ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა **დავით სილაგაძემ** ალმასკომი პროტესტის ნიშნად დატოვა. ფედერაციის თავკაცმა იმავე დღესვე, "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა - თუ სილაგაძე ფედერაციის გენერალურ სამდივნოში, ალმასკომი დატოვების თაობაზე ოფიციალურად შეიტანს განცხადებას, მაშინ ალმასკომში ვაკანსია გაჩნდება და მოხარული ვიქნები თუ **მიხეილ ყაველაშვილი, ლევან ყიფიანი** ან **ვლადიმერ გუცაევი** შესაბამის პროცედურას გაივლის და ალმასკომში ვიხილავთო.

ბუნებრივია, საინტერესოა ამ სამეულის აზრი შეთავაზებაზე. სწორედ საამისოდ იყო, გუშინ ვოვა გუცაევს რომ დავუკავშირდით.

*"მომიტევეთ, მაგრამ ალმასკომის წევრობისთვის არ ვიბრძვი. ჩვენი მიზანი ქართულ ფეხბურთში არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორება, უკუსვლის შეჩერება და წინსვლაა. შესაბამისად, ალმასკომის წევრად გახდომაზე არ გავირჯები. ჩვენთვის მთავარია, ქართულ ფეხბურთში სამართლიანობა აღდგეს და ვითარება სასიკეთოდ შეიცვალოს. საამისოდ ბრძოლას გავაგრძელებთ"*, - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა გუცაევმა.

**დავით ცაბაძე**

# ვუყურებ პირველს და რაკიტიჩს



ლევან ყენია

რასა იქმს ქართული ფეხბურთის იმედი **ლევან ყენია?** ვესტფილიური "შალკეს" 19-წლამდელთა გუნდის ფლეიმეიკერი თავის სვე-ბედით კმაყოფილია და **ივან რაკიტიჩის** ადგილს უმიზნებს.

*"19-წლამდელთა ბუნდესლიგაში ექვს მატჩში ვითამაშე, ყველა სასტარტოში, გოლი კი ვერ გავიტანე, ამ საქმეში ჯერ არ მიმართლებს. ჩვენს ჯგუფში მეორე ადგილზე ვართ და ლიდერ "კიოლნს" ოთხი ქულით ჩამორჩებით. "კიოლნს" უკვე ვეთამაშეთ და 3:0 გავიმარჯვეთ. პლეი ოფამდე ოთხი ტური დარჩა, მომდევნო ეტაპზე მხოლოდ პირველადგილოსანი გადის"*, - გვითხრა ყენიამ.

ლევანი შარშან შემოდგომაზე მივიდა "შალკეში" - სხვა ქვეყანა, სულ სხვა გარემო, ენობრივი ბარიერი. ახლა კი ყენიამ გვითხრა, რომ *"აქაურობას უკვე გავუშინაურდი, გერმანულიც ცოტა ვისწავლე და ურთიერთობა აღარ მიჭირს"*.

ყენია "შალკეში" ჯერ არაპროფესიული კონტრაქტითაა, ზაფხულიდან კი კლუბთან პროფესიული ხელშეკრულება დააკავშირებს, რომელსაც ვადა 2012 წლამდე ექნება.

*"მომავალი სეზონიდან "შალკეს" პირველი გუნდის ფეხბურთელი ვიქნები. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, თუნდაც იმიტომ, რომ გერმანული ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ"*.

"შალკეს" პირველ გუნდში ყენიას პოზიციაზე 20 წლის ხორვატი **ივან რაკიტიჩი** თამაშობს, რომელიც საკმაოდ კარგად ირჯება და მის დასაჯაბნად ჩვენებურს დიდი ჯაფა დაადგება.

*"რა თქმა უნდა, რაკიტიჩის თამაშს განსაკუთრებულად ვაკვირდები. ძალიან მინდა "შალკეს" პირველი გუნდის სასტარტოში ვითამაშო. პირველ გუნდში ხანდახან ახლაც მიწევს ყოფნა, მაგალითად, როცა ტრავმა მქონდა, "შალკეს" პირველ გუნდში ვმკურნალობდი. "შალკეს" დროებით მწვრთნელად მიხაელ ბიუსკენსი დანიშნეს. ის კარგად მიცნობს, რადგან მანამდე, "შალკეს" ახალგაზრდულ გუნდში მუშაობდა"*.

ყენია გელზენკირხენში ცხოვრობს და შალკელ **ლევან კობიაშვილისგან** განსხვავებით საცხოვრებლად დიუსელდორფში გადასვლას არ აპირებს: *"იქიდან "შალკეს" სტაიდონამდე ნახევარი საათის გზაა, ჩემი სახლიდან კი სტადიონამდე მისვლას ათ წუთს ვანდომებ"*.

მოკლედ, ყენიას ყველაფერი გათვლილი აქვს და ჯერჯერობით კმაყოფილია. *"გერმანიაში თამაში ჩემი ბავშვობის ოცნება იყო"*, - ყენიას ეს არაერთხელ უთქვამს.

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, ბოლო ორ შეხვედრაში ლიტვასთან (1:3) და ჩრდილოეთ ირლანდიასთან (1:4) ყენიამ ისე ვერ გაიბრწყინა, როგორც უწინდელ, თუნდაც წაგებულ თამაშებში.

*"ლიტვასთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩებმა ძალიან ბევრი რამ დამანახეს. არ წამივიდა თამაში, გამოჩნდა, რომ ბრძოლისუნარიანობა მაკლია"*.

ყოველივე ეს ფეხბურთის ნაწილია და ალბათ ყენია ბევრს არ დარდობს ბოლო ორ სანაკრებო თამაშზე - ბუნდესლიგაში მას ბრძოლას ნაღდად ასწავლიან.

**დავით თავართქილაძე**

# ვინ უფრო მაგარი აბორტმახერია?



ვაკა სიმონიშვილის მეგობრული შარჟები

საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება და საფეხბურთო ოპოზიციაც გააქტიურდა - ჭადრაკის სასახლეში შეიკრიბა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უფროსობის გადადგომა და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება მოითხოვა.

კარგია აქტიურობა, მოძრაობა და ცვლილებები. ისიც კარგია, თუ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას არგუმენტირებულად აკრიტიკებ - საამისოდ სერიოზული არგუმენტები მართლაც არსებობს.

არც ის იქნება ურიგო, თუ ოპოზიცია ზოგადი ფრაზების გარდა კონკრეტულად გაგვაცნობს, როგორ აპირებს ქართული ფეხბურთის დაწინაურებას. ამისთვის მხოლოდ ფედერაციის უფროსობის შეცვლა რომ არ კმარა, საკამათო არ უნდა იყოს.

ოპონენტის არგუმენტირებული კრიტიკა, საკუთარი რეპუტაცია და გზა ხსნისა - თუ ასეთი შეიარაღება გაქვს, გამარჯვების შანსი გეძლევა, მაგრამ ეს მხოლოდ ზოგადი რამეა, მთავარი მაინც იმ თამაშის წესების მონაგრებაა, რომელიც შენ უფრო გაძლევს ხელს, ვიდრე შენს ოპონენტს.

საპარლამენტო არჩევნები, ნატო, რუსეთი, აფხაზეთი, ცხინვალი... საფეხბურთო ოპოზიციას ვინძლო ჰგონია, რომ ხელისუფლება ამ ეტაპზე ვერ მოიცლის ფეხბურთისთვის და ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები დაინიშნება, თანაც ისეთი, შარშანდელს და 2005 წლისას რომ არ დაემსგავსება, როცა პრეზიდენტის სავარძელი ნოდარ ახალკაცს უბოძეს.

ამ დროს კი ფედერაციაში სჯერათ, რომ საპარლამენტო არჩევნებს ისევ "ნაციონალური მოძრაობა" მოიგებს დაახლოებით იმ პროცენტული მაჩვენებლით, მიხეილ სააკაშვილმა 5 იანვრის არჩევნებში რომ გაიმარჯვა.

რომელ მხარეს აქვს სწორი ინფორმაცია? ვინძლო გადამწყვეტი ეს იყოს და არა ის, რომ ჩვენი საზოგადოება წინ უნდა აღუდგეს იმ უსამართლობას, რომელიც ფეხბურთსა და მის ირგვლივ მეფობს და ა.შ.

ჭადრაკის სასახლეში გამართულ შეკრებაზე **ვლადიმერ გუცაევმა** თქვა, 18 წლის **გიორგი მაკარიძეს** არაფერს ვერჩი, მაგრამ როგორ შეიძლება ეროვნულ ნაკრებში თამაშობდეს ფეხბურთელი, ვისაც უმაღლეს ლიგაში თამაშის პრაქტიკა არ გააჩნიაო.

გუცაევმა წონადი არგუმენტით შეუტია ფეხბურთის ფედერაციას, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, როცა თვითონ იყო ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, მაშინ რა ხდებოდა გუნდში. **გიალო ჩხაიძე, გიორგი ბალაშვილი, დავით ჯანაშია...** ნაკრებში ისეთი ხალხი ხვდებოდა, რომელთა სანაკრებო რეპუტაცია ძალიან დიდ ეჭვს იწვევდა. ჩხაიძე სულაც ვლადიკავკაზის "ალანიას" სამატჩო განაცხადში ვერ ხვდებოდა, მაგრამ გუცაევი მას ნაკრებში ანდობდა ადგილს, ხოლო გერმანულ "ფრაიბურგში" მოთამაშე ლევან ცქიტიშვილს ნაკრებში, ფაქტობრივად, არ ათამაშებდა. ყოველივე ეს ძალიან კარგად იციან ფედერაციის ოპოზიციის ერთ-ერთი ფლანგის, "ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებლებმა, რომელთაგან ზოგი გუცაევის დროს თამაშობდა ეროვნულ ნაკრებში. მათ ძალიან კარგად იციან, თუ რომელ მწვრთნელები იყენებდნენ ნაკრებს თავიანთი მერკანტილური მიზნებისთვის, მაგრამ ამის თქმა როგორ შეიძლება, ეს ხომ კაცურ და "გრუზინულ" სტანდარტებში არ ჯდება. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, **მიხეილ ყაველაშვილის** სიტყვები რომ მოვიშველიოთ, აბორტის კეთებას ხელს უწყობს ის, ვინც დღეს დუმს.

ახლა ისიც ვიკითხოთ, როცა გუცაევი და **ლევან ყიფიანი** ალმასკომის წევრები იყვნენ, რატომ, რა არგუმენტით დაუჭირეს მხარი **გაიოზ დარსაძის** კანდიდატურას ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. რა გამოდის, აქაც აბორტმახერებთან გვაქვს საქმე?

ოპოზიციურ ასპარეზზე გამოჩნდა **ალექსანდრე ჩივაძე**. ის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო უფროსი **ნოდარ ახალკაცის** და **მერაბ ჟორდანიას** პრეზიდენტობისას, ახალკაცი-ჯუნიორის გაპრეზიდენტების შემდეგ კი ეს თანამდებობა ჩამოართვეს. ჩივაძე საკვანძო ფიგურა იყო მაშინაც, როცა უფროსი ახალკაცი გარდაიცვალა და ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ბრძოლას ჟორდანია შეუდგა. უფროსი ახალკაცის მხარდამჭერებს ჩივაძის და მისი ავტორიტეტის ეიმედებოდათ. ჩივაძის გადაბირებას ჟორდანიას გუნდიც ცდილობდა. ყოყმანის შემდეგ ჩივაძემ ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა თავი და არჩევნებში ჟორდანიასთან დამარცხდა. დღეს ჩივაძე რიგგარეშე არჩევნების გამართვას ითხოვს. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ის ოპოზიციურ სპექტრში ძალიან მნიშვნელოვანი და საკვანძო ფიგურა აღმოჩნდება.

ჭადრაკის სასახლეში გამართული ღონისძიების ბოლოს რეზოლუცია მიიღეს, რომლის ერთ-ერთ პუნქტად სწერია: "დაინიშნოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც პოლიტიკოსების გავლენისგან იქნება დაცული".

არის ასეთი გამოთქმა - რაც მოხდა, მოხდა. თქმა არ უნდა, წარსულით ვერ ვიცხოვრებთ, მაგრამ რაც მოხდა, ჭკუის სასწავლებელი და გასაანალიზებელია.

ფედერაციის პრეზიდენტის შარშანდელ, მართლაც სამარცხვინო არჩევნებში ჯერ **გია ნემსაძემ** გაიმარჯვა, რომლის მეგობრები და მხარდამჭერები ახლა რიგგარეშე არჩევნებს მოითხოვენ. საზოგადოებას კი რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნის გარდა იმის უფლებასაც ვერავინ წაართმევს, ნემსაძისგან თუ მისი მეგობრებისგან მოითხოვოს პასუხი კითხვაზე, რატომ გადადგა ნემსაძე არჩევნებში გამარჯვებიდან რამდენიმე წუთში? ვისაც ამაზე პასუხის გაცემის ეშინია, რითია ის ახალკაცზე და მის გუნდზე უკეთესი?

ვინც დღეს დუმს, აბორტის კეთებას უწყობს ხელს - არ არის ურიგოდ თქმული, თანაც ბუმერანგის თვისებაც აქვს.

**დავით თავართქილაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ზაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ᵃ (დილომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ პეტარ სეგრტთან

# პეტარის ნაცნობი ბრანკო

## სეგრტი: ივანკოვიჩმა არჩევანი არა ფულის, არამედ პრესტიჟის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს


პეტარ სეგრტი


ბრანკო ივანკოვიჩი

**საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატ ბრანკო ივანკოვიჩთან ქართულ მხარეს უკვე ჰქონდა საუბარი. პირველად მას პირისპირ პეტარ სეგრტი შეხვდა, მერე კი, ამ უკანასკნელთან ერთად, ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე ჩინოსანი. ივანკოვიჩს სეგრტი ახლოს იცნობს. საინტერესოა, რაზე ისაუბრეს ერთმანეთში, როგორი ტიპაჟია ივანკოვიჩი... ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ახალგაზრდული ნაკრების თავკაცს გუშინ ფედერაციაში ვეწვიეთ...**

- ფედერაციის ხელმძღვანელთა თხოვნით, ივანკოვიჩს ზაგრებში პირისპირ ვესაუბრე. უნდა გამეგო, რამდენად საინტერესო იყო მისთვის საქართველოში მუშაობა. ბრანკოსთვის ეს სიურპრიზი იყო. არ დამიმალავს, რომ ამჟამად, საქართველოს არ ჰყავს ძლიერი ნაკრები, თუმც ისიც ვუთხარი, რომ კარგი გუნდის ჩამოსაყალიბებლად ყველა წინაპირობა არსებობს. ვესაუბრე გამოცდილ და ახალგაზრდა ფეხბურთელებზე. კალაძე, ასათიანი, ხიზანიშვილი, ცქიტიშვილი, კობიაშვილი... ისინი მაღალი კლასის მოთამაშეები არიან და თუ მათ გვერდით ყენიას, მჭედლიძეს, კანკავას, ღვინიანიძეს და სხვებს ვათამაშებთ, მართლაც კარგი გუნდი დადგება. მოკლედ, მისთვის ზოგადი სიტუაცია ასე თუ ისე ცნობილია. მნიშვნელოვანია, რომ ბრანკოს, გარდა დამოუკიდებელი სამწვრთნელო პრაქტიკისა, ისეთი მცოდნე სპეციალისტის გვერდით უმუშავია, როგორიც მიროსლავ ბლაჟევიჩია. მას კარგად ახასიათებენ გერმანიაში მოთამაშე ირანის ნაკრების ფეხბურთელებიც.

**- როგორც გავიგეთ, ივანკოვიჩს "ჰამბურგში" იწვევენ. მართალია?**

- "ჰამბურგშიც" და "დორტმუნდშიც". არ ვიცი, რა არჩევანს გააკეთებს. ფაქტია, რომ ქართული მხარის წინადადებით დაინტერესდა. სხვათა შორის, უკვე ესაუბრა კიდეც ივო შუშაკს. მისგანაც ბევრს გაიგებდა. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ივანკოვიჩი საქართველოს ნაკრებისთვის ზედგამოჭრილი იქნება. ის ნამდვილი ინტელიგენტია. ხშირად მითქვამს, რომ ქართველებისა და ხორვატების მენტალიტეტი ერთმანეთს ჰგავს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია და ვიცი, რომ ფედერაცია ამასაც ითვალისწინებს. ბრანკოს ისეთ დიდ ფეხბურთელებთან მოუწია მუშაობა, როგორებიც იყვნენ შუკერი, ბობანი, პროსინეჩკი. თუ ივანკოვიჩი საქართველოს ნაკრებს ჩაუდგება სათავეში, აქაურ გარემოსთან ადაპტაციაში მე დავეხმარები.

**- რამდენად იცნობს ის ჩვენი ნაკრების მოთამაშეებს?**

- კალაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი, იაშვილი თავად ჩამომითვალა. ახალგაზრდებზე კი არაფერი იცის.

**- მწვრთნელის შერჩევისას ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი ისაა, რომ ნაკრების თავკაცმა საქართველოში უნდა იცხოვროს.**

- როცა ფედერაციის ხელმძღვანელებმა ახალ მწვრთნელზე მკითხეს აზრი, დაუფიქრებლად ვუპასუხე: ვინც არ უნდა იყოს, აუცილებელია, რომ საქართველოში იცხოვროს-მეთქი. ნაკრების მწვრთნელი ხშირად უნდა ესწრებოდეს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს, უნდა იაროს რეგიონებში და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახოს.

**- რა უნდა გააკეთოს ნაკრების ახალმა მწვრთნელმა პირველ რიგში?**

- ვფიქრობ, ბოლო თამაშებში საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები 100 პროცენტით არ იხარჯებოდნენ. საერთოდ, კლუბში საკუთარი კეთილდღეობისთვის თამაშობენ, მაგრამ ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ნაკრები სხვა რამაა. აქ სამშობლოს ღირსებისთვის უნდა ითამაშო და იომო კიდეც. აი, ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება პირველ რიგში.

**- ფეხბურთელები ბოლომდე არ იხარჯებოდნენო, თქვით. გამოდის, რომ ეს იყო ნაგებებისა და ტოპმიოლერის გაშვების მთავარი მიზეზი?**

- ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ. კარგია, როცა ჩვენი ლეგიონერები ძლიერ უცხოურ კლუბებში თამაშობენ, მაგრამ არ უნდა დაივიწყონ, სად დაიბადნენ და გაიზარდნენ. ამავე დროს, ფეხბურთელისთვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმასაც, თუ ვინაა ნაკრების მწვრთნელი. ისინი მწვრთნელისთვის კი არა, თავისი ქვეყნისთვის უნდა თამაშობდნენ. ჩვენ კარგი ფეხბურთელები გვყავს და დიახაც, ნაკრებში ბოლომდე უნდა დაიხარჯონ. ხოლო ის, ვინც ამისთვის მზად არ არის, საერთოდ ნუ ჩამოვა ეროვნულ გუნდში სათამაშოდ. აგერ, მაგიდაზე ყველა იმ ფეხბურთელის სია მაქვს, ვინც ბოლო წლებში პირველ ნაკრებში ითამაშა. ახალი მწვრთნელი მოდის, ახალი ეპოქა იწყება და იმედია, ამიერიდან, ვინც გამოძახებული იქნება მთავარ გუნდში, ყველა მაქსიმუმს გაიღებს. არ დამავიწყდება რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩი და ჩვენი გამარჯვება. იმ დღეს ხალხმა ყველაფერი დაივიწყა. ოღონდ რუსეთისთვის მოგვეგო და... მთელი გუნდი ამ სურვილით გავიდა მოედანზე. მჯერა, მებრძოლ სულს ეროვნული ნაკრები ყველა თამაშში გამოავლენს.

**- ივანკოვიჩმა იცის, რომ თუ შეთანხმება შედგა, შესაძლოა, მის ასისტენტებად შოთა არველაძემ და თემურ ქეცბაიამ იმუშაონ?**

- ვერაფერს გეტყვით, ეს მე არ მეხება. ბრანკოსთან უბრალო საუბარი არ მქონია. მას ჩემს რეალურ გრძნობებზე მოვუყევი და ვეცადე, დადებითად დამემუხტა საქართველოსა და მთლიანად ქართველი ხალხის მიმართ. თუმცა წეღანაც გითხარით, რომ არც რეალობა დამიმალავს. ავუხსენი, რომ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, ველაპარაკე ქართველებისა და ხორვატების მსგავსებაზე (იცინის) და იცით, რა მითხრა? მჯერა, რასაც მეუბნები, საქართველოზე რომ ლაპარაკობ, თვალები გიბრწყინავსო. ჩემი დიდი სურვილი და ოცნებაა, საქართველოს ნაკრებმა 2010 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშოს. რეალისტი ვარ და ვიცი, რომ საამისოდ შანსი ცოტაა, მაგრამ ამაზე ყველა მწვრთნელი ფიქრობს და ოცნებობს.

**- როგორ შეატყვეთ, ფინანსურ მხარეზე შეთანხმება ხომ არ გაძნელდება?**

- ეს ჩემი საქმე არ არის. ვინც აქ მუშაობას გადაწყვეტს, ფულისთვის არ უნდა ჩამოვიდეს. ყველა მწვრთნელისთვის ნაკრებში დასაქმება პრესტიჟულია. საქართველოში დიდი პოტენციალია, უბრალოდ, გუნდს აწყობა უნდა და აქ დიდი შანსია წარმატებებისა და აღიარებისათვის. ივანკოვიჩი არჩევანის წინაშეა: ფული და კლუბში ყოველდღიური მუშაობა, თუ პრესტიჟი და ნაკრების მწვრთნელობა. აი, აქედან უნდა აირჩიოს ბრანკომ.

**- პიროვნულად როგორია ივანკოვიჩი?**

- მოედნის მიღმა მეგობრული, გახსნილი და წყნარი ტიპია. უშუალოდ საქმეში კი ბევრად განსხვავებულია: ემოციურიც და მომთხოვნიც, (იცინის) ისევე, როგორც მე.

**- მის ოჯახზე რას გვეტყოდით?**

- ხუთი წელიწადია, რაც დავუახლოვდი. "ბოხუმში" ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელი ზლატკო მამიჩი თამაშობდა და ივანკოვიჩიც სწორედ მისგან გავიცანი. 15 წლის წინათ, ბრანკო "ბოხუმის" ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა. მის ოჯახს იმდენად კარგად არ ვიცნობ, რამე მოგიყვეთ. როგორც ვიცი, მისი ვაჟი, რომელიც 25 თუ 26 წლისაა, ფეხბურთს თამაშობს, ჰყავს ქალიშვილიც. ბრანკოსთვის ოჯახი ბევრს ნიშნავს და ამ თემაზე ღიად არ საუბრობს. ამის მეტს ვერც მე გეტყვით რაიმე საინტერესოს.

**- როგორია მისი საფეხბურთო ხედვა: შემტევი სტილი მოსწონს, დაცვითი თუ რაღაც საშუალო?**

- მოდით, ასე გიპასუხებთ: ის შედეგზე ორიენტირებული მწვრთნელია. სტილს კი იმის მიხედვით არჩევს, თუ რა კონტინგენტი ჰყავს და ვის ეთამაშება. საერთოდ, მისი კრედო შემტევი ფეხბურთია, კარგად ორგანიზებული დაცვით. მოკლედ, ეს არის, ჰო, მართლა, ბრანკოს კონტრაქტი აქვს ხორვატიის ერთ-ერთ ტელეარხთან. მან ევროპის ჩემპიონატის სამ მატჩზე გააფორმა ხელშეკრულება და ჯგუფურ ეტაპზე ხორვატიის ნაკრების თამაშებს გაუკეთებს კომენტარს.

**დავით ცაბაძე**

# ქართველები უცხოეთის მოქალაქეობას იღებენ

საქართველოს არ ჰყავს შვილი დასაკარგავი, მაგრამ ბევრი დავკარგეთ და როგორც ჩანს, კიდევ ბევრს შეველევით.

საქართველოში გაზრდილი 17 წლის მცველი **თემურ ფარცვანია** უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს და მალე მის შემადგენლობაში პირველ ოფიციალურ შეხვედრასაც გამართავს. თემური თბილისელია და თამაში საქართველოში დაიწყო. მას საქართველოს ნაკრებში იწვევდნენ, მაგრამ მეორე ფოცხვერია არ გამოვიდა. უკრაინელებმა კატეგორიულად მოსთხოვეს – ან უკრაინა, ან საქართველო და კიევის "დინამოდან" გაშვება. რთული და მტკივნეული არჩევანი იყო და უკრაინის მოქალაქე გახდა.

თბილისიდან წასვლის შემდეგ, ფეხბურთელი კიევის "დინამოს" აკადემიაში ვარჯიშობდა. ის უკრაინის ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული გახდა. 17 წლისა კი კიევის "დინამო 2-ში" აიყვანეს და **დავით იმედაშვილის** თქმით, ძალიან კარგად თამაშობს - პერსპექტიული ბიჭია. უკრაინული "სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, ის უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთ მთავარ ფიგურად მოიაზრება.

საქართველოსთვის დაკარგულია რუსეთის პირველ ლიგაში მოთამაშე **გია გრიგოლავაც**. ის რუსეთის მოქალაქე და 19-წლამდელთა ნაკრების წევრია. რუსულ წყაროებში მითითებულია, რომ გია ქუთაისელია, თამაშობს მარცხენა მცველის პოზიციაზე და "როსტოვის" დუბლების კაპიტანი გახლავთ.

ფეხბურთელი პირველი ლიგის როსტოვის სკა-მ ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ შეისყიდა. ტანმაღალი მოთამაშე (1,88 მ) ლიდერის თვისებებითაა დაჯილდოებული. ის შარშან რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრებში **იგორ კოლივანოვმა** მიიწვია.

*"ძალიან გამიხარდა, როდესაც ნაკრებში ჩემით დაინტერესდნენ. მართალია, ჯერ ოფიციალური შეხვედრები არ ჩამიტარებია, მხოლოდ ვარჯიშებითა და საკონტროლო მატჩებით შემოვიფარგლე, მაგრამ ჩემთვის ესეც ბევრს ნიშნავდა. იგორ კოლივანოვთან მუშაობით მხოლოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებები დამრჩა,"* – განუცხადა "როსტოვის" ოფიციალურ ვებგვერდს გრიგოლავამ, რომელსაც, სხვათა შორის, ასაკის მიუხედავად, რუსეთის პრემიერლიგაში გამოსვლის გამოცდილებაც გააჩნია – შარშან რამდენჯერმე "როსტოვის" ფორმა მოირგო. ასე რომ, საქართველოს ნაკრებებისთვის ეს ბიჭიც დაკარგულია.

სამწუხაროა, რომ ჩვენ იოლად ველევით ისეთ ფეხბურთელებს, რომლებიც, შესაძლოა, საქართველოს გამოადგნენ. შეუძლებელია, ფეხბურთში გულშემატკივარს კითხვა არ დაებადოს - რატომ არის უინტერესო საქართველოსთვის რუსეთის პრემიერლიგაში ჩინებულად მოთამაშე ნახევარმცველი **ლევან გვაზავა?** ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგიის" ფეხბურთელი წლეულს საოცარ სეზონს ატარებს, გუნდში გამორჩეულად აქებენ და მედიაც წყალობს. სამწუხაროდ, ორიოდე თამაშის შემდეგ, საქართველოს ნაკრებში მისით არ დაინტერესებულან, მან ეს გულგრილობა ვერ აიტანა და რუსეთის მოქალაქეობა მიიღო.

ისე, რა გასაკვირია **კლაუს ტოპმიოლერმა** მისი ვინაობა რომ არ იცოდა – რუსეთის საუკეთესო ცენტრალურ მცველებში დასახელებული **ალეკო ამისულაშვილის** გვარიც "ლელოს" ჟურნალისტისგან, დანიშვნიდან ექვს თვეში შეიტყო.


გია გრიგოლავა

მალე საქართველოს მოქალაქე არ იქნება ლიტვის საუკეთესო ლეგიონერად დასახელებული **გია კვარაცხელიაც**. ის მეოთხე წელიწადია ლიტვის საუკეთესო კლუბის, "კაუნასის" ლიდერია, მაგრამ საყრდენი ნახევარმცველი აითვალწუნეს და ნაკრებს ჩამოაშორეს. ახლა კვარაცხელია ლიტველ გოგონაზე დაქორწინდა (რასაც ვულოცავთ) და როგორც შევიტყვეთ, ლიტვის მოქალაქეობასაც მალე მიიღებს.

ასე ბევრი ფეხბურთელის დასახელება შეიძლება, რომელსაც, შესაძლოა, საქართველოს ნაკრებისთვის სარგებელი მოეტანა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ გიორგი სეთურიძესთან

# თავისიანებს უფრო ენდობიან




გიორგი სეთურიძე

**გიორგი სეთურიძე** მოედანს ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა. ჩავიდა გერმანიაში, იენის "კარლ ცაისთან" კონტრაქტი გააფორმა და ორ დღეში უმძიმესი ტრავმა მიიღო. ექიმებისთვის მოულოდნელად, საკმაოდ მალე ალიდგინა ჯანმრთელობა და ვარჯიშის უფლებაც მიიღო. ფეხბურთელმა თამაში განაახლა, „ფრაიბურგთან" ძირითად შემადგენლობაშიც ითამაშა და თავს საკმაოდ ნორმალურად გრძნობს.

„კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერი და გავარდნის რეალური კანდიდატია. თუკი იენელებმა სახიფათო ზონას თავი ვერ დააღწიეს, მაშინ გიორგის ახალი გუნდის მოძებნა დასჭირდება.

ვითარებას რეალურად რომ შევხედოთ, ასეც უნდა მოხდეს – „კარლ ცაისი" ბოლოდან მეორე ადგილზეა და ბოლოდან მეხუთეზე მყოფ „ოფენბახს" რვა ქულით ჩამორჩება, სეზონი კი ხუთ ტურში მთავრდება. ამხელა ჩამორჩენის აღმოფხვრა კი, იენელებს ძალიან გაუჭირდებათ.

გიორგი სეთურიძეს გუშინ დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- გიორგი, გუნდისთვის საკმაოდ რთულ პერიოდში თამაშობ. გამოდის, უკვე ფორმაში ხარ.**

- ჯანზე აშკარად მოვედი, მაგრამ რა აზრი აქვს? სეზონი, ფაქტობრივად, დამთავრდა. მაქსიმუმ ხუთ შეხვედრას თუ ჩავატარებ.

**- ტრავმის შემდეგ პირველი შეხვედრა "ფრაიბურგთან" ჩაატარე. როგორ გრძნობდი თავს, თამაში არ გაგიჭირდა?**

- პირველი 15 წუთი გამიჭირდა. რაც არ უნდა იყოს, ეს პირველი თამაში იყო ძირითად შემადგენლობაში და ტრავმა იქით იყოს, ცოტას ვღელავდი. თუმცა შემდეგ ყველაფერი კარგად წარიმართა.

**- „კარლ ცაისის" გავარდნის შემთხვევაში, რას აპირებ?**

- რა უნდა ვქნა, გუნდის მოძებნა დამჭირდება. რეგიონალლიგაში თამაშის სურვილი არ გამაჩნია.

**- მართალია, რომ დროებით „ოლიმპში" თამაშს აპირებ?**

- არ ვიცი, ჩემთვის დაბრუნება არავის შემოუთავაზებია. თუკი საინტერესო წინადადება არ გამოჩნდა, მაშინ დროებით მართლა ვითამაშებდი.

**- მთელი სეზონი გაგიცდა და, ალბათ, გერმანიაში წინადადებები არც გექნება.**

- ჯერ არაფერია.

**- შენი მენეჯერები, ძირითადად, რუსეთის ბაზარზე მუშაობენ. ხომ არ ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში დაბრუნდები?**

- სეზონი ერთ თვეში დასრულდება და მანამდე იქნებ ისე ვითამაშო, რომ გერმანელებმა დამიტოვონ. რუსეთში გამოსვლას, დასავლეთში თამაში ბევრად მირჩევნია.

**- სეზონით უკმაყოფილო იქნები. დიდი დრო გაგიცდა და თავის გამოჩენის საშუალება არ მოგეცა.**

- რა თქმა უნდა. ტრავმამ არ გამახარა, მაგრამ იქნებ დარჩენილ ტურებში კარგად ვითამაშო და რომელიმე კლუბში მიმიწვიონ. ამის იმედი მაქვს. რაც მთავარია, ჯანზე მოვედი და თამაში დავიწყე.

**- შენი აზრით, გერმანიას მოერგები?**

- მართალი გითხრა, აქ თამაში ისეთი რთული არ ყოფილა, ჩამოსვლამდე რომ მეგონა. ფიზიკურად თუ მოემზადები და შიშით არ ითამაშებ, ყველაფერს მოევლება.

თუმცა ერთი პრობლემაა. იენის "კარლ ცაისში" როდესაც ჩავირიცხეთ, მეპატრონეებში გაურკვევლობა იყო. სანამ ვითარება დაწყნარდა, მწვრთნელი შეცვალეს და ქართველებისადმი დამოკიდებულება გაარკვიეს, საკმაოდ რთულ ვითარებაში ვიყავით.

**- იენაში სამი ქართველი კი ხართ, მაგრამ მწვრთნელი ყველას არ გენდობათ. გუნდთან შეგუება ძნელი აღმოჩნდა, თუ მთავარი ის მიზეზი იყო, ახლა რომ ახსენე?**

- კანდელაკი თამაშობს, გიორგი ონიანს კი არ აყენებენ და ძალიანაც განიცდის. რატომ არ ათამაშებენ არ ვიცი. უფრო იმას ვფიქრობ, მძიმე დღეში რომ ჩავარდნენ, თავისიანებს უფრო ენდობიან. ქართველებისადმი უნდობლობასაც ვხედავ. ეს არაა დასამალი.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ორი ქულაც და ვაჟა ჩემპიონია

ბელარუსში ჩემპიონატი ახლახან დაიწყო, მხოლოდ სამი ტურია ნათამაშები. ტურნირს 9 ქულით მოულოდნელი ლიდერი ჰყავს – ნოვოპოლოცკის „ნაფტანი". თუმცა ჩვენ უპირველესად ქართველ ლეგიონერთა გუნდების ამბები გვაინტერესებს, ასეთი კი ბელარუსის უმაღლეს ლიგაში ორია – ჟოდინოს „ტორპედო" და ბრესტის „დინამო". „ტორპედოს" ღირსებას 19 წლის ფორვარდი **გიორგი ჭედია** იცავს. ამ კლუბს შესაფერისი სტადიონის უქონლობის გამო საშინაო მატჩების გამართვა ნეიტრალურ მოედნებზე უხდება. მესამე ტურში „ტორპედო" მოგილევის „სავიტს" ეწვია და ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა – 2:0. გიორგიმ 79-ე წუთზე მასპინძელთა კარში მეორე გოლის ავტორი **შერიაკოვი** შეცვალა. „ტორპედოს" 4 ქულა აქვს, ბრესტის „დინამოს" კი, სადაც **გიორგი თოდუა** და **რომან გოგინაშვილი** თამაშობენ, მხოლოდ - 1. ბრესტელებმა პირველი ქულა მე-3 ტურში მინსკის „დინამოსთან" მატჩში მოიპოვეს – 1:1. თოდუას არ უთამაშია, გოგინაშვილმა მატჩის 82-ე წუთზე **ჩისტი** შეცვალა.

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში 28-ე ტურის მატჩები გაიმართა. ჩემპიონმა „შერიფმა" ტირასპოლში 6:0 გაანადგურა რიბნიცის „ისკრა-სტალი". არადა ეს გუნდი ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა, „შერიფის" შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა გუნდის კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა**, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მას დიდი ჯაფა დაადგა. კიშინოვის „ზიმბრუ" „ნისტრუს" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. ზიმბრუელმა **მამუკა ლომიძემ** 90 წუთი ითამაშა. მატჩის 42-ე წუთზე ლომიძის სახიფათო თავური ოდნავ ასცდა მასპინძელთა კარს. „დაჩიამ" შინ ვერ შეძლო „ტირასპოლის" დამარცხება – 0:0. **ჯაბა დვალი** ყველაზე აქტიური იყო მასპინძელთა შორის, თუმცა მისი დარტყმულები ხშირად მიზანს ცდებოდა. **ლევან კორღალიძემ** თავდამსხმელთა უკან ითამაშა, მეორე ტაიმში კი მწვრთნელმა ის ფლანგზე გადაიყვანა. ამის შემდეგ მდევარი „დაჩია" ფაქტობრივად ჩამოშორდა საჩემპიონო რბოლას, რადგან „შერიფთან" უკვე 14 ქულა აშორებს. „ზიმბრუ" უკვე მისთვის შეუფერებელ მეხუთე ადგილზეა 46 ქულით. მოლდოვის ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა და "შერიფს" ჩემპიონობის მოსაპოვებლად ორი ქულა ჰყოფნის.

აზერბაიჯანში **გიორგი ადამიას** „ნეფთჩის" საჩემპიონო ამბიციებს საინგილოში ცივი შხაპი გადაასხეს. „სიმურგისა" და **ანატოლი დემიანენკოს** გუნდის შეხვედრა 0:0 დასრულდა. მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშეს **დავით ბოლქვაძემ** და **კახაბერ ჩხეტიანმა**, სტუმრებში კი – გიორგი ადამიამ. მეორე ტაიმში ჩხეტიანი გააფრთხილეს, ბოლქვაძესა და ადამიას კი მცირე შელაპარაკებაც მოუვიდათ, თუმცა ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ამით „ნეფთჩისა" და ლიდერ „ოლიმპიკს" შორის სხვაობა ექვს ქულამდე გაიზარდა.

„მასალის" ქართველმა ფორვარდმა **ბორის გონჩაროვმა** მე-18 წუთზე გაუტანა ლიდერ „ოლიმპიკს" გოლი, თუმცა მეორე ტაიმში სტუმრებმა ორი გოლი გაიტანეს და საჭირო სამი ქულა მაინც მოიპოვეს. გონჩაროვმა სრულად ითამაშა, **ვაჟა ლომაშვილი** კი შესვენებაზე მწვრთნელმა დაცვის ცენტრიდან მოხსნა. ორი გოლიც მასპინძლებმა სწორედ ამ პოზიციაზე დაშვებული შეცდომების შემდეგ გაუშვეს მეორე ტაიმში.

თურანელმა **ირაკლი ბერაიამ** ბოლო 9 წუთი ითამაშა სტუმრად „გეჩლერბირლიისთან" 1:1 დასრულებულ მატჩში. მის ძმა **გოგას** კი არ უთამაშია „ყარაბახის" რიგებში „ინტერთან" 0:1 წაგებულ შეხვედრაში.

აზერბაიჯანის პირველობის ყველაზე "ქართულმა" გუნდმა „კაბალამ" შინ 2:0 დაამარცხა დებიუტანტი აზნ. ამ შეხვედრაში ითამაშეს: **ზურაბ მამალაძემ**, **თორნიკე აფციაურმა** და **ირაკლი ვაშაკიძემ** (პირველი ტაიმი). „ბაქი" და „ქარვანი" დიდ ბრძოლაში დაზავდნენ – 3:3. დედაქალაქელთა ქართველ ფეხბურთელებს არ უთამაშიათ, „ქარვანელთა" ერთი გოლი კი 30-ე წუთზე **რომან ახალკაცმა** გაიტანა. ახალკაცი 66-ე წუთზე შეცვალეს, 90-90 წუთი ითამაშეს მისმა თანაგუნდელებმა **ალექსანდრე ინწკირველმა** და **გოჩა ტრაპაიძემ**. „სიმურგი" 32 ქულით, ბევრისთვის მოულოდნელად, მეხუთე ადგილზეა, „კაბალა" 31 ქულით მას კვალში მიჰყვება, შემდეგ მოდიან: „ყარაბახი" (30 ქულა), „ბაქი" (29), „ქარვანი" (22), „მასალი" (22), „სტანდარდი" (22) და „თურანი" (14). მოკლედ, ქართველთა გუნდებს (თუ ადამიას „ნეფთჩის" არ ჩავთვლით, რომელიც 47 ქულით მეორეა) აზერბაიჯანის პირველობის შუა ნაწილი აქვთ ოკუპირებული.

ყაზახეთის ჩემპიონატის მეექვსე ტურის მატჩში ყარაღანდის „შახტიორს", რომელსაც **რევაზ ძოძუაშვილი** წვრთნის, **ლაშა ნოზაძის** გოლმა მოაგებინა - ქართველმა ლეგიონერმა „ჟეტისუს" კარში მე-15 წუთზე გაიტანა, 1:0. ძოძუაშვილმა **ლევან მელქაძე** კვლავ სათადარიგოთა სკამზე დატოვა. „შახტიორი" 10 ქულით მეხუთე ადგილზეა. „ვოსტოკი" შინ 0:2 დამარცხდა „ტობოლთან". ითამაშა მხოლოდ **ზვიად ჯელაძემ**, მისმა უმცროსმა ძმა **გიზომ** ტური დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. „ვოსტოკი" 5 ქულით მე-12 ადგილზეა ყაზახურ სუპერლიგაში. **ლაშა ჭელიძის** „კაისარმა" სტუმრად 1:0 სძლია „ენერგეტიკს", ქართველი მცველი 78-ე წუთზე შევიდა მოედანზე გოლის ავტორ **პახოლიუკის** ნაცვლად.

ირანში პრემიერლიგის 28-ე ტურის მატჩში ისპაჰანის „სეპაჰანმა" ძალზე მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა „მესთან" საშინაო მატჩში – 1:1. **ჯაბა მუჯირმა** შეუცვლელად ითამაშა „სეპაჰანის" რიგებში. ჩემპიონატის დასრულებამდე 6 ტურით ადრე მუჯირის გუნდი 50 ქულით ლიდერია და ოთხი ქულით უსწრებს „საბას", ხუთით – „პერსეპოლისს". **აქვსენტი გილაურის** „პეგა" 27 ქულით გასავარდნ ზონაშია. „პეგა" „ესტეღლალს" მასპინძლობდა და 1:1 ეთამაშა, ქართველი 55-ე წუთზე შეცვალეს.

რუსეთის პირველ დივიზიონში „ანჟიმ" კამაზი 2:0 დაამარცხა, შეუცვლელად ითამაშეს **გიორგი ნავალოვსკიმ** და **ვალერი აბრამიძემ**, **მიხეილ აშვეთია** 69-ე წუთზე შეცვალეს, **გოჩა ხოჯავა** კი მე-60 წუთზე **ზურაბ არზიანმა** შეცვალა.



ვაჟა თარხნიშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერი

# კობიაშვილი გამოჯანმრთელდა

**ლევან კობიაშვილმა** ტრავმის გამო ბუნდესლიგის ბოლო ორი ტური გამოტოვა. გელზენკირხენის "შალკეს" შუახაზელი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში დაშავდა "ბარსელონასთან" და მას შემდეგ თამაში არ ღირსებია.

*"გუნდთან ერთად ვარჯიში პარასკევს განვაახლე, უქმეებზე კი არ მივარჯიშია, რადგან დასვენება იყო. ახლა თავს კარგად ვგრძნობ და მომდევნო ტურისთვის "ჰამბურთან" უკვე მზად ვიქნები"*, - გვითხრა კობიაშვილმა, ვისაც "შალკეს" ახალი თავკაცების, **მიკა ბიუსკენსისა** და **იური მიულდერის** ხელში ჯერ არ უთამაშია.

**დავით თავართქილაძე**




ლევან კობიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. წინათქმა

# ლიდერობის გასამყარებლად

**16:00 დინამო-მესხეთი**

23 აპრილი. თბილისი. ეროვნული.
პირველ წრეში: 2:0

**სავარაუდო შემადგენლობა**

დინამო: ოვონო, თომაშვილი, ზელიჩი, კრშკო, გველესიანი, ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე, ხუციშვილი, ვანაძე, აკირემი

*დისკვალიფიკაცია:* გ. მერებაშვილი, შ. კაშია, გ. კაშია

მესხეთი: სომხიშვილი, ლ. მერებაშვილი, თ. ღონღაძე, კობესაშვილი, რაქვიაშვილი, ლეკიშვილი, კ. ხანიშვილი, კოშკაძე, გვირჯიშვილი, ინასარიძე, კიკნაძე

*დისკვალიფიკაცია:* გ. ნადირაშვილი

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

წესით, ეს მატჩი შაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ ეროვნულ სტადიონზე საქართველო-ესპანეთის სარაგბო შეხვედრაა დანიშნული და "დინამო"-"მესხეთი" დღეისთვის გადმოიტანეს. მცხეთაში მიღწეული ფრის წყალობით, დინამოელები ჩემპიონის ტიტულს მიუახლოვდნენ და ბუნებრივია, "მესხეთთან" მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს. საკადრო პრობლემების მიუხედავად, უჰრინის გუნდი წყვილის ფავორიტია, თუმცა წესით, ახალციხელებმა მასპინძლებს დიდი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ. სხვათა შორის, ახალციხიდან "მესხეთის" საქომაგოდ 150-მდე გულშემატკივარი ჩამოდის.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ "დინამოს" მმართველი დირექტორი **ბუბა ტყავაძე** პროფლიგის სადისციპლინო კომისიამ დასაჯა. 13 და 18 აპრილს, შესაბამისად, "ამერსა" და "ვიტ ჯორჯიასთან" კალენდარული მატჩებისას, მან მსაჯებსა და დელეგატებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. საერთო ჯამში, ტყავაძე 600 ლარით დაჯარიმდა, "დინამო" კი 1 500 ლარს გადაიხდის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| 25 აპრილი |
|---|
| ბათუმი-ვიტ ჯორჯია |
| ამერი-მგლები |
| სიონი-ოლიმპი |
| **26 აპრილი** |
| სპარტაკი-ზესტაფონი |
| მერანი-ლოკომოტივი |
| ბორჯომი-დილა |

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# წინ მეშაქრე გაიჭრა

პირველი ლიგის მთავარი ინტრიგა კვლავ აღმოსავლეთ ზონაშია, სადაც პლეი ოფში მოსახვედრად გააფთრებული ბრძოლაა გაჩაღებული. ძვირფასი ქულები ამჯერად "გაგრამ" დაკარგა, რითაც "მეშაქრემ" შესანიშნავად ისარგებლა, დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა და კონკურენტი ერთი ქულით ჩამოიტოვა. გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, დარჩენილ ოთხ ტურში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. საერთო ჯამში, "მეშაქრე" და "გაგრა" სტაბილურობით ვერ დაიკვეხნიან, სამაგიეროდ, დასავლეთ ზონაში დამაჯერებლად ასპარეზობს ჭიათურის "მაღაროელი", რომელმაც პლეი ოფის საგზური კარგა ხნის წინ დაიბევა და ახლა მეტოქის მოლოდინშია.

პირველ ლიგაში დასარჩენად ბრძოლა მხოლოდ დასავლეთშილა მიმდინარეობს. შეგახსენებთ, თითო ზონიდან ორ-ორი გუნდი ვარდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## აღმოსავლეთი ზონა

**ოლიმპი 2-გაგრა 2:2**

18 აპრილი. თბილისი. ოლიმპი.
100 მაყურებელი

0:1 აბაშიძე (27. პენ.), 1:1 გუგუჩია (54. პენ.), 1:2 თოთაძე (74), 2:2 ტორონჯაძე (81)

ოლიმპი 2: კალანდაძე, სარაჯიშვილი, ოდიშარია, პაჭკორია, ჩიხრაძე, გ. იაშვილი (90. ცოცხალაშვილი), გურეშიძე, ზვიადაძე, მახარაშვილი (65. სულუხია), გუგუჩია (85. ლაფერაშვილი), ტორონჯაძე

*სათადარიგოები:* ლობჯანიძე, ი. დევდარიანი, გავაშელიშვილი, გალდავა

გაგრა: ბათიაშვილი, ქვრივიშვილი, კვანტალიანი, ქაჯაია, თოთაძე, ცხადაია (64. ხელაძე), ჩარგეიშვილი, ლ. სეთურიძე (51. მეტრეველი), დათუნაშვილი, შარიქაძე (68. ლალიანი), აბაშიძე

*სათადარიგოები:* ხომერიკი, ტეტუნაშვილი, ჩოჩია, სუხიშვილი

გაფრთხილება: კვანტალიანი (53), პაჭკორია (72), აბაშიძე (82), თოთაძე (84), გურეშიძე (86)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**ამერი 2-ნ. დინამო/მერანი 2 3:0**

18 აპრილი. საგურამო. ამერის ბაზა.
30 მაყურებელი

1:0 ჩიმაკაძე (14), 2:0 გრძელიძე (69), 3:0 გრძელიძე (87)

ამერი 2: გვენცაძე, კეკელია, გვაძაბია, გ. ჯელაძე, დ. სიჭინავა, ბოჯგუა (61. მუშკუდიანი), გ. სიჭინავა, სილაგავა, ვ. ჯელაძე (54. სანიკიძე), ხუციძე, ჩიმაკაძე (46. გრძელიძე)

*სათადარიგოები:* ნაჭყეპია, ჩოხელი, ხარაძე

ნ. დინ/მერ 2: თევდორაძე, ქუმუხტაშვილი, დაბრუნდაშვილი, ლვთისავრიშვილი, ს. შენგელია (62. ი. არველაძე), ა. შენგელია, ტოსტიაშვილი, გავაშელი, ი. შენგელია, კაკულია (74. გურჩიანი), ხუჭუა

*სათადარიგო:* ჩიტალაძე

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი

**ოლიმპიკი-მეშაქრე 0:1**

19 აპრილი. თბილისი. ოლიმპიკი.
100 მაყურებელი

0:1 ებანოიძე (5)

ოლიმპიკი: ემუხვარი, ბებუა, გ. ალავიძე, გოგიაშვილი, ფურცელაძე, მაისურაძე, ლვინიაშვილი (46. როსტომაშვილი), გ. იაშვილი, ოქრუაშვილი (70. ქამუშაძე), ბელთაძე, ლაბარტყავა (53. კვანტალიანი)

*სათადარიგოები:* ნ. დაუშვილი, ჯინჭარაძე

მეშაქრე: ოთარაშვილი (35. აბრამიშვილი), დონდოლაძე, ლ. ტყებუჩავა, ახობაძე, გვარუციძე, ლ. კვარაცხელია, ა. ჯანელიძე (61. გაგნიძე), გ. ლაცაბაძე, ლ. კობახიძე (75. ფაილოძე), ლ. მანწკავა, ებანოიძე

*სათადარიგოები:* კავთელაძე, ბონდო გოცირიძე, გ. ტყებუჩავა, ჩიხლაძე

გაფრთხილება: დ. ალავიძე (30), ლ. კვარაცხელია (30), ახობაძე (41)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**დინამო 2-ვიტ ჯორჯია 2 0:1**

19 აპრილი. თბილისი. დინამოს ბაზა.
100 მაყურებელი

0:1 მაისაშვილი (66)

დინამო 2: ლოსაბერიძე, ლ. ლონლაძე, მამრაში (70. კოპაძე), გეთიაშვილი (35. კაჭკაჭიშვილი), ტეტუნაშვილი, ჩიკვაიძე (60. შერაზადაშვილი), ნემსაძე, მინდორაშვილი, ნ. ჯიშკარიანი, ჭადაშვილი, სიხარულიძე

*სათადარიგოები:* მაკარიძე, კანდელაკი, ხვადაგიანი, ჯოხაძე

ვიტ ჯორჯია 2: ლურბელეიშვილი, პირველი, ადამაძე, კასრაძე, კაიშაური, ინჯგია, მაისაშვილი, გ. ჯანელიძე (87. ლანიაშვილი), კვალინიძე, ჯიქიძე (65. ვასაძე), ბერიაშვილი (85. როსტიაშვილი)

*სათადარიგოები:* ეზიეშვილი, ვეკუა, სორდია, ზაქრაძე

გაფრთხილება: კაიშაური (71), როსტიაშვილი (86), ლანიაშვილი (88)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**ჩიხურა-კახეთი 2:0**

19 აპრილი. საჩხერე. ცენტრალური.
300 მაყურებელი

1:0 ჭილლაძე (17), 2:0 ჩიკვაიძე (52)

ჩიხურა: მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, რ. ბარაბაძე, ზივზივაძე, ვ. ზაბახიძე, დოლონაძე, ი. ზაბახიძე, ჭილლაძე (89. ცარციძე), ჩიკვაიძე, პეტრიაშვილი (81. გულიაშვილი), როგავა (78. გ. ენუქიძე)

*სათადარიგოები:* ბევაშვილი, ხვედელიძე, დ. ენუქიძე, ივანიშვილი

კახეთი: ოთარაშვილი, გ. ლომიძე, კუპრაშვილი (73. ტეტიაშვილი), ბიძინაშვილი, კევლიშვილი, დ. ბურდული, ჩუთლაშვილი (65. აბდულაევი), ბედოიძე, ტარულაშვილი, მურველაშვილი (70. ზარქუა), ძამუკაშვილი

*სათადარიგოები:* ქუფარაშვილი, მ. ხიდეშელი

გაფრთხილება: ტარულაშვილი (32), აბდულაევი (80)

არბიტრი: კ. ჭაჭუა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეშაქრე | 23 | 12 | 7 | 4 | 32-19 | 43 |
| 2. დინამო 2 | 23 | 12 | 6 | 5 | 33-19 | 42 |
| 3. გაგრა | 23 | 12 | 6 | 5 | 46-34 | 42 |
| 4. ვიტ ჯორჯია 2 | 23 | 12 | 5 | 6 | 34-18 | 41 |
| 5. ჩიხურა | 23 | 11 | 6 | 6 | 37-29 | 39 |
| 6. ოლიმპი 2 | 23 | 8 | 8 | 7 | 30-26 | 32 |
| 7. კახეთი | 23 | 8 | 4 | 11 | 33-36 | 28 |
| 8. ამერი 2 | 23 | 8 | 2 | 13 | 33-36 | 26 |
| 9. ოლიმპიკი | 23 | 5 | 4 | 14 | 29-45 | 19 |
| 10. მერ.2/ნ.დინ. | 23 | 0 | 6 | 17 | 17-62 | 6 |

**მომდევნო ტური**

| 24 აპრილი |
|---|
| ნ. დინამო/მერანი 2-კახეთი |
| მეშაქრე-დინამო 2 |
| გაგრა-ოლიმპიკი |
| **26 აპრილი** |
| ვიტ ჯორჯია 2-ჩიხურა |
| ამერი 2-ოლიმპი 2 |

## დასავლეთი ზონა

**სამტრედია-მეშახტე 4:1**

18 აპრილი. სამტრედია. ე. მანჯგალაძე.
200 მაყურებელი

1:0 ჩომახიძე (22), 2:0 გაბედავა (43. პენ.), 2:1 ჩუბინიძე (55), 3:1 ბაკარანძე (68), 4:1 კრავეიშვილი (80)

სამტრედია: ხურციძე, გომია, კვესეიშვილი, გუბელაძე, ქობალია (67. ნინუა), გაბედავა, ეცადეიშვილი, ივეჩიანი (72. ადეიშვილი), ჩომახიძე, კრავეიშვილი, ბაკარანძე (80. მამულაშვილი)

*სათადარიგოები:* ამაღლობელი, რუხაძე, ბუნიაევი, ბოხუა

მეშახტე: გიორგაძე (67. თორთლაძე), ბოჭორიშვილი, წერეთელი, ცქიფურიშვილი, ჩუბინიძე, ხაჩიძე (62. ჭელიშვილი), ჯიშიაშვილი, ყურაშვილი, თევზაძე, მერკვილაძე, გვენეტაძე

*სათადარიგო:* კალანდაძე

გაფრთხილება: წერეთელი (42)

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**კოლხეთი (ფ.)-მაღაროელი 2:2**

19 აპრილი. ფოთი. ცენტრალური.
100 მაყურებელი

0:1 მდივნიშვილი (10), 0:2 ზ. ხაჭიპერაძე (15), 1:2 შუკაკიძე (30. ს.კ.), 2:2 ციკოლია (52)

კოლხეთი: გ. შენგელია, ნარსია, სიჭინავა, გეგელია, ლუხუა, კილასონია, გოგნაძე, გვიჩია (90. მეგრელიშვილი), აბურჯანია (86. გოგინაია), ციკოლია, ხიზანიშვილი

*სათადარიგოები:* ჩემია, მოისწრაფიშვილი, ზ. შენგელია, გახარია, ყურუა

მაღაროელი: დოლაძე, ბიბილაშვილი, ეგაძე (89. ჯაჯანიძე), ბრეგვაძე (54. გამცემლიძე), შუკაკიძე, ილურიძე (78. სეფერთელაძე), ზ. ხაჭიპერაძე, ჩხარტიშვილი, ტყებუჩავა, სევასტოპულო, მდივნიშვილი

*სათადარიგოები:* მამარდაშვილი, გაფრინდაშვილი, ცუცქირიძე, სამხარაძე

გაფრთხილება: ციკოლია (18), აბურჯანია (29), სიჭინავა (70), გ. შენგელია (71), სევასტოპულო (73)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**უნივერს. (ქუთ.)-ზესტაფონი 2 3:1**

19 აპრილი. ქუთაისი. ცენტრალური.
150 მაყურებელი

1:0 შველიძე (49. პენ.), 2:0 ბოდოკია (66), 2:1 შარანგია (75), 3:1 ბოდოკია (89)

უნივერსიტეტი: კუჭუხიძე, ტორაძე, ნიქორიძე, დარჯანია, შველიძე, მორჩილაძე, ჭოლოშვილი (77. კვირიკაშვილი), ბასილაია, ქაშიბაძე, ბოდოკია, კუბლაშვილი (71. ქორიძე)

*სათადარიგოები:* დვალიშვილი, მეფარიშვილი

ზესტაფონი 2: ჯალაღონია, შარანგია, სანტოსი, ხუმარაშვილი, ჟონატასი (55. ბერუაშვილი), გელაჭეიშვილი, კამლაძე (55. ბერძენაძე), გაბრიჩიძე, ბუკია, გორგიაშვილი, დ. ჯანელიძე (67. ბექა ცხადაძე)

*სათადარიგოები:* ბოჭორიშვილი, ნებიერიძე

გაფრთხილება: ბერუაშვილი (70), კუბლაშვილი (70)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**მერანი (მარტვილი)-ტორპედო 2:1**

19 აპრილი. მარტვილი. ცენტრალური.
300 მაყურებელი

0:1 გაბუნია (45), 1:1 მუმლაძე (54), 2:1 ულენტი (57)

მერანი: ლ. ძაგანია, აქუბარდია (46. ჩალაძე), ფარცვანია, ჩხიკვაძე, კ. ძაგანია, გოგუა, პაპადოპულოსი, არდაშელია (29. ულენტი), ლომია, მუმლაძე, ციცხვაია (58. ბეგოიძე)

*სათადარიგოები:* ცაგარეიშვილი, ტორაძე, კვიტატიანი, შეროზია

ტორპედო: მემარნიშვილი, დათიაშვილი (64. ქათამაძე), ვაჩიბერაძე, ხარებავა, გაბუნია, ჭანკვეტაძე, კირკიტაძე, თვალავაძე (68. გოდერიძე), მეტონიძე (24. ზ. ჩხეტიანი), კილაძე, ქიმუცაძე

*სათადარიგოები:* გიორგობიანი, გურეშიძე, გოგიბერაშვილი, ჭყონია

გაფრთხილება: აქუბარდია (44), ლ. ძაგანია (58), მემარნიშვილი (60), გაბუნია (66), კირკიტაძე (73)

არბიტრი: ვ. გუმბერიძე

**ფაზისი-კოლხეთი (ხობი) 0:3**
(ტექნიკური)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაღაროელი | 23 | 18 | 3 | 2 | 48-17 | 57 |
| 2. ზესტაფონი 2 | 23 | 12 | 2 | 9 | 39-24 | 38 |
| 3. მეშახტე | 23 | 12 | 2 | 9 | 36-34 | 38 |
| 4. მერანი მ. | 23 | 11 | 5 | 7 | 29-20 | 38 |
| 5. კოლხეთი ხ. | 23 | 9 | 6 | 8 | 33-25 | 33 |
| 6. ტორპედო | 23 | 9 | 6 | 8 | 33-28 | 33 |
| 7. კოლხეთი ფ. | 23 | 8 | 7 | 8 | 29-32 | 31 |
| 8. სამტრედია | 23 | 7 | 4 | 12 | 30-46 | 25 |
| 9. უნივერს. | 23 | 7 | 3 | 13 | 19-26 | 24 |
| 10. ფაზისი* | 23 | 2 | 2 | 19 | 17-61 | 8 |

*ფაზისი მოხსნილია გათამაშებიდან

**მომდევნო ტური**

| 24 აპრილი |
|---|
| კოლხეთი ხ.-ზესტაფონი 2 |
| მეშახტე-კოლხეთი ფ. |
| ტორპედო-სამტრედია |
| მაღაროელი-უნივერსიტეტი |

ლეგიონერები

# თურქებმა მეორე შოთაც შეიყვარეს




შოთა შათირიშვილი

**როგორც** შევიტყვეთ, თურქეთში ორი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი ასპარეზობს. თავდამსხმელები, 20 წლის **შოთა შათირიშვილი** და მასზე ერთი წლით უფროსი **სოსო ჭიკაიძე** ქოჯაელის მხარის ქალაქ იზმითის "ბალაბანის" ღირსებას იცავენ. "ლელო" შოთა შათირიშვილს დაუკავშირდა, რომელმაც მისი და სოსოს თურქეთში მოხვედრის ამბავი გვიამბო და თავისი გუნდის შესახებაც გვესაუბრა.

სანამ უშუალოდ ჩვენს თანამემამულეებზე გადავიდოდეთ, აქვე თურქეთის ჩემპიონატის სტრუქტურაზე გეტყვით. უმაღლეს, ანუ სუპერლიგას მოსდევს A და B დივიზიონები. ეს სამი ლიგა პროფესიულია, რასაც უკვე სამოყვარულო ლიგები მოჰყვება. ქართველთა გუნდი მოყვარულთა სუპერლიგაში თამაშობს, რაც ქვეყნის მთავარი ლიგის შემდეგ, რანგით მესამეა. "ბალაბანს" აქ გამარჯვებისა და B დივიზიონში გადასვლის კარგი შანსი აქვს.

შოთა შათირიშვილი რუსთაველია. ვარჯიში "მთვარის გლობუსში" დაიწყო, შემდეგ რუსთავის "აზოტში" თამაშობდა, იყო "მერანშიც", ბოლოს კი რეგიონულ ლიგაში გამოდიოდა 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდის შემადგენლობაში. თურქეთში პირველად გასულ ზაფხულს იყო, სადაც ქართული გუნდი საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობდა. თურქ სკაუტებს რამდენიმე ქართველი მოეწონათ, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გარდა, იქ დარჩენა ყველამ ვერ შეძლო. შოთამ "ბალაბანში" თავიდანვე კარგად წარმოაჩინა თავი და ლიგის ბომბარდირთა შორის მოხვდა. იგი რამდენჯერმე შეიყვანეს ტურის სიმბოლურ ნაკრებში. აღსანიშნავია, რომ სადებიუტო სამ მატჩში შოთამ ოთხი გოლი გაიტანა. სოსო ჭიკაიძეც არანაკლები წარმატებით ასპარეზობს. "ბალაბანსა" და მის ქართველ ლეგიონერებზე ადგილობრივი პრესაც სისტემატიურად წერს.

იმის მიუხედავად, რომ გუნდი სამოყვარულოა და ქვედა ლიგაში ასპარეზობს, მას საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. იზმითი პატარა ქალაქია და მის მოსახლეობას ფეხბურთი ძალიან უყვარს. "ბალაბანში" ყველა ასაკის ფეხბურთელები ასპარეზობენ. გასამრჯელო არცთუ მაღალი, მაგრამ მაინც ნორმალურია, საწვრთნელი და სათამაშო პირობები კი იდეალურია. კლუბს აქვს საკუთარი ბაზა და თანამედროვედ მოწყობილი სტადიონი. შოთა და სოსო თავიდან ბაზაზე ცხოვრობდნენ, ახლახანს კი მათ ბინაც მისცეს.

"ბალაბანთან" ერთად ვარჯიშობს და შესაძლოა, მასთან კონტრაქტი გააფორმოს კიდევ ერთმა ქართველმა, ამპლუით მეკარემ, **ზვიად გოგრიჭიანმა**. არც ისაა გამორიცხული, იგი თურქული სუპერლიგის ბინადარის, "ქოჯაელის" დუბლებში აღმოჩნდეს.

ქართველებმა იზმითში თავიდანვე დიდი სიყვარული დაიმსახურეს. ჩვენი თანამემამულეები იქ განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ. ყველაფერთან ერთად, შოთა შათირიშვილს სახელის გამოც აფასებენ. **შოთა არველაძეს** ხომ ყველა თურქი გულშემატკივარი შესანიშნავად იცნობს.

*"აქ ყველაფრით კმაყოფილი ვარ. ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელები ძირითადად, რუსეთში ცდილობენ წასვლას, მაგრამ არც თურქეთია ურიგო ვარიანტი. ქვეყანაში ნამდვილი საფეხბურთო ბუმია, კლუბები კარგად ფინანსდება და ფეხბურთელს შრომა აუცილებლად დაუფასდება. მეც მაქვს იმედი, რომ ამჟამინდელი გუნდი ტრამპლინად გამომადგება და უახლოეს პერიოდში უფრო მაღალ დონეზე ვითამაშებ. ჯერჯერობით კი, ყველაფერი კარგადაა. აქაურებთან, მოსახლეობასთანაც და თანაგუნდელებთანაც, თავიდანვე კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, ენაც არაა რთული სასწავლი, თურქულად უკვე ვლაპარაკობ კიდეც. იზმითში ბოლომდე მეძლევა ჩემი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება. აქ შესანიშნავი გარემოა, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მადლობა ღმერთს, ტრავმები არ მაწუხებს, შრომა არ მეზარება და ცდას არ დავაკლებ, რომ სულ მალე ქართველმა გულშემატკივარმა კარგად გამიცნოს"*, - ამბობს შოთა.

ჩვენც იმედი ვიქონიოთ, რომ თურქეთში მოასპარეზე ქართველებს მალე უფრო მაღალ დონეზე მიეცემათ თავის გამოჩენის საშუალება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი

# ენფილდს მეხი დაეცა



რიისემ ლივერპულს ყელი გამოჭრა

| ლივერპული-ჩელსი | 1:1 |
|---|---|

ლივერპული: რეინა, შკრტელი, კარაგერი, ფაბიო აურელიო (62. რიისე), არბელოა, მასკერანო, ჯერარდი, ჩაბი ალონსო, ფერნანდო ტორესი, კუიტი, ბაბელი (75. ბენაიუნი).

ჩელსი: ჩეხი, რიკარდო კარვალიო, ტერი, პაულო ფერეირა, ეშლი კოული, ლემპარდი, ბალაკი (86. ანელკა), მალუდა, მაკელელე, ჯო კოული (63. კალუ), დროგბა.

გოლები: 1:0 კუიტი (43), 1:1 რიისე (90+4-საკ. კარში)

მაყურებელი: 41 985

არბიტრი: კონრად პლაუტცი (ავსტრია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ლივერპული

პირველი ჯარიმა: ლივერპული

პირველი კუთხური: ჩელსი

პირველი გაფრთხილება: ჩელსი

| | | |
|---|---|---|
| 11(7) | დარტყმა | 7(3) |
| 20 | ჯარიმა | 16 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 51% | ბურთის ფლობა | 49% |

## სტენოგრამა

### I ტაიმი

3 - საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან კარაგერი დაჯარიმდა. დროგბამ 22 მეტრიდან ჯარიმა დაარტყა და ცოცხალ კედელს გაარტყა ბურთი.

8 - ჯერარდმა საჯარიმოს გარედან დაარტყა და ჩეხი გაავარჯიშა.

13 - გრძელი პასი კუიტის მისამართით. ჰოლანდიელი მკერდით ცდილობდა ბურთის გაჩერებას, მაგრამ გაექცა და სტუმრებმა მოიგერიეს.

17 - ტერისთან ბრძოლაში ფერნანდო ტორესმა დარტყმა სცადა, მაგრამ მხოლოდ ფეხი წაკრა ბურთს.

19 - "არისტოკრატებმა" ფლანგიდან ჯარიმა შეასრულეს - ლივერპულელმა მცველებმა ბურთი გამოიტანეს.

21 - სიღრმიდან პასის შემდეგ, ჯო კოულმა ახლო მანძილიდან შეუჩერებლივ დარტყმა სცადა. რეინას არ გაჭირვებია ბურთის დაჭერა.

29 - დროგბა საჯარიმოში შევიდა და კარაგერთან ორთაბრძოლაში საკუთარი ინიციატივით დაეცა. პლაუტცმა სწორად შეაფასა სიტუაცია.

31 - პირველი საგოლე მომენტი! ჯერარდმა ტორესი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ესპანელს მცველები უშლიდნენ ხელს, თუმცა დარტყმა მაინც მოასწრო და ის ჩეხმა მოიგერია.

43 - გოოოოოოოოლ!!!!! "ჩელსიმ" თითქოს მოიგერია "ლივერპულის" შეტევა, მაგრამ ლემპარდმა მასკერანოს ჩააბარა ბურთი, არგენტინელმა კუიტი მონახა და ჰოლანდიელმა ფეხებში გაუტარა ბურთი ჩეხს.

### II ტაიმი

50 - მეორე ტაიმი "ლივერპულმა" კარგად დაიწყო. აურელიომ კარის გასწვრივ ჩააწოდა, ტორესმა ხელსაყრელ სიტუაციაში მიიღო ბურთი, მაგრამ მაკელელემ სიტუაცია განმუხტა.

52 - ბაბელი საჯარიმოში შევარდა და ჩაბი ალონსო მონახა, რომლის დარტყმას მცველები გადაეღობნენ.

55 - მასკერანოს დარტყმა ჩეხმა მოიგერია.

59 - ბაბელმა შორის მანძილიდან შეუჩერებლად დაარტყა - არაზუსტად.

67 - ლონდონელებმა მარცხენა ფლანგიდან ჯარიმა ჩააწოდეს - ბალაკის თავურს ადგილზე დახვდა რეინა.

68 - "ჩელსის" მომენტი! ლემპარდმა საჯარიმოს შორეულ კუთხეში მალუდას გაუკეთა პასი, ფრანგმა მცველი ჩამოიშორა და შორეულ კუთხეში დაარტყა - მასკერანომ ვარდნაში მოიგერია ბურთი.

79 - რიისეს შორი დარტყმა ჩეხმა დაიჭირა.

81 - საჯარიმოში შეჭრილმა კალუმ ლემპარდის მისამართით გაგზავნა ბურთი, მაგრამ ბოლო მომენტში კარაგერმა იმარჯვა.

84 - ბალაკის შორეულ დარტყმას რეინა იოლად გაუმკლავდა.

85 - ჯერარდის ბრწყინვალე თამაში. საჯარიმოს კუთხესთან მაკელელე მოატყუა და ცხრიანში დაარტყა. ჩეხმა არანაკლებ ბრწყინვალედ ითამაშა და კუთხურზე გადააგდო ბურთი.

90+3 - ჩეხმა ორმატჩიან სერიას ინტრიგა შეუნარჩუნა - ტორესის მიერ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი მოიგერია.

90+4 - გოოოოოოოოლ!!!!! რიისეს ავტოგოლი. კალუმ კარის გასწვრივ ჩააწოდა და ნორვეგიელმა ვარდნაში თავით საკუთარ კარში გაუშვა ბურთი.

ბრიტანეთში ტრადიციებს პატივს სცემენ. ერთ-ერთი ინგლისური ტრადიციაა - "ლივერპულისა" და "ჩელსის" დაპირისპირება ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ ეტაპზე. გუშინდელი მეტოქეები ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ ხვდებიან ერთმანეთს ამ სტადიაზე. წინა ორ შემთხვევაში, საპასუხო შეხვედრაში საკუთარი მოედნის უპირატესობა "ლივერპულს" ჰქონდა (და ორივეჯერ გავიდა ფინალში), მაგრამ ამჯერად პირველ მატჩს "ენფილდმა" უმასპინძლა. ახლა, "ჩელსის" "სტემფორდ ბრიჯზე" ისტორიის შეცვლისა და თავისი არსებობის მანძილზე ჩემპიონთა თასის ფინალში პირველად გასვლის დიდი შანსი გაუჩნდა. ეს შანსი "არისტოკრატებმა" გუშინდელი შეხვედრის ფანტასტიკური ფინალის შემდეგ მიიღეს. მსაჯის მიერ დამატებულ დროში, "ლივერპულმა" უპირატესობის ორ ბურთამდე გაზრდის შანსი გაუშვა და იქვე დაისაჯა. **იონ-არნე რიისემ** თავისი ავტოგოლით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა "მერსისაიდელები".

პირველმა ტაიმმა მოლოდინი არ გაამართლა. როგორც მატჩის წინ მწვრთნელები ვარაუდობდნენ, ჩაკეტილი თამაში წავიდა. თავიდან "ლივერპული" ძალიან დაბნეული ჩანდა, ბევრ შეცდომას უშვებდა და შესაბამისად, ინიციატივას სტუმართა გუნდი დაეუფლა. მაგრამ ლონდონელთა ეს უპირატესობა ერთადერთ მომენტში გამოიხატა - სახიფათო ჯარიმით **დიდიე დროგბამ** ვერ იხეირა. არადა, "ჩელსის" შეეძლო ერთი კოზირის ( თუ შეიძლება ამას კოზირი ეწოდოს) გამოყენება. მასპინძელთა რიგებში არ თამაშობდა **სამი ჰიიპია** და დაცვის ცენტრში **ჯეიმი კარაგერი** მოქმედებდა, რომელსაც ამ პოზიციაზე წელიწადში ორჯერ-სამჯერ თუ უწევს თამაში. თანაც კარაგერს მეწყვილედ "ენფილდზე" ამ სეზონის მსვლელობისას გადასული **შკრტელი** ჰყავდა. ასე რომ, ამ დუეტის შეთამაშებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მაგრამ "ჩელსიმ" ეს ფაქტორი ვერ გამოიყენა. პრინციპში, მას ამის გაკეთების საშუალება თავად კარაგერმა და შკრტელმა არ მისცეს.

"ლივერპულმა" სადღაც მე-15 წუთისთვის გაათანაბრა თამაში, მაგრამ განსაკუთრებული ხიფათი არც **პეტრ ჩეხის** კართან იქმნებოდა. ამიტომაც, ცოტათი ალოგიკური ჩანდა ის გოლი, რომელიც ტაიმის მიწურულს **დირკ კუიტმა** გაიტანა.

კარგად დაწყებული საქმის შემდეგ, ასეთი დასანანი გოლის გაშვებამ "ჩელსიზე" ცუდად იმოქმედა და მეორე ტაიმში ინიციატივას მთლიანად მასპინძელთა გუნდი დაეუფლა. რაც მთავარია, თამაში გაიხსნა, ტემპმა იმატა და ბურთი მოედნის ცენტრში პრაქტიკულად არ ჩერდებოდა.

სტუმრებმა აქცენტი კონტრშეტევებზე გააკეთეს, ერთიორი სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ ეს არაფერი იყო იმ ორ ეპიზოდთან შედარებით, რომელიც მატჩის ბოლოს ჩეხის კართან წარმოიქმნა. ერთის შესახებ ზემოთ უკვე გითხარით, მანამდე კი, შეხვედრის ყველაზე ლამაზი მომენტი **სტივენ ჯერარდმა** შექმნა. მისი ფინტი და დარტყმა ისეთივე უნაკლო იყო, როგორიც ჩეხის სეივი.

აქედან გამომდინარე, რიისეს ავტოგოლი, კუიტის მიერ პირველი ტაიმის ბოლოს გატანილ გოლზე უფრო ალოგიკური იყო. ეს იყო ჩემპიონთა ლიგაზე "ჩელსის" პირველი გოლი "ლივერპულთან" გასვლით შეხვედრაში. და ამ გოლმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საბოლოო შედეგზე.

**გია თვალაბეიშვილი**

მანჩესტერი. მცოცავი პოლიტიკის პირველი შედეგი

# რონალდო: ოლდ ტრეფორდზე სამუდამოდ

## შეშფოთებული მიატოვიჩი აღიარებს, რომ ბრიტანელებმა ბრძოლა მოიგეს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მესვეურები მადრიდის "რეალის" გააქტიურებით უკიდურესად შეშფოთდნენ. რამდენიმე კვირის წინათ **პრედრაგ მიატოვიჩი** ინგლისში **კრისტიანო რონალდოს** მენეჯერის სანახავად იმყოფებოდა. სამეფო კლუბის გენერალური დირექტორი ნისლიანი ალბიონიდან ოპტიმიზმით აღსავსე დაბრუნდა და გულშემატკივრებს პორტუგალიელი ვარსკვლავის შეძენის რეალური შესაძლებლობის შესახებ ამცნო. მიატოვიჩის გასაოცარ ოპტიმიზმს რონალდოს მენეჯერის საქმიანი განწყობა განაპირობებდა. როგორც ჩანს, "იუნაიტედის" სუპერვარსკვლავის წარმომადგენელმა ესპანელებს თანამშრომლობის პირობა მისცა. ინჩასები დიდი ტრანსფერის მოლოდინში გაირინდნენ, მაგრამ მალე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ბრიტანული გრანდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა **კარლუშ კეირუშმა** ესპანელ ჟურნალისტებს საკუთარი ინიციატივით დაურეკა და მათთან სახელდახელო სატელეფონო პრესკონფერენცია მოაწყო. პორტუგალიელმა სპეციალისტმა მაშინ სამეფო კლუბის გულშემატკივრებისთვის სამწუხარო რამ თქვა. კეირუშმა კლუბის სახელით განაცხადა, რომ კრისტიანო არ იყიდება, ბოლოს ისიც დაამატა, დედამიწაზე არ არსებობს იმ რაოდენობის ფული, რომელიც რონალდოს შეძენას ეყოფაო. რა თქმა უნდა, ამ კატეგორიული განცხადებით, სეუ კარლუშმა ესპანელებს გარკვევით მიანიშნა, რომ რონალდოზე ფიქრი უაზროა.

"მანჩესტერს" მართლაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ კრისტიანოს "ილდ ტრეფორდიდან" არ გაუშვებს. ბუნებრივია, მშვიდი ცხოვრებისთვის მხოლოდ ლაპარაკი არ კმარა. იმისათვის, რომ რონალდოს გადაბირების შანსი ყველა დაინტერესებულმა კლუბმა დაკარგოს, "წითელი ეშმაკების" ხელმძღვანელებმა მას საკონტრაქტო ვადა უნდა გაუხანგრძლივონ და ფინანსური პირობებიც მნიშვნელოვნად გაუუმჯობესონ. ბუნებრივია, ამ ტექნოლოგიებს ინგლისური გრანდის ბოსები ძალიან კარგად იცნობენ და საკითხის მოგვარება არ გაუჭირდებათ. თავად დარწმუნდით, ალბიონელებმა გადაწყვიტეს, რომ რონალდო კარიერის ბოლომდე "ოლდ ტრეფორდზე" დატოვონ. მიზნის მისაღწევად ისინი ფულს ნამდვილად არ დაიშურებენ. ინგლისელები ეგრეთ წოდებული მცოცავი პოლიტიკით შეეცდებიან დასახული ამოცანის გადაჭრას. მოდით, უკეთ გავერკვეთ ვითარებაში. მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ ყოველი სეზონის მიწურულს საკონტრაქტო პირობებს გადახედავენ და მისი ვადის გახანგრძლივებაზე იმსჯელებენ. სწორედ ეს არის მცოცავი პოლიტიკა, მოქმედი ხელშეკრულების ამოწურვამდე "მანჩესტერის" ხელმძღვანელობა მის ვადას კიდევ უფრო გაახანგრძლივებს. ამჯერად მხარეები კონტრაქტის ორი წლით გაგრძელებაზე შეთანხმდნენ. აქამდე რონალდო "წითელ ეშმაკებთან" 2012 წლამდე იყო დაკავშირებული, თუმცა უახლოეს დღეებში კლუბის შეფები და ფეხბურთელის მენეჯერები მაგიდას მიუსხდებიან და უკვე თითქმის ასი პროცენტით შეთანხმებულ დოკუმენტს ხელს მოაწერენ. კრისტიანოს თანამშრომლობის 2014 წლამდე გაგრძელებას სთავაზობენ. ფეხბურთელისთვის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ წლიურ გასამრჯელოს 4.7 მილიონი ევროთი გაუზრდიან.

პორტუგალიელი ვარსკვლავისთვის პირობების ასეთი გაუმჯობესების შემდეგ "რეალი" მისი გადაბირების ყველა შანსს დაკარგავს. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ბრიტანელებმა თავიანთი ვარსკვლავის სატრანსფერო ღირებულებად 120 მილიონი ფუნტი დაასახელეს. მართალია, "რეალი" პლანეტის უმდიდრესი კლუბია, მაგრამ ერთ ფეხბურთელში ამხელა ფულის გადახდას ისიც ვერ შეძლებს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე პრედრაგ მიატოვიჩმა დაკარგულ შანსზე ღიად ისაუბრა: *"ყველაზე მეტად სწორედ ამის მეშინოდა. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ მანჩესტერელები მის შესანარჩუნებლად ყველაფერს გააკეთებდნენ. "იუნაიტედი" ის გუნდი არ არის, უპირველეს ამოცანად ფულის გაკეთება დაისახოს. მათთვის მთავარი შედეგია. სანდო წყაროზე დაყრდნობით თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ რონალდოს უახლოეს დღეებში ახალ კონტრაქტს გაუფორმებენ. საფეხბურთო პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ ხელშეკრულების გახანგრძლივების შემდეგ ამა თუ იმ ფეხბურთელის სხვა კლუბში გადასვლა შეუძლებელია. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ კრისტიანო რონალდოს შეძენის შანსი დავკარგეთ. არადა, ჩვენ ძალიან სწორად ვმოქმედებდით. ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ პორტუგალიელს "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაეგრძელებინა კარიერა. თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხბურთელის დედასაც კი შევხვდით. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ის ქალბატონი "რეალის" თავგადაკლული გულშემატკივარია. ვთხოვეთ, შვილთან ეშუამდგომლა. კრისტიანოს ჩვენთან გადმოსვლა ძალიან უნდოდა, მაგრამ ბოლოს "მანჩესტერში" დარჩენაზე დაითანხმეს. უნდა ვაღიარო, რომ არათანასწორი ბრძოლა წავაგეთ. რა გაეწყობა, წაგებასაც ღირსეულად უნდა შევხვდეთ."*



ბუნებრივია, მიატოვიჩისგან განსხვავებით "მანჩესტერ იუნაიტედის" თავმჯდომარე **დევიდ გილი** არაჩვეულებრივ განწყობაზეა: *"ერთი წამითაც არ შეგვშინებია, რომ კრისტიანო რონალდოს დავკარგავდით. ჩვენ გეგმაზომიერად ვმუშაობდით. ფეხბურთელის მენეჯერთან ყველა დეტალი შევათანხმეთ. კონტრაქტის გაფორმებას წინ ვერაფერი აღუდგება. უახლოეს დღეებში ჩემს კაბინეტში შევიკრიბებით და ახალ კონტრაქტს გავაფორმებთ. მიხარია, რომ რონალდო ჩვენს წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდა. ის ჩვენი გუნდის ლიდერია და "ოლდ ტრეფორდზე" ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს. დარწმუნებული ვარ, კრისტიანო მომდევნო წლებში უამრავ წარმატებას მოგვიტანს. ჩვენ ძალიან წარმატებული თანამშრომლობა გვექნება."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ იოჰან კრუიფთან

# მანჩესტერი შეტევებით უნდა დავბომბოთ

"ბარსელონისა" და "მანჩესტერის" საჩემპიონთალიგო მატჩის მოახლოვებასთან ერთად აჟიოტაჟი პიკს აღწევს. კატალონიაში ახლა უკლებლივ ყველა გულშემატკივარი ამ შეხვედრის მოლოდინით ცხოვრობს. ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ "ბარსელონისთვის" ჩემპიონთა ლიგა სეზონის გადარჩენის ერთადერთი შანსია. კატალონიური და ინგლისური კლუბების დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, სპეციალისტები ფავორიტად "წითელ ეშმაკებს" ასახელებენ, თუმცა ამ სპეციალისტთა აბსოლუტური უმრავლესობა იმასაც ამბობს, რომ "ბარსელონამ" ნებისმიერ წამს შეიძლება ძალა მოიკრიბოს და ფავორიტად შერაცხული "იუნაიტედი" ნახევარფინალიდან გამოაგდოს. გუშინ, კატალონიის ტელევიზიაში იოჰან კრუიფი მიიწვიეს და ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვეს. ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა სწორედ "ბარსას" შანსებზე გაამახვილა ყურადღება. კრუიფი დაუფარავად აცხადებს, რომ "მანჩესტერი" დღეისთვის გაცილებით უკეთეს ფორმაშია, მაგრამ ამტკიცებს, რომ ბრიტანელებს არაერთი სუსტი წერტილი აქვთ და თუ ფრენკ რაიკაარდის ბიჭები სწორი ტაქტიკით ისპარეზებენ, ფინალში გასვლის მშვენიერი შანსი ექნებათ.

**- დიდ მატჩამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. ბარსელონაში უცნაური სულისკვეთებაა. ადრე ნახევარფინალების წინ მთელი ქალაქი დიდ გამარჯვებას ელოდა ხოლმე, მაგრამ ახლა ბარებში თუ შეხვალთ, აღმოაჩენთ, რომ ინჩასებს შეშფოთებული გამომეტყველება აქვთ. თითქოს საზოგადოებას "მანჩესტერ იუნაიტედის" ეშინია. თქვენ რას ელით ამ თამაშისგან?**

- ამ საქმეში შიში ყველაზე საშიში თანამგზავრია. ერთი შეხედვით გულშემატკივრები ტრიბუნებზე ზიან და მათ თუ შიში შეიპყრობს, ბევრი არც არაფერი დაშავდება, მაგრამ სინამდვილეში ინჩასების განწყობა უხილავი ძაფებით ფეხბურთელებზე გადადის. ერთია, როცა შემართული, უშიშარი და თავდაჯერებული ქომაგები გამხნევებენ და მეორე, როცა შიშით თვალებგაფართოებული ხალხი ხმას ვერ იღებს და სტადიონზე სამარისებული სიჩუმე სუფევს. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ "მანჩესტერის" არ უნდა გვეშინოდეს. თუ "ბარსელონა" იდიოტურ შეცდომებს არ დაუშვებს, ბრიტანელების დამარცხება შეუძლებელი სულაც არ იქნება. "ბარსამ" ძალიან სწორი და გამართული ტაქტიკით უნდა ისპარეზოს. "მანჩესტერ იუნაიტედს" დაცვაში პრობლემები აქვს, ამ პრობლემებს კი მცველების არადამაჯერებელი თამაში განაპირობებს. რაიკაარდის ბიჭებმა მოწინააღმდეგის ეს სუსტი წერტილი აუცილებლად უნდა გამოიყენონ. "ბარსელონა," უბრალოდ, ვალდებულია, რომ შეუტიოს და "მანჩესტერის" დაცვა სულისშემხუთველ პრესინგში ამყოფოს. თუ ამას გააკეთებენ, დარწმუნებული ვარ, ინგლისელები გატყდებიან, სერიოზულ შეცდომას დაუშვებენ და გოლს მიიღებენ.

**- თქვენ კონკრეტულ რჩევებს გვთავაზობთ, მაგრამ რაიკაარდი აქამდე მხოლოდ პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსებზე საუბრობდა. თქვენ წარმოიდგინეთ, "ესპანიოლთან" ყაიმის მიუხედავად მთავარი მწვრთნელი აცხადებდა, რომ "ბარსას" პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსი არ დაუკარგავს...**

- არა მგონია, რაიკაარდს ასეთი რამ ეთქვა. ალბათ, იგულისხმა, სანამ თეორიული შანსი მაინც იარსებებს, ბრძოლას არ შევწყვეტთო. ეს ასეც უნდა იყოს, თუმცა "ბარსელონას" პრიმერა დივიზიონი წაგებული რომ აქვს, ამას ნებისმიერი ადამიანი მიხვდება. ამიტომ, ჯობია, ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა ესპანეთის პირველობაზე საერთოდ აღარ იფიქრონ. რა გაეწყობა, წლევანდელი პრიმერადივიზიონური სეზონი ჩაფლავდა, მაგრამ ამას ჩემპიონთა ლიგაც არ უნდა გადააყოლონ. წარმოიდგინეთ, იმისთვის რომ გუნდმა უდიდესი ჯილდო დაისაკუთროს, სულ რაღაც სამი შეხვედრის მოგებაა საჭირო. პრინციპში, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სამი გამარჯვებაც არ დაგჭირდეს. ამით იმის თქმა მსურს, რომ სამი, თუნდაც ყველაზე რთული და დრამატული შეხვედრის მისთვის სასურველი შედეგით დასრულების უნარი შესწევს. აბსოლუტრად ყველაფერი მწვრთნელსა და ფეხბურთელებზეა დამოკიდებული.

**- თქვნ ისე ლაპარაკობთ, შიში კი არა, გულშემატკივრები ოპტიმიზმით უნდა ალივსონ. ნუთუ, მანჩესტერთან ბრძოლაში შანსები თანაბარია?**

- ნურავინ იფიქრებს, რომ იოჰან კრუიფი "მანჩესტერის" შესაძლებლობებს აკნინებს. არავითარ შემთხვევაში. ინგლისელებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ. ამიტომაც ვამბობ, რომ "ბარსელონას" მაქსიმალური მობილიზება სჭირდება. თუ რაიკაარდის შეგირდები შესაძლებლობების მაქსიმუმს არ გამოამჟღავნებენ, გამარჯვება ძალიან გაჭირდება. "მანჩესტერი" ინგლისის ჩემპიონატში არაჩვეულებრივად ასპარეზობს, "ბარსას" კი პრიმერა დივიზიონში გამარჯვების მინიმალური შანსიც არ დარჩა. მიუხედავად ამისა, ოპტიმიზმით ვარ აღსავსე. ამ ოპტიმიზმს რამდენიმე გარემოება განაპირობებს. ჯერ ერთი რომ, ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში თამაში უდიდესი მოტივაციაა. თუ თავმოყვარეობა გაგაჩნია, ასეთ შეხვედრებში თავი უნდა გაწირო და ნებისმიერ ფასად საკუთარი ღირსება დაიცვა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ნახევარფინალის წინ ჩემთვის პრიმერა დივიზიონში არსებული პრობლემები საერთოდ არაფერს ნიშნავს. ჩემპიონთა ლიგა აბსოლუტურად სულ სხვა ისტორიაა. ამ ტურნირს სრულიად განსხვავებული სპეციფიკა აქვს. თუ ჩვენი ბიჭები ამ სპეციფიკას კარგად მოერგებიან, მოსკოვში ითამაშებენ. მინდა ვისურვო, რომ ბიჭები სულელურ შეცდომებს არ დაუშვებენ.

**- თქვენ რომ იყოთ "ბარსელონის" მთავარი მწვრთნელი, გუნდს როგორი ტაქტიკით ათამაშებდით?**



- ძალიან რთული კითხვაა. ამ კითხვაზე კომპეტენტური პასუხი რომ გაგცეთ, მართლა მთავარი მწვრთნელი უნდა ვიყო და ფეხბურთელებთან ერთად ყოველ დღე უნდა ვმუშაობდე. არა მგონია, რაიკაარდს ველოსიპედის თავიდან გამოგონება სჭირდებოდეს. მჯერა, ფრენკი მოვლენებს ადეკვატურად შეაფასებს და იმ ტაქტიკას აირჩევს, რომელიც გამარჯვებას მოგვიტანს. ბუნებრივია, მწვრთნელს არაფერს ვასწავლი, უბრალოდ, მსურს განვაცხადო, რომ "მანჩესტერის" დამარცხების წინაპირობად მძლავრ შეტევას მივიჩნევ. ღრმად მწამს, რომ მასობრივი შეტევების შემთხვევაში ინგლისელების დაცვაში დიდი ბზარი გაჩნდება, "ბარსელონამ" ამით უნდა ისარგებლოს და ბზარი ნაპრალად აქციოს. თამამი შეტევა ყოველთვის "ბარსას" საფირმო ნიშანი იყო. ძველი დრო უნდა გავიხსენოთ და ვაჟკაცურად ვითამაშოთ. მოკლედ, "მანჩესტერი" შეტევებით უნდა დავბომბოთ.

**- გეთანხმებით, შეტევა კატალონიურ საფეხბურთო საზოგადოებას ყველაზე მეტად იტაცებს, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ მძლავრი იერიშები კონტრშეტევების უდიდეს საფრთხეს შეიცავს. დამეთანხმებით, "ბარსელონის" ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა დაცვის შეუთამაშებლობა და სისუსტეა...**

- სამწუხაროდ, ბოლო დროს მართლაც ბევრ გოლს ვუშვებთ. ყველაზე ცუდი ის არის, რომ "ბარსელონა" ანგარიშის გახსნის შემდეგ უპირატესობის შენარჩუნებას ვერ ახერხებს. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი "ბეტისთან" დაპირისპირება გახლდათ. გუნდი 2:0-ს იგებდა, მაგრამ მიუტევებელი შეცდომები დაუშვეს და წააგეს. ბუნებრივია, თუ "მანჩესტერთანაც" ასეთივე შეცდომებს დაუშვებენ, ბუნებრივია, არანაირი შანსი არ გვექნება. მჯერა, რომ შემადგენლობა წარსულში დაშვებულ შეცდომებს ჭკუის სასწავლებლად გამოიყენებს. ბოლოს და ბოლოს, საქმე რამდენიმე თამაშს შეეხება, არ ვამბობ, რომ "ბარსა" აუცილებლად გაიმარჯვებს. სულაც არა, უბრალოდ, ფეხბურთელებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ახლა აბსოლუტურად ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. მათ ვაჟკაცურად უნდა იბრძოლონ. ვაჟკაცობაში მამაკაცური თვისებებისა და გამბედაობის მაქსიმალურად გამომჟღავნებას ვგულისხმობ. მცველებმა წელს მართლაც ბევრი შეცდომა დაუშვეს, მაგრამ ისინი უდიდესი პროფესიონალები არიან. ამჯერად თუ თავს გადადებენ და ღირსეულად ითამაშებენ, აბსოლუტურად ყველა შეცდომას გამოისყიდიან.

**- პირველ შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო კარლეს პუიოლი დააკლდება...**

- სერიოზული დანაკლისია, მაგრამ ამის გამო ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ. ჩემი აზრით, კარლესის ღირსეულად შეცვლა წარმოუდგენელი არ არის. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს რაიკაარდი, მას რამდენიმე არჩევანი აქვს. შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში რაფა მარკესი ვიხილოთ. მაშფოთებს, რომ მექსიკელ მცველს ტრავმის გამო საკმაოდ დიდი დრო გაუცდა. შესაძლოა, მწვრთნელმა სხვა ფეხბურთელზე გააკეთოს არჩევანი. არ გამოვრიცხავ, რაიკაარდს გადაწყვეტილება ჯერაც არ ჰქონდეს მიღებული.

**- როგორ ფიქრობთ, ამ ნახევარფინალში ვარსკვლავების ინდივიდუალიზმს რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება?**

- ძალიან კარგი კითხვაა. ამდენი ხანია, ტაქტიკაზე, სტრატეგიასა და ათას საკითხზე ვსაუბრობთ, მაგრამ ვარსკვლავების ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე თითქმის არაფერი გვითქვამს. მიუხედავად იმისა, რომ "ბარსელონის" ვარსკვლავები საუკეთესო ფორმაში არ იმყოფებიან, მე მათი დიდი იმედი მაქვს. ლეო მესიმ კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა უნდა ჩაატაროს. იგივეს ვიტყოდი სამუელ ეტოოსა და სხვა ფეხბურთელების მისამართითაც. საკმარისია, რამდენიმე მწვავე იერიში მოაწყონ, მეტოქეები გააბითურონ და მნიშვნელოვანი გოლები გაიტანონ, რომ ფინალში გასვლის შანსი ერთი-ორად გაიზრდება. საოცრად ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მესის იმედი უნდა გვქონდეს. ლეო, შენ იცი, "ბარსელონის" წარმატება დიდწილად შენზეა დამოკიდებული.

**- სპეციალისტები ამ ნახევარფინალს მესისა და კრისტიანო რონალდოს დუელად მიიჩნევენ.**

- ალბათ, გაინტერესებთ, რას ვფიქრობ კრისტიანო რონალდოს შესახებ. ის უნიჭიერესი ფორვარდია და მის ინდივიდუალიზმზეც უამრავი რამ არის დამოკიდებული. მესის მსგავსად, მასაც შეუძლია, რომ თამაში საკუთარ თავზე აიღოს და გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანოს. იმედია, პორტუგალიელი ვარსკვლავი "კამპ ნოუსა" და "ოლდ ტრეფორდზე" კარიერის ყველაზე ცუდ შეხვედრებს ჩაატარებს. "ბარსელონამ" მეტოქეს ბურთი უნდა დაუმალოს და თავისი თამაში მოახვიოს თავს. მოგეხსენებათ, "ბარსასა" და "წითელი ეშმაკების" სტილი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ინგილსელები უფრო ძალისმიერ სტილს ანიჭებენ უპირატესობას. თუ ჩვენი ბიჭები ბურთს მინდორზე გააგორებენ და მოწინააღმდეგეს სახიფათო ჩაწოდებების გაკეთების შესაძლებლობას არ მისცემენ, შანსები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

**- თქვენი აზრით, რომელ გუნდს უფრო დიდი ვარსკვლავები ჰყავს?**

- "მანჩესტერს" რონალდო ჰყავს, ჩვენ მესი. თუ სერ ალექს ფერგიუსონი რუნით იწონებს თავს, ჩვენ ეტოოს თამაში გვახარებს, თუ მაინცა და მაინც, ტევესით დაგვემუქრებიან, ჩვენ ბოიანზე გავაკეთებთ არჩევანს. სკოულზს ინიესტას დავუპირისპირებთ, ფერდინანდს გაბრიელ მილიტოს და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, გემოვნების საკითხია. ჩემი აზრით, "ბარსელონას" უფრო მრავალფეროვანი და მდიდარი შემადგენლობა ჰყავს.

**- ისევ დაცვაში არსებულ პრობლემებს დავუბრუნდები და გკითხავთ, ხომ არ ფიქრობთ, რომ სამი ნახევარმცველით "მანჩესტერთან" თამაში სერიოზულ საფრთხეს შეიცავს?**

- გეთანხმებით, ინგლისელებთან სამი ნახევარმცველით ბრძოლა გარკვეულ საფრთხეს შეიცავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შუა ხაზში მაინცა და მაინც, ოთხი ან ხუთი მოთამაშე უნდა დავაყენოთ. მთავარია, ფეხბურთელებმა ერთმანეთი კარგად დააზღვიონ და თავისუფალი სივრცეები მაქსიმალურად ამოავსონ. მოკლედ, აბსოლუტურად ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, თუ "ბარსელონა" საკუთარ პოტენციალს მაქსიმალურად გამოამჟღავნებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბაიერნი

# ვინ იქნება რენზინგის შემცვლელი?

ორიოდ დღის წინათ, დორტმუნდის "ბორუსიამ" "ლუცერნიდან" მეკარე იყიდა. ვესტფალიელებმა **დავიდ ციბუნგს** წინასწარი კონტრაქტი გაუფორმეს და უკვე ცნობილია, რომ ეს გოლკიპერი მომავალი სეზონიდან "ბორუსიის" შავ-ყვითელ ფორმას მოირგებს. ციბუნგმა დორტმუნდელთა პირველ მეკარე **რომან ვაიდენფელერს** კონკურენცია უნდა გაუწიოს.

ეს იმას ნიშნავს, რომ დორტმუნდელები მომავალ სეზონს 31 წლის **მარკ ციგლერთან** ერთად აღარ გეგმავენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ციგლერს "ბაიერნმა" დაადგა თვალი და თანაც იმდენად სერიოზულად, რომ "ბილდი" წერს, დიდი შანსია, რეკორდმაისტერმა მას ხელშეკრულება დღედღეზე გაუფორმოსო. თვითონ მეკარე ამბობს, "ბაიერნთან" დაკავშირებით არანაირ კომენტარს არ გავაკეთებო და შესაბამისად, არაფერს ადასტურებს, მაგრამ საინტერესო ის გახლავთ, რომ გერმანიის თასის ფინალის შემდეგ, მიუნხენური გიგანტის გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** ციგლერი ძალიან აქო. მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელების ტყუილუბრალოდ ქება კი, ჰიონესს, კარგად მოგეხსენებათ, არ სჩვევია.

ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ ბავარიული გრანდი მზადაა, "ბორუსიას" ციგლერის სანაცვლოდ 1 მილიონი ევრო გადაუხადოს. მარკი რეკორდმაისტერში **მიხაელ რენზინგის** შემცვლელი უნდა გახდეს. როგორც იცით, **ოლივერ კანი** კარიერას ამთავრებს და მას სწორედ რენზინგი შეცვლის. ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, კიდევ ერთი მაღალი კლასის შემცვლელი სჭირდება, რადგან მიხაელმა ტრავმა რომ მიიღოს, მიუნხენელები ნორმალური მეკარის გარეშე დარჩებიან. ციგლერს კი, "ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პრეტენზია არ ექნება – "დორტმუნდშიც" სათადარიგო მეკარის სტატუსს სჯერდება და ვაიდენფელერს ტრავმა რომ არ მიელო, ამ სეზონში თამაში საერთოდ არ მოუწევდა. გარდა ციგლერისა, "ბაიერნის" სასურველ მეკარეთა სიაში ავსტრალიელი **მარკ შვარცერი** (35 წლის) და ამერიკელი **კეისი კელერიც** (38 წლის) არიან.



მარკ ციგლერი

რატომ მაინცა და მაინც, ასაკოვანი შვარცერი და კელერი? პირველი მათგანი "მიდლსბროს" ღირსებას იცავს, უკანასკნელი კი "ფულჰემისა". თანაც, ორივე მუდმივად თამაშობს. ესეც არ იყოს, მიმდინარე სეზონის ბოლოს შვარცერსაც და კელერსაც ხსენებულ კლუბებთან კონტრაქტი უმთავრდებათ, რაც იმას ნიშნავს, რომ "ბაიერნს" მათი გადაბირება უფასოდ შეეძლება. ამას ისიც ემატება, რომ ბუნდესლიგაში თამაშის გამოცდილება ორივე მათგანს აქვს. სამაგიეროდ, ჩემპიონთა ლიგაში არასდროს უთამაშიათ.

ბავარიელებს კანდიდატების სიიდან ჯერ არ ამოუშლიათ გერმანიის ნაკრების კარის დარაჯი **იენს ლემანი**, რომელიც ბავარიული გრანდის მომავალმა მწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმა** თავის დროზე ბუნდესგუნდის პირველ მეკარედ აქცია. "არსენალთან" კონტრაქტი ლემანსაც უმთავრდება და მიუნხენელები მასზეც სერიოზულად ფიქრობენ. ოღონდ, საკითხავია, რამდენად დასჯერდება 38 წლის იენსი სათადარიგო მეკარის სტატუსს. ესეც არ იყოს, ცნობილია, რომ "ბაიერნის" ქომაგები ლემანს ვერ იტანენ. მიუხედავად ამისა, "ზებენერშტრასეზე" ლემანის გვარი სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის.

**გოტფრიდ ლენცი**

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩის წინ

# მანჩესტერი ბარსელონაში ბრუნდება

## ვინ დაამარცხებს ეშმაკებს? კატალონიელებს სერიოზული პრობლემები აქვთ

**ბარსელონა–მანჩესტერ იუნ.**

სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ძამბროტა, მარკესი, გაბრიელ მილიტო, აბიდალი, ჩაბი ალონსო, იაია ტურე, ინიესტა, კრკიჩი, ეტოო, მესი.

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ვესლი ბრაუნი, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი, პატრის ევრა, ქერიკი, სქოულზი, კრისტიანო რონალდო, ტევესი, გიგზი, რუნი.

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)


სერ ალექს ფერგიუსონი


ფრანკ რაიკაარდი

შაბათს, "ბარსელონამ" "ესპანიოლთან" 0:0 ითამაშა. პრიმერა დივიზიონის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ის 11 ქულით ჩამორჩა "რეალს". კატალონიელები ჩემპიონობისთვის ბრძოლას, ფაქტობრივად, გამოეთიშნენ. გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატში, ბოლო რვა შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო. მან "შალკესთან" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩებიც უსახურად ჩაატარა.

ბარსელონელები იმედს **ლიონელ მესიზე** ამყარებენ. მან ბარძაყის ტრავმა მოიშუშა. ვერ ითამაშებს გუნდის ყოფილი თილისმა **რონალდინიო**, რომელიც მომავალი (სავარაუდოდ) სეზონიდან ახალ სამსახურს მონახავს. **ტიერი ანრის** ასპარეზობა საეჭვოა. ფრანგ თავდამსხმელს "ესპანიოლთან" მატჩი სიცხის გამო გაუცდა. მას არც ორშაბათს უვარჯიშია. ამიტომ ესპანელი მიმომხილველების აზრით, მესისა და **სამუელ ეტოოს ბოიან კრკიჩი** შეეშველება.

ორშაბათს არც **ლილიან ტურამს**, **ედმილსონსა** და სარეზერვო მეკარე **ალბერტ ხორკერას** უვარჯიშიათ. "ბარსელონას" კაპიტანი **კარლეს პუიოლიც** ვერ დაეხმარება. ის დისკვალიფიცირებულია. დაცვის ცენტრში **რაფაელ მარკესი** და **გაბრიელ მილიტო** ითამაშებენ. ეტოოს ბოლოდროინდელი წარუმატებლობები ყელში ამოუვიდა და განაცხადა, თუ მდგომარეობა არ გამოსწორდება, ახალ სამსახურზე ვიფიქრებო. ეტოოს არც ის მოსწონს, რომ წყვილის ფავორიტად "მანჩესტერ იუნაიტედს" მიიჩნევენ. *"ეს რომ წავიკითხე, უფრო მეტად მომინდა ფინალში გასვლა,"* - თქვა კამერუნელმა.

"იუნაიტედს" "კამპ ნოუ" კარგად აქვს დაცდილი. 1998-99 წლების სეზონში მან ამ სტადიონზე ორჯერ ითამაშა. ერთხელ "ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში (3:3) და მეორედ "ბაიერთან" ტურნირის ფინალში (2:1). **სერ ალექს ფერგიუსონს** საკადრო პრობლემები აქვს: **ოუენ ჰარგრივსი** და **ანდერსონი** დაშავებულები არიან. ჰარგრივსს მუხლი აწუხებს. ამის გამო მას შაბათს, "ბლექბერნთან" თამაში გაუცდა. ანდერსონი საზარდულს იტკიებს. საზარდული აწუხებდა ედვინ ვან დერ სარსაც, რომელმაც "ბლექბერნთან" თამაში გამოტოვა, თუმცა უკვე გამოჯანმრთელდა. მწყობრშია **უეინ რუნიც**, რომელმაც შაბათს ბარძაყი იტკინა. განაცხადში არიან **გარი ნევილი** და **დარენ ფლეტჩერი**. ნევილი და **პოლ სქოულზი** ჩემპიონთა ლიგაში მე-100 მატჩის ჩასატარებლად ემზადებიან.

ევროტურნირებზე "ბარსელონა" "მანჩესტერს" შვიდჯერ შეხვდა. გუნდებმა ორ-ორი მატჩი მოიგეს. სამი თამაში ფრედ დასრულდა. ბურთების შეფარდებაა 15-13 კატალონიელთა სასარგებლოდ. ამ მატჩებიდან ერთ-ერთი იყო 1991 წლის თასების თასის ფინალი. ის როტერდამში გაიმართა და ინგლისელთა გამარჯვებით დასრულდა, 2:1. გუნდებმა უკანასკნელად 1998-99 წლების სეზონში ითამაშეს. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ორივე მატჩი 3:3 დასრულდა. დღევანდელი "იუნაიტედის" ოთხი წევრი — გარი ნევილი, **რაიან გიგზი**, პოლ სქოულზი და **ვესლი ბრაუნი** იმ თამაშების მონაწილეა. "ბარსელონას" ათი წლის წინანდელი გუნდიდან მხოლოდ **ჩავი ერნანდესი** ჰყავს.

"ბარსელონამ" ჩემპიონთა თასი ორჯერ მოიგო — 1992 და 2006 წლებში. მის ანგარიშზეა ოთხი თასების თასი, სამი ბაზრობათა თასი და ორი ევროპის სუპერთასი. "ბარსა" ევროტურნირების ნახევარფინალში 23-ედ ითამაშებს. ჩემპიონთა ლიგის/თასის ნახევარფინალში — მეცხრედ (1991-92 წლების გათამაშებაში ნახევარფინალური ჯგუფი იყო). აქედან, ოთხჯერ "ბარსამ" ფინალში გაალწია.

"მანჩესტერ იუნაიტედი" ევროპულ თასს სამჯერ დაეუფლა — 1968 წელს ჩემპიონთა თასს, 1991 წელს თასების თასს (ფინალში "ბარსელონას" მოუგო) და ისევ ჩემპიონთა თასს 1999 წელს (ფინალს "კამპ ნოუმ" უმასპინძლა).

"იუნაიტედი" ევროტურნირების ნახევარფინალში მე-13-დ ითამაშებს. წინა 12 ნახევარფინალიდან გუნდმა მხოლოდ სამჯერ გაალწია ფინალში და სამჯერვე თასს დაეუფლა.

"ბარსელონასა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" წლევანდელ ლიგაში ერთხელაც არ წაუგიათ. კატალონიელები ბოლოს შარშან, 21 თებერვალს დამარცხდნენ (მერვედფინალში შინ "ლივერპულთან", 1:2). "მანჩესტერ იუნაიტედის" წაუგებელი სერია 10 მატჩს მოიცავს. მან უკანასკნელად "მილანთან' შარშანდელი ლიგის ნახევარფინალში წააგო (0:3).

პუიოლის დისკვალიფიკაცია ზემოთ ვახსენეთ. თითო ყვითელი ბარათი აქვთ მესის, **იაია ტურეს**, მარკესსა და გაბრიელ მილიტოს. გაფრთხილების შემთხვევაში, ისინი განმეორებით თამაშს გამოტოვებენ. სასჯელამდე ერთი გაფრთხილება აშორებთ მანჩესტერელ ნანისა და **პატრის ევრას**. ბარსელონელთაგან ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე მეტი მატჩი პუიოლმა და ჩავიმ ჩაატარეს — 74. გარი ნევილისა და პოლ სქოულზის მე-100 მატჩის თაობაზე უკვე მოგახსენეთ. **კრისტიანო რონალდო** წლევანელი ლიგის საუკეთესო ბომბარდირია. მან შვიდი გოლი გაიტანა.

**მარკ ჰიუზს, ლორან ბლანს, ხორდი კრუიფსა** და **ჰენრიკ ლარსონს** სხვადასხვა დროს ორივე კლუბში უთამაშიათ.

ტრანსფერი

# შლაუდრაფი ჰანოვერში მიდის

## ბაიერნმა არაფერში ერთი მილიონი მოიგო


იან შლაუდრაფმა ბაიერნში ვერ გაამართლა და ჰანოვერში მიდის

**იან შლაუდრაფმა**, როგორც მოსალოდნელი იყო, "ბაიერნში" იმედები ვერ გაამართლა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე გაუგებარია, თუ რატომ გადაიბირეს ეს ფეხბურთელი ბავარიელებმა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ **ლუკა ტონის, ფრანკ რიბერის, მიროსლავ კლოზეს** და სხვათა კომპანიაში, აახენის "ალემანიის" ყოფილი შემტევი ნახევარმცველი, რომელსაც თავდასხმაშიც შეუძლია ასპარეზობა, "ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის ძალიან მცირე შანსი ექნებოდა.

გადაწყვეტილია, რომ შლაუდრაფი მომავალი სეზონიდან "ბაიერნზე" გაცილებით მოკრძალებულ კლუბში, "ჰანოვერში" იასპარეზებს. ეს ის გუნდია, რომელიც შლაუდრაფისთვის შარშანაც თავგამოდებით იბრძოდა და თუ ტრანსფერი არ შედგა, მხოლოდ იმის გამო, რომ 24 წლის ფეხბურთელისთვის ბრძოლაში მაშინ "ბაიერნიც" ჩაება და ცხადია, ყველა კონკურენტი იოლად დაამარცხა.

მიუხედავად იმისა, რომ "ბაიერნში" ვერაფერი გააწყო, რაც ხშირი ტრავმიანობითაც გახლდათ გამოწვეული, შლაუდრაფი არ გაუფასურებულა. პირიქით, მისი ფასი ორჯერ გაიზარდა. "კიკერის" ინფორმაციით, "ჰანოვერი" გერმანიის ნაკრების კანდიდატში 2 მილიონ ევროს გადაიხდის და წელიწადში 2 მილიონს მიიღებს (კონტრაქტი 2012 წლამდე). ამით იანი "ჰანოვერის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. შეგახსენებთ, რომ შარშან "ბაიერნმა" "ალემანიას" შლაუდრაფის სანაცვლოდ 1 მილიონი გადაუხადა. ფაქტია, რომ "ჰანოვერის" თავკაცმა **დიტერ ჰეკინგმა** საბოლოოდ მაინც მიიღო ის ფეხბურთელი, რომლის გადაბირება ერთი წლის წინაც ძალიან უნდოდა. "წითლების" სპორტული დირექტორის, **კრისტიან ჰოხშტეტერის** თქმით, "ჰანოვერი" სხვა ძვირადღირებულ ფეხბურთელებს აღარ იყიდის.

მოსაზრება

# ინგლისური ფინალის მოლოდინში

## BBC-ის მესვეტე ალან ჰანსენი ბარსელონისა და მანჩესტერის დუელში ინგლისელთა გამარჯვებას წინასწარმეტყველებს...


მანჩესტერ იუნაიტედისაგან ფინალში გასვლას ელიან

ინგლისური ფინალის პერსპექტივა შარშანაც ძალიან რეალური იყო. დარწმუნებული ვარ, წელს სწორედ ასეთ ფინალს ვიხილავთ. 21 მაისს, მოსკოვში ორი ინგლისური კლუბი ითამაშებს.

მაგრამ ფინალამდე ორი კონტრასტული ნახევარფინალი გველოდება. "მანჩესტერ იუნაიტედი" 2006 წლის ჩემპიონ "ბარსელონას" შეხვდება, ხოლო "ლივერპული" უკვე მესამედ — "ჩელსის".

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ბარსელონის" მატჩი მადის აღმძვრელია. დარწმუნებული ვარ, **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდს შეუძლია, ეს ბარიერი გადალახოს.

პროგნოზი უმადური საქმეა და სიფრთხილეს მოითხოვს. თუ "ბარსელონას" თამაში წაუვიდა, მას ძნელად თუ ვინმე შეაჩერებს. **რონალდინიო** დაშავებულია, მაგრამ **ლიონელ მესი**, **ტიერი ანრი** და **სამუელ ეტოო** ბრაზილიელს სრულფასოვნად შეცვლიან.

"მანჩესტერ იუნაიტედი" ჩინებულად თამაშობს. დაღლილობაზე საუბარიც კი ზედმეტია. "ბარსელონასთან" მატჩში ყველა თავს დადებს. "იუნაიტედს" მოედნის ყველა მონაკვეთში ჩემპიონები ჰყავს. გამოცდილებამ, რომელიც წლების განმავლობაში დააგროვეს, ფეხბურთელებს გადამწყვეტი მატჩების მოგება ასწავლა. გუნდი იმარჯვებს, მაშინაც კი, როცა თამაში არ მისდის.

"ბარსელონას" გასაოცარი ტალანტები ჰყავს, მაგრამ ისინი დაცვაში ვერ ბრწყინავენ. "იუნაიტედს" საკმარისი პოტენციალი გააჩნია, რათა მეტოქეს მტკივნეული დარტყმა მიაყენოს - ჯერ "კამპ ნოუზე" და შემდეგ "ოლდ ტრეფორდზე".

ვფიქრობ, თუ ჯანმრთელად იქნებიან, **ანდერსონი** და **ოუენ ჰარგრივსი** ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ. ისინი ყველაზე მობილური ნახევარმცველები არიან. ფერგიუსონი სანახაობრივ თამაშს გვპირდება, მაგრამ "იუნაიტედი" უკანმოუხედავად არ შეუტევს. გუნდი არც დაცვას მოაკლებს ყურადღებას. "მანჩესტერის" უკანა ხაზი საუცხოო სეზონს ატარებს.

"იუნაიტედი" ყველა რგოლში დაბალანსებულია. მას **ნემანია ვიდიჩის** იმედი აქვს. ვიდიჩისა და **რიო ფერდინანდის** ტანდემი შეუდარებელია. საუცხოოდ თამაშობენ **პატრის ევრა** და **ედვინ ვან დერ სარი**.

"მანჩესტერს" ძლიერი ნახევარდაცვა და თავდასხმა ჰყავს. გუნდს ჩინებულად ეხერხება შეტევიდან დაცვაზე გადაწყობა და პირიქით. "ბარსელონასთან" სწრაფი კონტრშეტევები ეფექტური იარაღი იქნება. "იუნაიტედს" ჰყავს ფეხბურთელები, რომელთაც მარტო შეუძლიათ თამაშის მოგება.

გუნდმა "ბარსელონა" უნდა გაიაროს. ჩემი ვარაუდით, ის პირველად ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის ფინალში 1999 წლის შემდეგ, როდესაც "კამპ ნოუზე" "ბაიერნი" დაამარცხა.

მეორე ნახევარფინალში, 2005 და 2007 წლების მსგავსად, "ჩელსი" და "ლივერპული" ითამაშებენ. ამჯერად განმეორებითი მატჩი "სტემფორდ ბრიჯზე" გაიმართება. ჩემი თეორიით, გულშემატკივარი სტუმარ გუნდს კი არ თრგუნავს, არამედ საკუთარს ამხნევებს.

**ალან ჰანსენი**
BBC

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირება

# ფოგთსი: მათეუსს თავი ვინ ჰგონია?!

## ლოთარისა და ბერტის შერიგება გამორიცხულია...

**ბერტი ფოგთსი** და ლოთარ მათეუსი ერთმანეთს წაეკიდნენ. მათ ერთმანეთთან არანაირი შეხება არ აქვთ და დაპირისპირება პრესის ფურცლებზე მოხდა. აი, რა განუცხადა აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ახლახან დანიშნულმა ბერტიმ ჩვენს გერმანელ კოლეგებს: *"მეგონა, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირში გავლილი სამწვრთნელო კურსების შემდეგ ლოთარი აზრზე მოვიდოდა და მიხვდებოდა, რომ თავის თავზე ზედმეტად დიდი წარმოდგენა აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა."*

რა მოხდა? დისკუსია ლოთარის წამოწყებულია. მარტის ბოლოს მან გერმანიის ნაკრების ყოფილი თავკაცი გააკრიტიკა. *"ძალიან არ გამიმართლა იმ მხრივ, რომ გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ფოგთსი იყო. მან აბსოლუტურად გაურკვეველი მიზეზების გამო სამი წლის განმავლობაში ნაკრებს არ გამაკარა. ჩათვალეთ, რომ ფოგთსმა სამი წელიწადი მომპარა. ასე რომ არ მომხდარიყო, ნაკრებში მინიმუმ 180 მატჩი მექნებოდა ჩატარებული,"* – ამბობდა მათეუსი.



ლოთარი და ბერტი

აი, როგორ პასუხობს ბერტი ლოთარს: *"რასაც მათეუსი ამბობს, სისულელეა და მეტი არაფერი. მე ვფიქრობ, რომ მან ნაკრებში მინიმუმ 50 მატჩით მეტი ჩაატარა, ვიდრე უნდა ჩაეტარებინა. მას ალბათ ისიც დაავიწყდა, რომ მიუხედავად უდიდესი წინააღმდეგობისა, ბოლოს ბუნდესგუნდში მაინც დავაბრუნე!"*

რატომ არიან ბერტი და ლოთარი ერთმანეთზე გადაკიდებულები? ფაქტი ის გახლავთ, რომ ისინი ერთმანეთს თავიდანვე ვერ იტანდნენ. პირველად კი, ერთმანეთს 1995 წელს დაუპირისპირდნენ. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ხსენებულ დროს ბუნდესგუნდის იმდროინდელმა თავკაცმა ფოგთსმა მათეუსზე დროებით უარი თქვა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ახალი გამოჯანმრთელებული იყო და ფორმა სწრაფად ვერ აღიდგინა. მათეუსი ამ ფაქტმა იმდენად გააბრაზა, რომ ბერტის საჯაროდ დაუწყო კრიტიკა. ამას გარდა, ლოთარმა "ბაიერნში" **იურგენ კლინსმანის** წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა დაიწყო, რის გამოც ფოგთსმა ის ნაკრებიდან საერთოდ მოკვეთა.

გერმანიის ნაკრებმა მათეუსის გარეშე 42 მატჩი ჩაატარა. ლოთარი ბუნდესგუნდში 1998 წელს, ინგლისთან შეხვედრაში (0:0) დააბრუნეს. ფოგთსს იმ დროს გამოცდილი მცველი სჭირდებოდა, რადგან **იენს ნოვოტნი, თომას ჰელმერი** და **მათიას ზამერი** ტრავმირებულები იყვნენ. ასე რომ, ბერტი იძულებული შეიქნა, ისევ მათეუსისთვის ეხმო.

ფაქტია ისიც, რომ ფოგთსი და გერმანიის ნაკრების რეკორდსმენი ლოთარი ალბათ არასდროს შერიგდებიან. ბერტი ახლა ბაქოშია და უმეტესად იქ იქნება ხოლმე, ლოთარი კი ისრაელში მუშაობს. მათ შორის მანძილი 1 600 კილომეტრია...

**გოტფრიდ ლენცი**

ვალენსია

# მესტალიაზე სამართალი ზეიმობს

## კუმანის წასვლას ალბელდას, კანისარესისა და ანგულოს დაბრუნება მოჰყვა

პრიმერა დივიზიონის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე "ვალენსიის" ხელმძღვანელობამ მოთმინება დაკარგა და **რონალდ კუმანი** მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადააყენა. მართალია, "ღამურებმა" ესპანეთის სამეფო თასი მოიპოვეს, მაგრამ გუნდი ლა ლიგიდან გავარდნის საფრთხის წინაშე იმყოფება. თუ "ვალენსია" სეგუნდა დივიზიონში აღმოჩნდება, კუმანის მიერ მოპოვებული სამეფო თასი არავის გაახსენდება. კლუბის ხელმძღვანელობას მოთმინების ფიალა, რა თქმა უნდა, გასული ტურის მატჩის შემდეგ აევსო. "ვალენსიამ" "სან მამესზე" "ბილბაოსთან" ნამდვილი კრახი განიცადა. ჩვეულებრივ შეხვედრაში 1:5 დამარცხებას სხვაგვარ კვალიფიკაციას ვერ მივცემთ. მოკლედ, კუმანი "ვალენსიის" ისტორიის კუთვნილება გახდა. გულშემატკივრები მას ყოველთვის ძალიან ცუდად გაიხსენებენ ხოლმე. მისი მეცადინეობით სეზონის დასრულებამდე 5 ტურით ადრე გუნდს გასავარდნ ზონას მხოლოდ 2 ქულა აშორებს.



რონალდ კუმანი შინ გაემგზავრა

"ღამურების" ხელმძღვანელობამ ჰოლანდიელი სპეციალისტის გადაყენება ორშაბათს, გვიან ღამით გადაწყვიტა. თანამშრომლობის დასრულების მიუხედავად, ყველაფერმა ცივილიზებულად ჩაიარა. კლუბის შეფებმა კუმანს სთხოვეს, რომ ვალენსია პრესკონფერენციებისა და ინტერვიუების გარეშე დაეტოვებინა. კუმანს გაფართოებული პრესკონფერენცია არ მოუწვევია. მას არც რომელიმე არხის სატელევიზიო ეთერით უსარგებლია, მაგრამ ხელმძღვანელობისთვის მიცემული სიტყვა ბოლომდე მაინც არ შეუსრულებია. ბატონი რონალდი ჟურნალისტებს მცირე დროით მაინც გამოელაპარაკა. მისი განცხადება, რა თქმა უნდა, ყველა წამყვანი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა: *"ვწუხვარ, რომ მივდივარ, მაგრამ "ვალენსიას" თავაწეული ვტოვებ. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, რამდენიმე დღის წინათ მოპოვებული ესპანეთის სამეფო თასია. "მესტალიაზე" ჩემი მუშაობა პრესტიჟული ჯილდოს მოპოვებით დასრულდა. როცა თანამდებობაზე დავინიშნე, გუნდი სერიოზულ კრიზისში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, თასის ფინალში გავედით და ტიტული მოვიპოვეთ."*

ამას თავხედობაც აღარ ჰქვია. კუმანს პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის საფრთხის შესახებ არაფერი უთქვამს. დიახ, მან თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლებული **კიკე სანჩეს ფლორესი** შეცვალა, მაგრამ სენიორ ფლორესი მაშინდელმა პრეზიდენტმა **ხუან ბაუტისტა სოლერმა** სულ სხვა მიზეზის გამო გაუშვა. გუნდმა ზედიზედ რამდენიმე შეხვედრაში წაიბორძიკა და ჩემპიონთა ლიგის ზონას დაშორდა. ამბიციურმა "ღამურებმა" ეს ამბავი ძალიან მტკივნეულად აღიქვეს და ფლორესი კუმანით შეცვალეს. მაშინ, რა თქმა უნდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სენიორ კიკე სანჩეს ფლორესი სანატრელი გახდებოდა.

"ვალენსიას" სეზონის დასრულებამდე სენიორ **ვორო** უხელმძღვანელებს. ის შინაური ადამიანია, მთელი ცხოვრება "ვალენსიაში" აქვს გატარებული და სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. კუმანისგან განსხვავებით, ახალი მწვრთნელისთვის პრესკონფერენციის გამართვა არავის აუკრძალავს. სენიორ ვორომ შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და ჟურნალისტებს გეგმებისა და ამოცანების შესახებ ესაუბრა: *"პირველ რიგში, მსურს მოგახსენოთ, რომ ჩემი წინამორბედის მიერ ათვალწუნებული ტრიო გუნდში დაბრუნდება. დღეიდან, დავიდ ალბელდა, სანტიაგო კანისარესი და მიგელ ანხელ ანგულო "ვალენსიის" სრულფასოვანი წევრები არიან. დარწმუნებული ვარ, ეს ბიჭები დარჩენილ 5 შეხვედრაში გადამწყვეტ როლს ითამაშებენ. წარსულზე საუბარი არ მსურს, მაგრამ ჩემთვის მათი კლუბიდან გაშვება აბსოლუტურად გაუგებარი იყო. მოკლედ, ბიჭები დაბრუნდებიან და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ კატასტროფისგან გვიხსნან. სეგუნდა დივიზიონში დაქვეითება სწორედ რომ კატასტროფა იქნება. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ. ვაჟკაცმა ადამიანმა ყველაზე რთულ დროსაც კი თავგანწირვით უნდა იბრძოლოს. ვიცი, ამ შემადგენლობას არაფრის არ შეეშინდება. ერთობლივი ძალისხმევით "ვალენსიას" დაღუპვისგან ვიხსნით. ვფიქრობ, ალბელდას, კანისარესისა და ანგულოს შემადგენლობაში დაბრუნება გუნდის ერთმუშტად შეკვრის წინაპირობა გახდება."*

კუმანის მიერ ათვალწუნებული ბიჭები სენიორ ვოროს კეთილგონიერებით ძალიან გახარებული დარჩნენ. ბიჭები ამბობენ, თუ ძირითად შემადგენლობაში გვათამაშებენ, თავს დავდებთ და გამარჯვებაში ლომის წილს შევიტანთო. საგულისხმოა, რომ ახალი მთავარი მწვრთნელი პირველივე ვარჯიშზე ყველაზე დიდ ყურადღებას სწორედ ხსენებულ სამეულს აქცევდა. უთამაშებლობის გამო მათ ფორმის სასწრაფოდ აღდგენა სჭირდებათ, ამიტომ მწვრთნელმა უმცირეს დროში სასწაული უნდა მოახერხოს. ვოროს სულაც არ ანაღვლებს, რომ ამ ბიჭებს მართლაც ძალიან დიდი დრო გაუცდათ. ის იმ ფეხბურთელებზე გააკეთებს არჩევანს, რომლებიც კონკრეტული მატჩის წინ საუკეთესო კონდიციებში იქნებიან. მოკლედ, "აპარტეიდისა" და კუმანის დრო დასრულდა. თანამედროვე "ვალენსიაში" აბსოლუტურად ყველა თანასწორუფლებიანია.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### პარეირას სანტანა შეცვლის

**კარლოს ალბერტო პარეირამ** სამხრეთი აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. მან მიზეზად ოჯახური მდგომარეობა დაასახელა. პარეირას მისივე თანამემამულე **ჟოელ სანტანა** შეცვლის. სანტანა "ფლამენგოს" დამრიგებელია, თუმცა ბრაზილიურმა კლუბმა დაადასტურა, რომ 59 წლის სპეციალისტი კარიერას აფრიკაში გააგრძელებს. სანტანასათვის ეს პირველი სანაკრებო სამუშაო იქნება. უცხოეთში მას ადრეც უმუშავია. სხვადასხვა დროს სეუ ჟოელს საუდის არაბეთისა და იაპონიის კლუბები დაუმორჩილებია. (სეუ ჟოელს ... დაუმორჩილებია) 

პარეირა სამხრეთი აფრიკის ნაკრებში 2006 წლის ზაფხულში დანიშნეს, თუმცა მუშაობას, ფაქტობრივად, 2007 წლის დასაწყისში შეუდგა. ამ ხნის განმავლობაში მისი გუნდი აფრიკის ერთა თასის შესარჩევ ტურნირს გამოეთიშა, რის გამოც მწვრთნელს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს.

### პსჟ უთავოდ დარჩა

"პარი სენ ჟერმენის" პრეზიდენტმა **ალენ კაიზაკმა** თანამდებობა დატოვა. მის გუნდს უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნა ემუქრება. საფრანგეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე პსჟ-ს ბოლოდან მესამე ადგილი უკავია და უსაფრთხო ზონას სამი ქულით ჩამორჩება. მოსიე კაიზაკის წასვლის მიზეზიც ეს არის. მან განცხადება გადადგომის თაობაზე საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ყოფილმა პრეზიდენტმა ფეხბურთელები მკაცრად გააკრიტიკა: *"ამ მდგომარეობაში ყოფნა პრეზიდენტის, მწვრთნელისა და ყველაზე მეტად, ფეხბურთელების ბრალია, რომელთაც მთელი პირველი წრე შიშით ითამაშეს. დიახ, პარიზში თამაში ადვილი არ არის, მაგრამ როდესაც ამ კლუბის ღირსებას იცავ, უფლება არ გაქვს, მინდორზე შიშით გულგახეთქილი გახვიდე... ფეხბურთელებს ორშაბათს შევხვდი და ვუთხარი, რომ არავინ სთხოვს მათ ერთმანეთის სიყვარულს. მაგრამ თითოეული მათგანი მოვალეა, განსაცდელის ჟამს დაპირისპირება გვერდზე გადადოს და კლუბი გადაარჩინოს. დღეს "პარი სენ ჟერმენის" ბედი თითოეული მათგანის ხელშია."*

კაიზაკმა განაცხადა, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კრიზისის დაძლევის რამდენიმე გეგმა წამოაყენა. გეგმის ერთ-ერთი პუნქტი მთავარ მწვრთნელად **ჟერარ ულიეს** დანიშვნას ითვალისწინებდა, მაგრამ პრეზიდენტმა კლუბის მფლობელი კომპანია "კოლონი კაპიტალისაგან" მხარდაჭერა ვერ მიიღო. შაბათს პსჟ-მ მორიგი დამამცირებელი მარცხი იწვნია — 0:3 "კაენთან". ამ შედეგმა გუნდი ნამდვილი კატასტროფის წინაშე დააყენა. "პარი სენ ჟერმენი" უმაღლესი ლიგიდან არასოდეს გავარდნილა. კლუბი, რომელიც 1971 წელს შეიქმნა, სამი წლის შემდეგ ელიტურ დივიზიონში აღზევდა და მას შემდეგ ამ დივიზიონის მუდმივი ბინადარი იყო. პარიზელებმა სამჯერ მოიპოვეს საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული, შვიდჯერ ქვეყნის თავი, სამჯერ ლიგის თასი და 1996 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასსაც დაეუფლნენ.



ალენ კაიზაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

# მეორე ტურში უკეთ ვითამაშეთ

გუშინ, ოცდასამმა ქართველმა წინა დღით ნაჩვენები "გუნდური" შედეგი აშკარად გააუმჯობესა, თუმცა გულდასაწყვეტი მარცხისგან თავის აცილება ვერც ამჯერად მოვახერხეთ: კვლავ წააგო **ნაზი პაიკიძემ**, თანაც თეთრებით და თუ გადაჭარბებაში არ ჩამითვლით, ტურნირზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოულოდნელობაც ეს არის. მიუხედავად იმისა, რომ ნაზი 15 წლისაა, მეორე წელიწადია მოსკოვში ცხოვრობს და მეცადინეობს. წვრთნა აშკარად დაეტყო მის შედეგებს: 2007 წელს 14-წლამდელებში ევროპისა და მსოფილოს ჩემპიონის ტიტულები მოიპოვა, საერთაშორისო ტურნირებში კი უფროსებს ტოლი არ დაუდო. პლოვდივში მისი წარუმატებლობა იმიტომ არის გასაკვირი, რომ ძლიერი მეტოქეები არ ჰყოლია.

**ლელა ჯავახიშვილმა** მეორე ტურში იმარჯვა - წინა დღით **მაია ლომინეიშვილთან** წაგებულ ბელარუს ნატალია პოპოვას მოუგო თეთრებით. ლელა დანაკარგის ანაზღაურებას კვლავაც ეცდება, მთავარია, რწმენა არ დაკარგოს - ბელარუსის დამარცხება ამ საქმეში უთუოდ წაადგება.

ქალთა შორის ორი ტურის შემდეგ მაქსიმალური ქულა 21 მონაწილეს აქვს, მათ შორის ორი ქართველია - **სალომე მელია** და **ნანა ძაგნიძე**. მეორე ტურში მელიამ შავებით რუსი სანდუგახ შაიდულინა დაამარცხა, ხოლო ძაგნიძემ ასევე შავებით აჯობა მოლდოველ სვეტლანა პეტრენკოს.

მეორე ტურში ყაიმს დასჯერდნენ მაია ლომინეიშვილი, **ნინო ბაციაშვილი** და **სოფიკო ხუხაშვილი**. პირველ ორს შედარებით მაღალრეიტინგიანი მეტოქეები ჰყავდა, მაგრამ ხუხაშვილს აშკარად ახალბედა ებრძოდა და საკვირველია, რომ საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა მისი დამარცხება რომ ვერ შეძლო.

ასევე მოულოდნელი გახლდათ **სოფიკო ნიკოლაძის** მეორე მარცხიც, - სოფოს საქართველოს ჩემპიონატზეც ჩაუვარდა სტარტი და შემდეგ გამოაკეთა მდგომარეობა. იქნებ ამჯერადაც მსგავსი სურათი ვიხილოთ.

კაცთა შორისაც გვყავს მაქსიმალურქულიანი, თუმცა მხოლოდ ერთი - **ლევან ფანცულაია**. ლევანმა თეთრებით ბრწყინვალე სტილში აჯობა ხორვატ დიდოსტატ ზორან იოვანოვიჩს და იმ 36-კაციან სიაში ჩაეწერა, ვისაც ჯერ ნახევარი ქულაც კი არ დაუკარგავს. ლევანის წარმატება ვერ გაიმეორა **მიხეილ მჭედლიშვილმა** - იგი სომეხ აშოტ ანასტასიანს შავებით დაუზავდა.

ვაჟებში გვქონდა მარცხიც და მოგებაც, მაგრამ უფრო მაინც დადებითმა შედეგმა იმძლავრა, რაც საერთო სურათს ფრიად აკეთებს: წერილის დასაწყისში ნახსენები საერთო "გუნდური" შედეგიც ამას მეტყველებს და რიცხვებში ასე გამოიყურება: 10 გამარჯვება; 7 ყაიმი; 6 წაგება.

მესამე ტური დღეს გაიმართება და კიდევ უკეთესის იმედით რომ დავცილდეთ ერთმანეთს, ვგონებ, არავინ დაგვძრახავს...

**ზვიად შათირიშვილი**

| ქალები: | |
|---|---|
| სოფიო გვეტაძე-ანა მუზიჩუკი (სლოვ.) | 0.5:0.5 |
| სვეტლანა პეტრენკო (მოლ.)-ნანა ძაგნიძე | 0:1 |
| სანდუგახ შაიდულინა (რუს.)-სალომე მელია | 0:1 |
| ვიქტორია ტარასოვა (რუს.)-მაია ლომინეიშვილი | 0.5:0.5 |
| ნინო ბაციაშვილი-სვეტლანა მატვეევა (რუს.) | 0.5:0.5 |
| სოფიკო ხუხაშვილი-სტეფი ბედნიკოვა (ბულ.) | 0.5:0.5 |
| ტატიანა მოლჩინოვა (რუს.)-ანა გავაშელი | 0.5:0.5 |
| ანა ბენდერაცი (სერ.)-მარიამ დანელია | 1:0 |
| ლელა ჯავახიშვილი-ნატალია პოპოვა (ბულ.) | 1:0 |
| ნაზი პაიკიძე-ანდრიანა ნიკოლოვა (ბულ.) | 0:1 |
| მერი ყორყოლიანი-ანა სრებინიცი (სლოვ.) | 0.5:0.5 |
| ეკატერინი პავლიდოუ (საბ.)-სოფიო ნიკოლაძე | 1:0 |
| **ვაჟები** | |
| აშოტ ანასტასიანი (სომ.)-მიხეილ მჭედლიშვილი | 0.5:0.5 |
| ლევან ფანცულაია-ზორან იოვანოვიჩი (ხორ.) | 1:0 |
| კონსტანტინე შანავა-ირჟი სტოჩეკი (ჩეხ.) | 0:1 |
| კარენ ასრიანი (სომხ.)-დავით მაღალაშვილი | 1:0 |
| მიხეილ ქობალია (რუს.)-გიორგი მარგველაშვილი | 0.5:0.5 |
| ვიოსელ იორდანესკუ (რუმ.)-ივერი ჭიღლაძე | 0:1 |
| კირი გადევი (ბულ.)-მალხაზ სულაშვილი | 0:1 |
| დავით ჯოჯუა-იოვან მილოვიჩი (ჩერნოგორია) | 1:0 |
| რიკარდ მედანჩიჩი (სერ.)-თორნიკე სანიკიძე | 0:1 |
| ბაჩანა მორჩიაშვილი-პეტარ არნაუდოვი (ბულ.) | 1:0 |
| დავით ლომსაძე-ტონი პეტრუსიჩი (სერ.) | 1:0 |

**მესამე ტური**

| ვაჟები. ორქულიანი-36 |
|---|
| ნიქატ მამედოვი (2577)-ლევან ფანცულაია (2617) |
| მიხეილ მჭედლიშვილი (2635)-ჩაბა ბალოგი (უნგ. 2559) |
| ივერი ჭიღლაძე (2384)-ივან პოპოვი (რუს. 2594) |
| მალხაზ სულაშვილი (2491)-კონსტანტინ საკაევი (რუს. 2649) |
| ვლადიმირ პოტკინი (რუს. 1617)-დავით ჯოჯუა (2463) |
| თორნიკე სანიკიძე (2458)-ბჟეგოჟ გაჯიევსკი (პოლ. 2601) |
| გიორგი მარგველაშვილი (2455)-ბრანკო დამლიანოვიჩი (სერბ. 2595) |
| ბაჩანა მორჩიაშვილი (2421)-ბორის სავჩენკო (რუს. 2569) |
| მილან დრაშკო (ჩერნოგორია. 2536)-დავით ლომსაძე (2394) |
| კრისტიან კუპკე (გერ. 2296)-კონსტანტინე შანავა (2518) |
| დავით მაღალაშვილი (2462)-ოლეგ ორლოვი (რუს. 2285) |
| **ქალები. 21-ორქულიანი** |
| სალომე მელია (2413)-ანა უშენინა (უკრ. 2474) |
| ნანა ძაგნიძე (2443)-ტატიანა სტეპოვაია (რუს. 2378) |
| ჭაოპინკ პენკი (პოლ. 2455)-სოფიო გვეტაძე (2350) |
| მაია ლომინეიშვილი (2400)-მარინა რომანკო (რუს. 2325). |
| საბინა-ფრანჩესკა ფოიშორი (რუმ. 2375)-ნინო ბაციაშვილი (2304) |
| მარსელ ეფროიმსკი (ისრ. 2081)-სოფიკო ხუხაშვილი (2371) |
| მარია კომიაგინა (რუს. 2285)-ლელა ჯავახიშვილი (2466) |
| ანა გავაშელი (2191)-მარია კურსოვა (რუს. 2322) |
| მარიამ დანელია (2129)-მაშა კლინოვა (ისრ. 2318) |
| ბორკა ფრანსისკოვიჩი (სერბ. 2222)-მერი ყორყოლიანი (2133) |
| ლარისა ხროპოვა (რუს. 2069)-ნაზი პაიკიძე (2347) |
| სოფიო ნიკოლაძე (2249)-ასლი ბაირაკი (თურ. 2031) |

ხელბურთი. ინტერვიუ თამაზ თევზაძესთან

# ბევრად უფრო იოლი ჯგუფიც შეიძლებოდა



ჩელენჯ ტროფი თამაზ თევზაძემ ჩაიბარა

**ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამართულმა ევროპის ხელბურთელთა 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრამ გვარიანად რთული ჯგუფი გვარგუნა.**

**წილისყრას ესწრებოდა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე, რომელიც გუშინ ვენურ პერიპეტიებსა და ნაკრების გეგმებზე გვესაუბრა.**

- ვენაში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ევროპის ვაჟ ხელბურთელთა საშეჯიბრო კონფერენცია, სადაც 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრის გარდა, არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს.

ევროპის ხელბურთის ფედერაცია, ფაქტობრივად, გადადის უეფას მოდელზე, რომელთანაც მჭიდრო კონტაქტი აქვს. გარდა იმისა, რომ საკვალიფიკაციო ეტაპი ფეხბურთისას ემსგავსება, ხელბურთშიც მოქმედებას იწყებს ფინანსური სოლიდარობის პრინციპი. მარტივად რომ ვთქვათ, ევროპის ხელბურთის ფედერაცია ტელერეპორტაჟებიდან თუ რეკლამებიდან შემოსულ ფინანსებს გადაუნაწილებს თავის წევრ ქვეყნებს.

**- წილისყრის შედეგებზე რას იტყვით?**

- ჯერ ის ვთქვათ, რომ პირველად ხელბურთის ისტორიაში, წილისყრის ცერემონიალი გაიმართა ფეხბურთის ანალოგიურად - გალა-კონცერტის თანხლებითა და ცნობილი ხელბურთელების მონაწილეობით. ცერემონიალის ორგანიზებას თავი წარმატებით გაართვეს მასპინძლებმა - ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის შეფებმა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ წილისყრამდე გადმოგვცეს "ჩელენჯ ტროფის" ჩემპიონის თასი, რომელიც იანვარში მოვიგეთ. ფინალის შემდეგ, მხოლოდ მედლებით დაგვაჯილდოეს, "ჩელენჯ ტროფის" თასს კი ტრადიციულად, ასეთ ღონისძიებებზე გადასცემს ხოლმე გამარჯვებულ ქვეყანას ევროპის ხელბურთის ფედერაცია.

რას შეეხება უშუალოდ თქვენს კითხვას, ურთულესი ჯგუფი გვერგო, გაცილებით უკეთესი ვარიანტი შეიძლებოდა. რეალობას რომ თვალი გავუსწოროთ, წილისყრის შედეგებიდან გამომდინარე, ჯგუფიდან გასვლის ილუზიის შექმნა არასწორი ნაბიჯი იქნება. ჩვენი მიზანი უნდა იყოს მაქსიმალურად ღირსეული თამაში, გამოცდილების მიღება და მომავლის გუნდის აშენება, რომელიც შემდეგ ციკლში წარმატებისათვის იბრძოლებს. შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ბევრი თამაშის მოგება გვმართებს, რათა რეიტინგში წინ წავიწიოთ და შემდეგ ციკლში უფრო მაღალ კალათაში მოვხვდეთ.

**პოლონეთი** მსოფლიო ჩემპიონატის მოქმედი ვერცხლის პრიზიორია. ტრადიციულად, საკმაოდ ძლიერი სახელბურთო სკოლა აქვს **შვედეთსაც**. აღსანიშნავია, რომ შვედები და პოლონელები ახლა პეკინის ოლიმპიადის საგზურებისთვის იბრძვიან და იქაც ერთ ჯგუფში მოხვდნენ ისლანდიასა და არგენტინასთან ერთად. საკვალიფიკაციო ეტაპი პოლონეთშია, ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადის და შესაძლოა, პოილონეთიც და შვედეთიც პეკინში ვიხილოთ.

**ჩერნოგორიამ** წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა, სადაც ჩემპიონატის აღმოჩენად დაასახელეს. სპეციალისტების აზრით, ეს არის საკმაოდ სტაბილური, მომავლის გუნდი. ჩერნოგორია სერბეთის ყოფილი ნაწილია, სერბული სახელბურთო სკოლა კი ძალიან ძლიერია.

**რუმინელებს** წინა საკვალიფიკაციო ციკლიდან ვიცნობთ, რომელშიც ორჯერ მოგვიგეს. მათაც საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავთ. რაც შეეხება ჩვენს მეზობელ **თურქეთს**, იგი ახალგაზრდული, პერსპექტიული გუნდია და არც მასთან შეიძლება ხუმრობა. თურქებს შარშან დეკემბერში სტუმრად ვეთამაშეთ ამხანაგური მატჩები წამყვანი ლეგიონერების გარეშე და დავმარცხდით.

**- ზემოთ ფეხბურთის სისტემაზე გადასვლა ახსენეთ. ფეხბურთში ძლიერ ჯგუფში მოხვედრა ფინანსური კეთილდღეობის გარანტიაა. ჩვენს შემთხვევაში როგორ იქნება?**

- სატელევიზიო უფლებებს უეფა-ს მსგავსად, ევროპულ ხელბურთშიც განკარგავს კომპანია "ინფრონტ სპორტ ენდ მედია". რა თქმა უნდა, სატელევიზიო და სარეკლამო უფლებებიდან შემოსული ფინანსებიდან საქართველოსაც ერგება თავისი წილი. თუმცა აღნიშნული სისტემა ჩვენთან ჯერ ახლა იკიდებს ფეხს და წინასწარ ვერ გვეუბნებიან, ვის რა თანხა ერგება. მხოლოდ ის ვიცით, რომ ამჟამად ევროპის ხელბურთის ფედერაციის ანგარიშზე საამისოდ დევს 300 000 ევრო. ეს, რაღა თქმა უნდა, მცირე თანხაა, მაგრამ საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლომდე აუცილებლად საგრძნობლად გაიზრდება. შესაბამისად, იგი ციკლის ბოლოს გადანაწილდება.

**- კალენდრის საბოლოო ვარიანტს როდის შეიმუშავებთ?**

- ევროპის ფედერაციამ საამისოდ ყველა ჯგუფის წარმომადგენელს მისცა ოთხკვირიანი ვადა. პრინციპში, ვენაშივე შეგვეძლო შეთანხმება, მაგრამ რუმინელები მალე წავიდნენ. ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა კი მოვილაპარაკეთ, მაგრამ შესაძლოა, ცვლილებები მოხდეს. ოთხკვირიან ვადაში კალენდრის საბოლოო ვარიანტი ჯგუფის ექვსივე წევრმა ელექტრონული ფოსტით უნდა შევათანხმოთ.

**- ნაკრების მოსამზადებელი განრიგი თუ შეიმუშავეთ?**

- ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია, რომ ივნისში ვიასპარეზებთ მინსკის საერთაშორისო ტურნირზე ბელარუსის, ლიტვისა და რუსეთის ნაკრებ გუნდებთან. ივნისშივე ვაპირებთ შეკრების მოწყობას ბელარუსში ან უკრაინაში. შეკრება გვექნება თბილისშიც.

ამას გარდა, ივლისში გველის მსოფლიო უნივერსიადა იტალიაში, სადაც ეროვნული ნაკრების ძირითადი ბირთვი ითამაშებს. იყო იმის ვარიანტიც, რომ ბრიტანეთის საერთაშორისო ტურნირზე გვეთამაშა. თუმცა, მერე შეჯიბრება მაისის ნაცვლად ივნისში გადაწიეს, ამ დროს კი მინსკის ტურნირი გვაქვს და ალბათ ინგლისში ველარ წავალთ. თუმცა ეს საკითხი ნაკრების მწვრთნელებთანაც შესათანხმებელია.

**- ნაკრების მთავარ მწვრთნელად იმედო ფხაკაძე რჩება?**

- ამას ფედერაციის აღმასკომი გადაწყვეტს. მწვრთნელის საკითხს მე ერთპიროვნულად არ ვწყვეტ. "ჩელენჯ ტროფიზე" თავიდან მამუკა მჟავანაძე იყო მწვრთნელი, მერე კი იმედო ფხაკაძემ ითავა ფინალისთვის გუნდის მომზადება. ახალი ციკლიდან კი ნაკრების თავკაცს ოფიციალურ კონტრაქტს გავუფორმებთ.

**- ორწლიან ციკლს და ათ მატჩს სერიოზული ფინანსები სჭირდება. მოძიებული გაქვთ საამისო თანხა?**

- როგორც იცით, სახელმწიფომ ხელბურთი ერთ-ერთ პრიორიტეტულ სახეობად გამოაცხადა. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური დაგვპირდა, რომ არცერთ ასაკში ნაკრებ გუნდს ოფიციალურ შეჯიბრებაზე თამაშის პრობლემა არ ექნება. ამას გარდა, იმედი გვაქვს, რომ ადგილობრივი ბიზნესმენებიც ამოგვიდგებიან მხარში. მით უმეტეს, რომ სატელევიზიო-სარეკლამო უფლებები ჩვენს ხელშია.

**- ვენაში საქმიანი შეხვედრებიც ხომ არ გქონიათ?**

- დიახ, მქონდა რამდენიმე საინტერესო შეხვედრა.

ევროპისა და შვედეთის ხელბურთის ფედერაციების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, პირველად ქართული ხელბურთის ისტორიაში, ჩვენი ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს უდიდეს სახელბურთო ფესტივალ "პარტილეს თასზე". აღნიშნულ შეჯიბრებაში მონაწილეობს ოთხი კონტინენტის 10-დან 21 წლამდე ასაკის 1000-მდე ვაჟებისა და გოგონების გუნდი. ტურნირი შვედეთის ქალაქ გიოტებორგში გაიმართება და იქ, სავარაუდოდ, 1992-93 წლებში დაბადებულ ვაჟთა გუნდს გავუშვებთ.

ამას გარდა, 7-წლიანი პაუზის შემდეგ, განხილვის სტადიაშია ჩვენი დაბრუნება ეგრეთ წოდებულ "სმარტის პროგრამაში". აღნიშნული პროექტის თანახმად, 2009 წლის სექტემბრიდან, ჩვენი მწვრთნელები მიიღებენ სტიპენდიას და სემინარებზე აიმაღლებენ კვალიფიკაციას. ამას გარდა, დაგვეხმარებიან ეკიპირებით და საზაფხულო სახელბურთო ბანაკების მოწყობაში.

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი

# შაფათავამ მოიგო, კალაშნიკოვამ ვერა

უზბეკეთის ქალაქ ნამანგანში დაიწყო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. 19 წლის **სოფიო შაფათავა** მე-4 ნომრად განთესეს. პირველ წრეში სოფიომ 18 წლის ჩინელი **შაოჟუო ლიუ** დაამარცხა – 6:2, 6:1. **ოქსანა კალაშნიკოვამ**, სამწუხაროდ, პირველ წრეში წააგო რუს **ვასილისა დავიდოვასთან** – 4:6, 6:2, 3:6. სამაგიეროდ, მან წარმატებით დაიწყო ასპარეზობა წყვილთა თანრიგში, სადაც **ქსენია პალკინასთან** (ყირგიზეთი) დუეტში პირველ წრეში უკრაინელი **ავდიენკოსა** და რუსი **გავეროვას** წყვილს აჯობა – 6:4, 6:3. ოქსანა წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალშია. შაფათავამ და რუსმა **მარინა შამაიკომ** ყირგიზ **დუვანაევას** და უზბეკ **ტუაევას** მოუგეს – 6:4, 6:4. შეგახსენებთ, რომ კალაშნიკოვა წყვილთა თანრიგში პირველ ნომრად არის განთესილი, ხოლო შაფათავა – მესამედ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გორგოძისა და კუხალაშვილის ნახტომი

გუშინ 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა, სია ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებდა, რადგან გასულ კვირაში ორმა ჩვენებურმა წარმატებით იასპარეზა ფრანგული ისტრის საერთაშორისო ტურნირში. ბიჭების მსოფლიო კლასიფიკაციაში საკვალიფიკაციო ბადიდან ნახევარფინალში გაღწევისთვის 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილმა** ას ადგილზე მეტით წაიწია წინ. ლაზარე დღეისათვის 142 ქულით 269-ე ჩოგანია, თუმცა ეს მის საუკეთესო მაჩვენებელთან (36-ე) ახლოსაც არაა. თუმცა ქართველთაგან სიაში პირველი **ნიკოლოზ ბასილაშვილია**, რომელიც ახლახან შესრულდა 17 წლის, ბასილაშვილი 188 ქულით 190-ე ადგილზეა. ათასეულში კიდევ ოთხი ჩვენებურია: 385. **ნიკოლოზ ქურდაძე** – 91 ქულა, 485. **გიორგი ხმიადაშვილი** - 68, 538. **სერგი სიხარულიძე** - 57 და 643. **რევაზ ოსაძე** - 42.

გოგონათა შორის **ეკა გორგოძემ** ფრანგული ტურნირის ფინალში გასვლისთვის 303-ე ადგილიდან 171-ეზე აინაცვლა, ეკას 208 ქულა აქვს. **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც ახალგაზრდებში აღარ გამოდის ისევ მე-14 ჩოგანია 670 ქულით. **ანა ჯიქია** 808-ე ადგილზეა 36 ქულით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი. საქართველო-ესპანეთი. 26 აპრილი

# გვახსოვდეს, ესპანეთთან ვერ გავისეირნებთ!


მერაბ კვირიკაშვილი, დიმიტრი ბასილაია, სიმონ მაისურაძე

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის გათამაშების ბოლო შეხვედრებისთვის მზადებას შეუდგა. გუშინ ბორჯღალოსნებმა ორჯერ ივარჯიშეს "შევარდენის" რაგბის სანაკრებო ბაზაზე.**

მწვრთნელების **ტიმ ლეინისა** და **ლევან ცაბაძის** განკარგულებაში 17 მორაგბე იყო. **მამუკა გორგოძე, ირაკლი აბუსერიძე** და **გიორგი ჩხაიძე** თბილისში დღეს ჩამოვლენ. დღესვე პრინციპული შეხვედრა აქვთ რუმინეთის ჩემპიონატში **ბიძინა სამხარაძეს, ირაკლი ნატრიაშვილსა** და **კახაბერ უჩავას.** ეს სამეული ნაკრებს ხვალ საღამოს შეუერთდება.

ვარჯიში, როგორც წესი, მოთელვით დაიწყო, რის შემდეგაც მთელი გუნდი მხოლოდ ტიმ ლეინის განკარგულებაში იყო. ბორჯღალოსნებმა ძირითადად უკანა ხაზის კომბინაციებზე ივარჯიშეს. ცხადია, შეტევა სხვადასხვა სტატიკური მდგომარეობიდან, შერკინებიდან და დერეფნიდან, მოედნის სხვადასხვა ადგილიდან იწყებოდა.

9 ნომრების, აბუსერიძისა და სამხარაძის არყოფნის პირობებში ამ ფუნქციას **მერაბ კვირიკაშვილი** ასრულებდა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ სწორედ 9 ნომერი იყო.

**ლევან ცაბაძე, მწვრთნელი:** - თუ ვინმეს ჰგონია, რომ ესპანეთის ნაკრებთან იოლი გასეირნება გველის, ძალიან ცდება. გარწმუნებთ საკმაოდ სერიოზული გუნდია. ახლახან ვნახეთ მადრიდში გამართული ესპანეთისა და რუმინეთის ნაკრებების დაპირისპირება. პირენეელებს საკმაოდ კარგი უკანა ხაზი ჰყავთ. მეტიც, თამამად შემიძლია ვთქვა - საუკეთესო ერთა თასზე მოასპარეზე გუნდებს შორის. რუმინელებმა მათი წინააღმდეგობა მხოლოდ შერკინებით გატეხეს. თავად განსაჯეთ, ვერაფერი რომ მოუხერხეს, ერთი ლელო სამოცმეტრიანი მოლით გაიტანეს. ასე რომ, მოდუნება შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს და ვფიქრობ, ეს ყველა მოთამაშეს კარგად აქვს გასიგრძეგანებული"

**მალხაზ ურჯუკაშვილი:** - ნაკრებში თამაში მომენატრა. რომ გამომიძახეს, ძალიან გამიკვირდა და, შესაბამისად, გამეხარდა კიდეც. გუნდი აწყობილია, უკანა ხაზმა ერთი და იმავე შემადგენლობით რამდენიმე მატჩში ითამაშა და საკმაოდ კარგადაც. მართალი გითხრათ, პრეტენზია არ მაქვს. მწვრთნელი ვის დაყენებასაც გადაწყვეტს, ის დადგება. კონკურენცია თუ გაიზრდება, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ გუნდის ოსტატობა ამაღლდა. რაც შეეხება ესპანელებს, მათთვის არაერთხელ მოგვიგია და არც ამჟამად ვაპირებთ თბილისიდან გახარებული გავუშვათ.

**გიორგი ნემსაძე:** - გუნდის ოცდაორკაციან შემადგენლობაში პორტუგალიაში, ჩეხეთსა და რუსეთშიც ვიყავი, თამაშმა კი მხოლოდ ჩეხეთში მომიწია. ვფიქრობ, ამას მარტივი ახსნა აქვს. მწვრთნელები თვლიან, რომ საკმარისი გამოცდილება არ მაქვს და ბოლომდე ვერ მენდობიან. ესპანელებთან თამაშს ძირითად შემადგენლობაში დავიწყებ. ეს კარგი შანსია ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოვაჩინო.

**მერაბ კვირიკაშვილი:** - რუსეთთან თამაშისას დაზიანებული თვალი მოვირჩინე. ყველაფერი წესრიგში მაქვს. დიდი ხანია, ძირითად შემადგენლობაში არ მითამაშია. მინდა, ჩემს შესაძლებლობებში ყველა კიდევ ერთხელ დავარწმუნო. თუ შანსი მომეცა, ამას შეცვლაზე შემოსვლის შემთხვევაშიც ვეცდები.

**გიორგი შკინინი:** - ნატკენი ფეხი აღარ მაწუხებს, ტკივილებს აღარ ვგრძნობ. მითხრეს, მყესი გაქვს ძალიან დაჭიმულიო. წესით თამაში უნდა შევძლო. მაგრამ საბოლოოდ ეს მას შემდეგ გადაწყდება, მე და თოდუას ტესტს რომ ჩაგვიტარებენ.

**ალექსანდრე თოდუა:** - ტკივილი ოდნავ მაწუხებს. თუმცა არა იმდენად, რომ ვერ ავიტანო. ვერ გეტყვით ვითამაშებ თუ არა. ვნახოთ, მწვრთნელები რას გადაწყვეტენ.

**ვარჯიშის შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები კაფე "მსოფლიო სპორტისკენ" გაემართა, სადაც რაგბის ქომაგთა კლუბ "ბორჯღალის" პრეზენტაცია შედგა.**

**ბესიკ ჯანგავაძე**


ლევან ცაბაძე


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

პრეზენტაცია

# ბორჯღალი რაგბის ქომაგია

**კაფე "მსოფლიო სპორტში" ახლახან დაფუძნებული ქართული რაგბის ქომაგთა კლუბ "ბორლჯალის" პრეზენტაცია გაიმართა. მას გულშემატკივრებთან ერთად ეროვნული ნაკრების მორაგბეები და მწვრთნელებიც დაესწრნენ.**

საინიციატივო ჯგუფმა კლუბის მიზნები და მომავლის გეგმები წარმოადგინა. "ბორჯღალის" მიზანია რაგბის პოპულარიზაცია საქართველოში, ქომაგთა ეთიკის დამკვიდრება და დაცვა. კლუბს განზრახული აქვს რამდენიმე პროექტის განხორციელება - მოყვარულთა შორის შეჯიბრების გამართვა, შვიდკაცა რაგბიში ვეტერან მორაგბეთა შორის ტურნირების მოწყობა. ამჟამად კლუბი სამასამდე წევრს აერთიანებს, თუმცა მომდევნო თამაშებისთვის მათი რაოდენობა, "ბორჯღალის" ხელმძღვანელთა ვარაუდით, რამდენიმე ათასს მიაღწევს.

**ლევან ცაბაძე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:** - მორაგბეები გულდაწყვეტილები ვიყავით, რომ აქამდე ქომაგთა კლუბი ჩვენთვის არ არსებობდა. მოხარულნი ვართ, რომ როგორც იქნა დაარსდა. დღეიდან ჩვენ ერთად, მხარდამხარ ვიბრძოლებთ და დიდ მიზნებსაც მივაღწევთ.

**გიორგი ნიჟარაძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი:** - ქომაგთა კლუბის შექმნა რაგბის გულშემატკივრების ინიციატივა იყო, რომელსაც რაგბის კავშირის მხრიდან სრული მხარდაჭერა მოჰყვა. ამ ადამიანებთან უკვე ორი წელიწადია ვთანამშრომლობ და, როგორც იქნა, ყოველივე ამან ორგანიზებული ხასიათი მიიღო. კლუბის შექმნის ინიციატორები უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. დღეს შეხვედრა გვქონდა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, მან ყოველმხრივი დახმარება აღგვითქვა. დაგეგმილია ფაკულტეტებს შორის შვიდკაცა რაგბის შეჯიბრების გამართვა. უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მშენებარე საუნივერსიტეტო ქალაქში ერთი მოედანი აუცილებლად სარაგბო იქნება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ფრენბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. ქალები

# ჯიკო შვიდგზის ჩემპიონია


საქართველოს ჩემპიონი ჯიკო
ვახტანგ დათიაშვილის ფოტო

| ჯიკო-თბილისი | 3:0 |
|---|---|

25:14, 25:19, 25:23
სერია 2:1

ჯიკო (დიდი ჯიხაიში): 4.ნელი აირაპეტიანი, 5.მარიამ ყიფშიძე (11.თამთა დავითულიანი) 12.ირინა შენგელია (9.ირინა კახაძე), 2.ნინო მეტრეველი, 13.თამთა დანელია (ლიბერო), 3.თეა მძელური (6.ია შანიძე)

სპორტსკოლა (თბილისი): 10.თინათინ ჭაუჭიძე (11. ქრისტინე გვილავა), 9.იანა ზოდიმეჩენკო (3.ანა კვესაძე), 4.ელეონორა კაზარიანი, 13.დალი ალიბეგაშვილი (1.თამრიკო კორომშინაძე), 6.ნათია ბანძაძე (8.ნინო სტურუა), 2ნინო მუყასაშვილი (ლიბერო)

„ჯიკომ" ფინალური სერიის მეორე მატჩში იოლად დაამარცხა სპორტსკოლა და გუშინ გადამწყვეტ, საჩემპიონო ბრძოლაშიც შეძლო მეტოქის გატეხვა. დიდი ჯიხაიშის სპორტული დარბაზი გუშინ მთლიანად გადაჭედილი იყო.

ჯიხაიშელებმა პირველ სეტში მეტოქე ოდნავადაც არ მიიახლოვეს. განსაკუთრებით თავდამსხმელი **ირინა შენგელია** აქტიურობდა, რომელიც მოწოდებების დროსაც ძლიერი იყო და ბადესთანაც შესანიშნავად თამაშობდა - 25:14. მეორე სეტში თბილისელებმა თამაშს მოუმატეს. განსაკუთრებით **იანა ზოდიმეჩენკო** გამოირჩეოდა, რომლის ყუმბარისებურ ჩაწოდებებსაც ჯიხაიშელებმა ვერაფერი მოუხერხეს. მას კარგად აუბეს მხარი **დალი ალიბეგაშვილმა** და **ელეონორა კაზარიანმა,** თუმცა გაცილებით გამოცდილი ფრენბურთელებით დაკომპლექტებულ „ჯიკოსთან" ახალგაზრდები 19:25 დამარცხდნენ.

გადამწყვეტ სეტში თბილისელებმა ბოლო ძალები მოიკრიბეს და მასპინძლებს სიურპრიზიც შესთავაზეს. სპორტსკოლას კარგა ხანს მიჰყავდა ანგარიში, 8:3, 14:11, 20:17, სანამ მათ მიერ ლამაზად ჩაგდებული ბურთი ბადეზე ხელით შეხებისთვის „ჯიკოს" არ ჩაეთვალა. მსაჯის ამ გადაწყვეტილებამ თბილისელები ძალიან გაანაწყენა, თუმცა ემოციები მალევა დაცხრა და თამაში განახლდა. ამ ეპიზოდის შემდეგ სპორტსკოლა აირია და **ნელი აირაპეტიანისა** და ირინა შენგელიას ბრწყინვალე თამაშის შედეგად უკვე „ჯიკო" დაწინაურდა. სტუმრებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს, ზოდიმეჩენკომ ანგარიში გაათანაბრა 23:23. დადგა გადამწყვეტი მომენტი. აქ კი გამოცდილებამ თავისი ქნა, სტუმრები ემოციებს აჰყვნენ, ნერვიულობა დაიწყეს, „ჯიკომ" კი მატჩი მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე. ჯერ აირაპეტიანმა ჩააგდო, ბოლოს კი ირინა შენგელიამ დაჰკრა ძლიერად - 25:23.

„ჯიკომ" ზედიზედ მეშვიდეჯერ გაჩემპიონება კარგა ხანს იზეიმა, ჯიხაიშელები ოქროს მედლებით ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა** დააჯილდოვა. სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **ავთანდილ სტურუა** კი „ჯიკოს" ევროთასებისთვის დაფინანსებას დაპირდა.

**ნუგზარ მიქაძე** (ჯიკოს მთავარი მწვრთნელი): *„ძალიან ბედნიერები ვართ! ჩემპიონატის განმავლობაში სპორტსკოლა ხუთჯერ დავამარცხეთ და ერთხელ წავაგეთ. ეს შეხვედრა დამაჯერებლად ჩავატარეთ, ცოტა ვინერვიულეთ, თუმცა ამან მეშვიდეჯერ გაჩემპიონებაში ხელი ვერ შეგვიშალა."*

**დავით კოხრეიძე**
დიდი ჯიხაიშიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამბო. ევროპის ჩემპიონატი

# შემადგენლობა უძლიერესი, მიზანი მაქსიმალური

**28 აპრილიდან** 5 მაისის ჩათვლით, თბილისის სპორტის სასახლე სამბისტთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს, რომელშიც საქართველოდან ვაჟთა გუნდის გარდა, ქალთა ნაკრებიც გამოვა.

ამ მნიშვნელოვანი ტურნირის ჩატარებაში საქართველოს სამბოს ფედერაციას მხარში ამოუდგნენ დედაქალაქის მერია, სპორტის დეპარტამენტი და გენერალური სპონსორი - "სახალხო ბანკი". როგორც ფედერაციაში გვითხრეს, მათი დიდი თანადგომითა და დახმარებით ჩემპიონატისთვის მზადება შეუფერხებლად მიმდინარეობს.

სადღეისოდ ცნობილია, რომ ტურნირზე 22 ქვეყნის ნაკრები გვესტუმრება, თუმცა რაოდენობის გაზრდასაც ელოდებიან. ცხადია, ყველაზე დიდი დელეგაციით სამბოს მამამთავარი რუსები გვესტუმრებიან - 60 კაცით.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებში იჭიდავებენ **უშანგი კუზანაშვილი** (52), **ავთანდილ ცინცაძე** (57), **დავით სიმონიშვილი** (62), **ბექა იმერლიშვილი** (68), **კახა მამულაშვილი** (82), **მინდია ბოდაველი** (90), **მირიან პავლიაშვილი** (100) და **ზვიად ჩინჩალაძე** (მძიმე). როგორც ვხედავთ, ნაკრების თავკაცმა **ოლეგ იაძემ** უძლიერესი შემადგენლობა შეარჩია - თითქმის ყველა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მედალოსანია. ჩვენი ნაკრები უცხოეთში გამართული ტურნირების უცვლელი ფავორიტია და იქ მიდის მხოლოდ უმაღლესი მიზნებით და რა გასაკვირია, იაძე შინ თუ მაქსიმალურ შედეგს გეგმავს. ამიტომაც უხმო უძლიერეს შემადგენლობას. როგორც ვხედავთ, გუნდშია მსოფლიოს ორივე მოქმედი ჩემპიონი - კუზანაშვილი და პავლიაშვილი; აგრეთვე, ექს-ჩემპიონი ბოდაველი. თუმცა ნაკრებში ერთი დებიუტანტიცაა - ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი იმერლიშვილი, რომელმაც გუნდში მოსახვედრად უძნელესი კონკურენცია დასძლია. მისი კონკურენტები წონის ძველი ლიდერები - **გელა სანიკიძე** და **ნოდარ მჭედლიშვილი** იყვნენ.

ნაკრები ბოლო შეკრებას გლდანში, ოლიმპიური მზადების ცენტრში გადის. გუშინ საკონტროლო შეხვედრებიც გამართეს, დღეიდან კი შედარებით მსუბუქი დატვირთვებით გააგრძელებენ მზადებას. იაძე კმაყოფილია გუნდის მომზადებით, რაც გეგმის სრული დაცვით წარიმართა. საბედნიეროდ, ჯანმრთელობის მხრივ, მცირე პრობლემაც კი არავის აწუხებს.

როგორც გითხარით, ჩემპიონატში ჩვენი ქალებიც გამოვლენ. თუმცა, სამბოში ქალთა ჯგუფები არ გვყავს და აქ ძიუდოისტები იჭიდავებენ: **თინათინ ქულოსაშვილი** (60), **ნინო ოძელაშვილი** (80) და **ირინე ლეონიძე** (მძიმე). მონაწილეობა სხვებსაც სურდათ, მაგრამ ძიუდოისტ ქალთა ნაკრების თავკაცმა **გია თენაძემ** თავი შეიკავა.

**ირაკლი თავაძე**

## განცხადება

ბოლო ხანს განსაკუთრებით გაიზარდა მკითხველთა მოთხოვნა "ლელოზე", როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. ეს დასტურდება სატელეფონო ზარებით, გვთხოვენ, გავზარდოთ ტირაჟი.

განვმარტავთ, რომ მკითხველამდე გაზეთის მიტანის პროცესს თავად არეგულირებენ პრესის გავრცელების სააგენტოები, რედაქცია კი მათი შეკვეთის მიხედვით განსაზღვრავს ტირაჟს. სქემა ასეთია: მკითხველი - პრესის გამავრცელებელი - რედაქცია. ასე რომ, პრობლემის დარეგულირება პრესის გამავრცელებლებიდან უნდა დაიწყოს მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით.

"ლელოზე" ხელმოწერის მსურველებს კი გაცნობებთ, რომ გაზეთის გამოწერა შეუზღუდავია. შეგიძლიათ მიმართოთ პრესის გავრცელების ნებისმიერ სააგენტოს, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. ეს სააგენტოებია: "საქპრესა", "მაცნე", "ელვა-სერვისი", "ინფო-სერვისი", "პლანეტა-ფორტე", "პრეს-ექსპრესი", "ოლიმპი", პგს და ა. შ.

**ლელოს რედაქცია**

## ინტერვიუ გოგი თოფაძესთან

# პეკინში უკეთ, ვიდრე ათენში



გოგი თოფაძე

**ზაფხულის XXIX** ოლიმპიურ თამაშებამდე ოთხ თვეზე ნაკლები რჩება. დევიზი, „უკეთ, ვიდრე ათენში", - ძალაშია. დანარჩენს მომავალი გამოაჩენს" - ამბობს სეოკ-ის პრეზიდენტი გოგი თოფაძე. ვფიქრობთ, როდესაც პეკინის თამაშების მაჯისცემა უკვე კარგად იგრძნობა, ოლიმპიური კომიტეტის თავკაცთან ინტერვიუ მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს.

**- ჩვენი საუბრის თემა პეკინის ოლიმპიადა იქნება, თუმცა მანამდე ერთი შეკითხვა: სეოკ-ის ახალი პრეზიდენტი ბრძანდებით, როგორ გრძნობთ თავს ამ თანამდებობაზე?**

- მინდა კიდევ ერთხელ დიდი გულისტკივილი გამოვთქვა სეოკ-ის ყოფილი პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის მოულოდნელი გარდაცვალების გამო. მისი ამ ქვეყნიდან წასვლა არა მარტო ქართული სპორტის, არამედ მთლიანად ქვეყნის დანაკლისია.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ოლიმპიზმი, მისი პრინციპები და იდეალები, საერთოდ, სპორტი, ჩემთვის უცხო ხილი არ არის - წლების განმავლობაში ვიყავი სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი და სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის ხელმძღვანელი. თუმცა, ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელად ყოფნა სულ სხვა პასუხისმგებლობაა. იმასაც კარგად ვაცნობიერებ, თუ რა ვითარებაში მოხდა ჩემი ამ ორგანიზაციის თავკაცად მოსვლა. ჩემმა წინამორბედმა სეოკ-ისთვის და ქართული სპორტისთვის ბევრი გააკეთა. ბუნებრივია, მეც ენერგიით ვარ დამუხტული, სეოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნა სხვაგვარად წარმოუდგენელია.

**- არ შემიძლია არ გკითხოთ, ახლახან ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრის შესახებ. ალბათ, სპორტში არსებულ მდგომარეობაზეც გექნებოდათ საუბარი...**

- რა თქმა უნდა. შეხვედრის მნიშვნელოვანი ნაწილი ოლიმპიურ თემატიკას დავუთმეთ. ვალდებული ვიყავი, საქმის კურსში ჩამეყენებინა, რომ უკანასკნელ წლებში ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ყველაფერი კარგად მაინც არ არის. შეიძლება, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ბევრი რამ ვარდისფერი სათვალით მოჩანს, მაგრამ ხომ ვიცი, კიდევ უამრავი რამ არის გასაკეთებელი. სპორტს სჭირდება სერიოზული ინვესტიციები და მართვის სწორი კურსი, რათა ერთ ადგილზე არ გავიყინოთ და სახელმწიფოს მცდელობებიც უფრო ეფექტური იყოს.

**- რა რეაქცია ჰქონდა ბატონ პრეზიდენტს?**

- ყურადღებით მომისმინა. ვუთხარი, რომ პრაქტიკულად ჭიდაობისა და ძიუდოს გარდა სხვა სახეობებში ოლიმპიადაზე პერსპექტივა ძალზე დაბალია. ათობით მედლების კომპლექტი თამაშდება ცურვაში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ნიჩბოსნობაში, კრივში, ფარიკაობაში და ა.შ, სადაც, მედლებს ვინ ჩივის, საპრიზო ადგილებთან მიახლოებაც კი უტოპიურია ჩვენთვის. ამას ხომ გამოსწორება უნდა? ვითარება უნდა შეიცვალოს - სპორტი ხომ მსოფლიოში ქვეყნის პოზიტიურად წარმოჩენის კარგი საშუალებაა. პრეზიდენტმა დამაიმედა, რომ ყოველწლიურად 30-40 მილიონი ლარი გამოიყოფა სპორტული ბაზებისა და ცენტრების მოსაწყობად.

**- ამას წინათ სეოკ-სა და რამდენიმე მსხვილ კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება სპონსორობის თაობაზე...**

- მისასალმებელია, რომ სხვადასხვა ბიზნეს-სტრუქტურებმა გამოთქვეს სურვილი, ქართულ ოლიმპიურ მოძრაობას გვერდში დაუდგნენ. „სახალხო ბანკი", „ოლიმპიური ვარსკვლავი", „აქსისი", „ყაზბეგი" „სილქ-როუდ-ჯგუფი", „ჯი-პი-სი" - მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. თუ პეკინში წარმატებულად ვიასპარეზებთ, ამ კომპანიების წვლილი სოლიდური იქნება.

**- ოლიმპიადამდე 4 თვით ადრე ქართველ სპორტსმენთა აქტივში 28 ლიცენზიაა. თქვენი აზრით, დარჩენილ დროში კიდევ რამდენი საგზურის მოპოვებაა შესაძლებელი?**

- პეკინში, ალბათ, 32-35 სპორტსმენით ვიასპარეზებთ. ეს ოდნავ ნაკლებია, ვიდრე იყო ატლანტაში, სიდნეისა და ათენში. ლიცენზიათა მოპოვების თვალსაზრისით გადამწყვეტი 2007 წელი იყო. ძიუდოისტებმა შვიდივე წონით კატეგორიაში შეძლეს საგზურთა მოპოვება, მაგრამ თავისუფალ და ანტიკურ ჭიდაობაში ბოლო დრომდე არცთუ სახარბიელო სიტუაცია იყო. წინ სალიცენზიო ტურნირებია ჭიდაობაში - დარწმუნებული ვარ, რომ საოლიმპიადოდ ქართველ ფალავანთა რიცხვიც გაიზრდება.

**- სათამაშო სახეობებზე მინდა გკითხოთ. თუ პლაჟის ფრენბურთს არ ჩავთვლით, ბურთიან სახეობებში არც პეკინში ვიქნებით წარმოდგენილნი...**

- სამწუხაროდ, ეს ჩვენი აქილევსის ქუსლია. მერწმუნეთ, ამ კუთხით წინსვლა, როგორც მთლიანად ქართული სპორტისთვის, ისე სეოკ-ისთვისაც მნიშვნელოვანია და საამისოდ წინა ხელმძღვანელებიც ბევრს აკეთებდნენ. კარგად გვესმის, რომ სათამაშო სახეობებში ოლიმპიადაზე მოხვედრა რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. დიდი იმედი მქონდა, რომ ყინული საპეკინოდ გალღვებოდა და კალათბურთს, ფეხბურთსა თუ წყალბურთიდან ერთ-ერთში ამ ბარიერს გადავლახავდით. ამის პოტენციალი გვქონდა, მაგრამ კვლავ ხელი მოგვეცარა. ფაქტია, რომ რაღაცა დავაკელით, უფრო მეტი ყურადღება იყო საჭირო.

რაც შეეხება პლაჟის ფრენბურთს, აქ მეორე უკიდურესობასთან გვაქვს საქმე. მისასალმებელია, რომ ფრენბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ბევრი იმუშავა, ბრაზილიელები „გააქართველა", მაგრამ რა კეთდება სამომავლოდ? ვზრუნავთ კი ადგილობრივ კადრებზე? ვიქერთ თადარიგს ლონდონის თამაშებისთვის თუ კვლავ ნატურალიზებული უცხოელების იმედად უნდა ვიყოთ?

საერთოდ, სათამაშო სახეობათა განვითარების პრობლემატიკა ღრმა განსჯის თემაა, რადგან მათ საერთაშორისო დონემდე მიყვანას რამდენიმე კომპონენტის ერთობლიობა განაპირობებს. უპირველესად ინფრასტრუქტურა და ფინანსები, მაგრამ არა მხოლოდ ეს.

**- კითხვა სპორტის აკადემიასთან დაკავშირებით, რომლის ირგვლივაც ჩვენს ქვეყანაში ვითარება ბოლო პერიოდში კიდევ უფრო იძაბება...**

- შეიძლება ითქვას, რომ ეს უნიკალური უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელსაც ბრწყინვალე ისტორია აქვს და არაერთი შესანიშნავი სპორტსმენი, მწვრთნელი თუ სპორტული მოხელე აღუზრდია, დღეს აღარ არსებობს. არადა, მას სულ მალე დაარსებიდან 70 წელი უსრულდება და იგი ასეთ მოპყრობას არ იმსახურებს. კი ითქვა, რომ აკადემია არ გაუქმებულა და იგი სხვა უმაღლეს სასწავლებელს შეუერთდა, მაგრამ ეს ხომ არასერიოზულია? როგორ შეიძლება ცოდნის მიღება, როდესაც სტუდენტებს ლექციების შუალედში ქუჩა-ქუჩა უწევთ სირბილი? ჩემი აზრით, სპორტის აკადემიისთვის შენობა არაა მთავარი – გაუქმება და სტატუსის ჩამორთმევა იყო ხელისუფლების მიერ დაშვებული ერთ-ერთი უხეში შეცდომა და თუ მდგომარეობა უმოკლეს ხანში არ გამოსწორდა, სავალალო სიტუაციაში აღმოვჩნდებით.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში, ევროპის ბევრ სახელმწიფოში ანალოგიური სასწავლო დაწესებულებები არსებობს და აზრად არავის მოსვლია მათი შენობიდან გაყრა ან გაუქმება.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, წლეულს მისაღებ გამოცდებზე მხოლოდ 20 ადგილია გამოყოფილი. წარმოგიდგენიათ ეს რას ნიშნავს? ამან შეიძლება ქართული სპორტი კატასტროფამდე მიიყვანოს. თუ ეს ცუდი ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება, მაქსიმუმ ათ წელიწადში სრულ სიცარიელეში აღმოვჩნდებით.

**- მოდით, ორიოდ სიტყვა სპორტის სხვა სახეობებზეც ვთქვათ და ჭიდაობით დავიწყოთ..**

- კარგია, რომ ქართველი მოჭიდავეები წარმატებებით გვანებივრებენ. განსაკუთრებით შარშანდელ სეზონში უმთავრეს სპორტულ შეჯიბრებებში მოპოვებული 5 ოქროს მედალი (სხვა სინჯის მედლებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ) ნამდვილად საამაყოა, მაგრამ ამავე დროს თვითკმაყოფილებას არაფრის დიდებით არ უნდა მივეცეთ. ჭიდაობაში ლიცენზიების მოპოვების კუთხით მთლად სახარბიელო ვითარებაში ჯერ კიდევ არ ვართ.

**- სპორტის დანარჩენ სახეობებში არსებულ ვითარებაზე რა აზრის ხართ?**

- საქართველო ძლიერი მხოლოდ ჭიდაობაში არ ყოფილა. გავიხსენოთ რამდენი დიდებული სპორტსმენი გვყავდა ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ფარიკაობაში, ძალოსნობაში. დღეს კი რა სურათი გვაქვს? ტყვიის სროლაში უკვე მერამდენე წელია ნინო სალუქვაძის იმედად ვართ, პეკინში მისთვის მეექვსე ოლიმპიადა იქნება. სხვა გამოჩნდა ვინმე? ანდა სასტენდო სროლაში თამაზ იმნაიშვილის მერე წამოვიდა თაობა? კარგია, რომ ბატუტზე ხტომაში რუსუდან ხოფერიას შემდეგ, ლუბა გოლოვინას სახით ნიჭიერი გოგონა გამოჩნდა, მაგრამ ეს უფრო ინერციას ხომ არ ჰგავს, ვიდრე რეალურად მიზანმიმართულ მუშაობას? თუნდაც კრივში არსებული სიტუაცია შეიძლება მოსანონი იყოს? პირველად დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში, კინაღამ აღმოვჩნდით ისეთ სიტუაციაში, რომ პეკინში ამ სახეობაში წარმომადგენელი არ გვყოლოდა. ბეწვის ხიდზე გაიარეს ჩვენმა მოკრივეებმა და სასიხარულოა, რომ უკანასკნელ სალიცენზიო ტურნირზე ათენში ორი საგზურის მოპოვება და პეკინში მიმავალი მატარებლის ბოლო ვაგონზე შეხტომა მაინც მოხერხდა.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე ქართული სპორტი უფრო მრავალფეროვნად იყოს წარმოდგენილი.

**- პეკინის ოლიმპიადა სადაცაა კარს მოგვადგა. როგორ მიმდინარეობს ქართველ სპორტსმენთა მზადება ამ მეტად მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებისთვის?**

- ვერ ვიტყვი, რომ იდეალურად, თუმცა ამ მხრივ რაიმე სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორიც არ არის. ამ ეტაპზე, ცნობილი მოვლენების შემდეგ, თამაშებისათვის მზადებისა და მასში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო იღებს. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტთან ერთად შეთანხმებულად ვმუშაობთ. სპორტსმენები ემზადებიან ფედერაციების მიერ წარმოდგენილი გეგმის მიხედვით. ბუნებრივია, მზადება მიმდინარეობს ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებითაც.

**- თქვენი აზრით, რა შედეგებს უნდა ველოდოთ პეკინში?**

- სპორტში ხშირად ხდება სიურპრიზები და მოულოდნელი შედეგებიც არაერთხელ დაფიქსირებულა. სეოკ-ის დევიზის გამართლებაურთულესი იქნება, თუმცა იმის პოტენციალი, რომ პეკინში თავი არ შევირცხვინოთ, ნამდვილად გვაქვს. ვნახოთ, იმედია, ჩინეთიდან ისე არ მოგვიწევს დაბრუნება, რომ თუნდაც ერთხელ არ აჟღერდეს ჩვენი ქვეყნის ჰიმნი. დარწმუნებული ვარ, ოლიმპიური მედლები იქნება. ახლახან დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატებზე ჭიდაობაში და ძიუდოში ნაჩვენები შედეგები მართლაც რომ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გამოსვლა.

**- იქნება თუ არა პეკინში „ქართული სახლი"?**

- სასიხარულოა, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი დადებითად გადაწყდა და ჩინეთის დედაქალაქში ოლიმპიადის მსვლელობის პერიოდში იფუნქციონირებს „ქართული სახლი". ატლანტისა და ათენის თამაშების გამოცდილებიდან ვიცით, თუ რაოდენ სასურველია ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იყოს შენი ქვეყნის კუთხე, კულტურა, ისტორია, სპორტული აწმყო და წარსული. მოკლედ, „ქართული სახლი" ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი იქნება.

„ქართული სახლი" განთავსდება პეკინის პრესტიჟულ რაიონში, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში და მისი მეგზურდიასახლისი, ისევე როგორც წინა თამაშებზე, კვლავ ქალბატონი ნანა ალექსანდრია იქნება.

აქვე დავამატებ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან და ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად დიდი როლი ითამაშა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩვენი ქვეყნის საელჩომ, ყოფილმა ელჩმა ბატონმა მიხეილ უკლებამ.

**- თქვენ ახლახან დაბრუნდით პეკინიდან. რა იყო ჩინეთში ვიზიტის მიზანი?**

- ოლიმპიური თამაშების გახსნამდე ოთხი თვით ადრე პეკინში შეიკრიბა ეოკთა მსოფლიო ასოციაციის მე-16 გენერალური ასამბლეა. სამდღიან სხდომაზე, რა თქმა უნდა, გამორჩეული იყო მოახლოებული თამაშებისთვის მზადების საკითხები. დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ტიბეტის გარშემო შექმნილმა სიტუაციამ, სხვათა შორის, საუბარი თამაშების ბოიკოტირებაზეც იყო. ეს რადიკალური ფრთის მოთხოვნა გახლდათ, რომელიც ნამდვილად არ მოდიოდა შესაბამისობაში სპორტსმენთა ინტერესებთან. და კიდევ ერთმა საკითხმა გამოიწვია აჟიოტაჟი - სპორტის ზაფხულის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების ასოციაციის ხელმძღვანელობა, რომელსაც დენის ოსვალდი თავკაცობს – ღიად დაუპირისპირდა სოკსაც და ეოკ-თა მსოფლიო ასოციაციასაც. განხეთქილების მთავარი საგანი სატელევიზიო კონტრაქტებიდან შემოსავლების განაწილების პრინციპია.

გვქონდა შეხვედრები სოკ-ის, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელობასთან. ისინი სრულად არიან ინფორმირებულნი გასული წლის ბოლოს სეოკ-ში შექმნილი მდგომარეობით, იწონებენ იმ ნაბიჯებს, რომლებიც იქნა გადადგმული სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით, მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე ყველაფერი უნდა გაკეთდეს სპორტსმენთა პეკინის თამაშებისათვის მზადებისა და თამაშებზე წარმატებული გამოსვლის უზრუნველყოფის მიზნით.

**კახა ბერიძე**

კალათბურთი. ლეგიონი. კვირის მიმოხილვა

# ბორისას სამი სამიანი



ვლადიმერ ბორისა

გასულ კვირას, გიორგი ცინცაძეს ქართულ კალათბურთში ახალი ფურცლის გადაშლა შეეძლო, მაგრამ ევროთასის ნახევარფინალში ლატვიის "ბარონსთან" დამარცხდა... ასე და ამგვარად, მანუჩარ მარკოიშვილი ერთადერთი კალათბურთელია, რომელსაც დამოუკიდებელი ქართული კალათბურთის ისტორიაში ევროპის საკლუბო ტიტული მოუგია. მანუმ გერმანულ "მიტელდოიჩერთან" ერთად, 2004 წელს ფიბას თასის ფინალში ნაცვლიშვილ-სანიკიძის "დიჟონი" დაამარცხა.

## უკრაინა

მარკოიშვილის "კიევი" უკრაინის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ჩაერთო და "დნეპრთან" ორი საშინაო მატჩის გამართვაც მოასწრო. პირველში დედაქალაქელებმა 82:66 იმარჯვეს, ხოლო მეორეში სასურველი შედეგის მისაღწევად დიდი ოფლისღვრა მოუხდათ - 73:67.

არც ერთ შეხვედრაში ქართველ ფორვარდს მონაწილეობა არ მიუღია. ამის მიზეზი კოჭის ტარვმაა. მანუ ამჟამად ინდივიდუალურად ვარჯიშობს, თუმცა დატვირთვები ნელ-ნელა ემატება. ექიმების თქმით, მარკოიშვილს რეაბილიტაციისთვის დრო სჭირდება და "კიევს" "დნეპრის" წინააღმდეგობის გატეხვა ქართველის გარეშე მოუწევს. შეგახსენებთ, რომ სერია სამ მოგებამდეა და ნახევარფინალამდე კიეველებს ერთადერთი მოგებაღა აშორებთ. ექიმების ვარაუდით, მარკოიშვილი თანაგუნდელებს ნახევარფინალებისთვის შეუერთდება.

## საბერძნეთი

ორი დღის შუალედში საბერძნეთის პირველობაზე ორი მატჩი გამართა ვლადიმერ ბორისას "არისმა". იგი 24-ე ტურში აუტსაიდერ "ალმეკოს" ესტუმრა და შინ ორი ქულით დაბრუნდა - 70:59. აღსანიშნავია, რომ მატჩის საწყისი სამი პერიოდი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და არისელები ბოლო რაუნდს ერთქულიანი ჩამორჩენით (49:50) შეხვდნენ. მეოთხე პერიოდში სტუმრები გამოფხიზლდნენ და 10 წუთში 21:9 მოიგეს.

მწვრთნელმა **გორდონ ჰერბერტმა ვლადიმერ ბორისა** 11 წუთი ათამაშა. დროის ამ მცირე მონაკვეთში ქართველმა 2 ორქულიან ჩააგდო,1 სამიანი ააცილა და მატჩი 2 მოხსნითა და 1 ჩაჭრით დაასრულა. სტუმართაგან ყველაზე მეტი ქულა ამერიკელმა **დარიუს ვაშინგტონმა** ჩააგდო - 18.

25-ე ტურში ბორისამ პირადი რეკორდი დაამყარა - საბერძნეთში გადასვლის შემდეგ პირველად ჩააგდო 15 ქულა. "ეგალეოსთან" 94:67 მოგებულ მატჩში ვოვამ 25 წუთი ითამაშა და შეტევაში შესაშური სიზუსტე გამოიჩინა. მან 3 მცდელობიდან სამივე სამქულიანი გამოიყენა, ხოლო 5 ორქულიანიდან 3 ჩააგდო. 15 ქულის გარდა ბორისას აქტივში 1 მოხსნა და 2 ჩაჭრა დაფიქსირდა.

სხვათა შორის, ვოვას მსგავსად 15-15 ქულა **ტერიმ** და **რაითმაც** მიითვალეს, ხოლო სნაიპერი 17-ქულიანი მეისი გახდა.

"არისი" ამჟამად სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა (17 მოგება, 8 წაგება) და 4 მოგებით ჩამორჩება მეორეადგილოსან "ოლიმპიაკოსს".

## იტალია

თუ ბორისას "არისს" პლეი ოფში თამაში გარანტირებული აქვს, **ნიკა ცქიტიშვილის** "ტერამო" მომდევნო ეტაპზე გასასვლელ ხავსს კბილებით ებღაუჭება. ტერამოელები სადღეისოდ მეათე პოზიციაზე არიან და მერვეადგილოსან "კანტუს" ერთი მოგებით ჩამორჩებიან. "ტერამოს" - 15 გამარჯვების წილ 18 წაგება უწერია, "კანტუს" - 16 მოგება და 17 მარცხი. სერია A-ს რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ერთადერთი ტურიღა რჩება, რომელშიც "ტერამო" "ბენეტონს" სტუმრობს, ხოლო "კანტუ" - "რიეტის".

...მაგრამ, საკითხავი ისაა, ღირს თუ არა ცქიტიშვილის კლუბზე ასე დეტალურად საუბარი? საქმე ისაა, რომ მწვრთნელმა **მასიმო ბიანკიმ** ნიკა შემადგენლობიდან ამოაგდო და მის ნაცვლად ამერიკიდან ჩამოყვანილი ჰასანი ჩასვა. სკიტას გარეშე "ტერამომ" გასულ კვირას ორი მატჩი გამართა, პირველში ბოლონიის "ფორტეცასთან" 86:93 დამარცხდა, ხოლო მეორეში "პრემიატას" 88:85 აჯობა.

## ესპანეთი

ბოლო დროს ათამაშებული "კახასოლისთვის" მთავარი ამოცანა რეგულარული ჩემპიონატის ღირსეულად ჩამთავრებაა. სევილიელებს 12 მოგება (19 წაგება) უწერიათ და თუნდაც მეცხრე პოზიციაზე ასვლა ველარ ხელეწიფებათ - მეცხრეადგილოსან "გრან კანარიას" 15 გამარჯვება აქვს. პირველი ეტაპის დასრულებამდე ესპანეთშიც ერთი ტური რჩება.

სეზონის 33-ე მატჩში "კახასოლმა" "გრანადას" უმასპინძლა და 83:78 დაამარცხა. გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე პერიოდი, რომელიც სევილიელებმა 27:17 მოიგეს.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა **ტაირონ ელისმა** ეს შეხვედრაც სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, მაგრამ 10-ქულიან ბარიერს ვერ ასცდა - 20 წუთში 9 ქულა და ერთი შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

## ბოსნია

პოსტ-იუგოსლავიურ ქვეყნებში რეგულარული ეტაპის დასრულების შემდეგ პლეი ოფს წინ მეორე ჯგუფური ეტაპი უძღვის. ასეა ბოსნიაშიც, სადაც ქართველი ცენტრი **დავით უგრეხელიძე** თამაშობს. მისმა "ბორაჩ ნექტარმა" რეგულარული 13 მოგებითა და 11 წაგებით დაასრულა, რაც მეექვსე ადგილის დასაკავებლად საკმარისი აღმოჩნდა. მეორე ეტაპზე საუკეთესო რვეულმა განაგრძო ბრძოლა.

ბორაჩელებმა მეორე ეტაპზე სამი მატჩის გამართვა მოასწრეს, მაგრამ ვერც ერთი მოიგეს.



გიორგი ცინცაძე

პირველი შეხვედრა "ნექტარმა" "ჟრინსკის" მოედანზე ჩაატარა და ორი ქულის სხვაობით დათმო - 77:79. დავით უგრეხელიძემ მოედანზე 6 წუთი გაატარა, 1 ორქულიანი ჩააგდო და 2-2 ქულამოხსნა მიითვალა.

მეორე მატჩში "ბორაჩმა" რეგულარულის მომგებ "ბოსნას" უმასპინძლა და წინა თამაშის იდენტური ანგარიშით წააგო - 77:79. დავით უგრეხელიძე მოედანზე არ გამოჩენილა.

"ბორაჩ ნექტარის" მესამე მარცხი "სლობოდას" აქტივშია - 67:61. მართალია, ამ მატჩში დათო მოედანზე იყო, მაგრამ იგი უქულოდ დატოვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კრივი. ინტერვიუ თენგიზ მესხაძესთან

# ლიცენზიებიდან ოლიმპიურ მედლებამდე



თენგიზ მესხაძე

საქართველოს მოკრივეთა ეროვნულმა ნაკრებმა ბოლო ცდაზე შეძლო სანუკვარი მიზნის მიღწევა და ათენის სალიცენზიო ტურნირზე პეკინის ოლიმპიადის ორი საგზური მოიპოვა. ნიკოლოზ იზორიამ (57 კგ) და კახა ჟვანიამ (69) ათენში ფინალში გაიღწიეს, რაც პეკინის საგზურების დასაჯავშნად საკმარისი აღმოჩნდა. რა გზა გაიარა გუნდმა ლიზენციებამდე? რას უნდა ველოდეთ პეკინში? ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე გვესაუბრება ნაკრების მთავარი მწვრთნელი თენგიზ მესხაძე.

- პეკინის ოლიმპიადისთვის სამზადისი გუნდმა ავთანდილ შოშიაშვილის ხელში დაიწყო, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატამდე ცოტა ხნით ადრე წავიდა გუნდიდან ჯანმრთელობის გაუარესების გამო. სწორედ ამ დროს მთხოვეს ნაკრებში დაბრუნება. საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი, რადგან არ ვიცოდი, რა ხდებოდა გუნდში, როგორ ფორმაში იყვნენ მოკრივეები. კრივის ფედერაციისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ვუთხარი, რომ ასეთ მოკლე დროში საკუთარ თავზე ვერ ავიღებდი იმის პასუხისმგებლობას, რომ ლიცენზიებს აუცილებლად მოვიპოვებდით. თუმცა, მათ მითხრეს, რომ წინა ოლიმპიურ ციკლში ნაჩვენები შედეგების გამო, ჩემი იმედი ჰქონდათ, მენდობოდნენ და მეც დავთანხმდი გუნდში დაბრუნებაზე.

საერთოდ, მაქვს გუნდის მომზადების ორნაირი გეგმა – დაჩქარებული, ექვსთვიანი, ასეთი გამოუვალი სიტუაციებისთვის და ოთხწლიანი – ოლიმპიური ციკლიდან ციკლამდე. რაკიღა დრო არ ითმენდა, ექვსთვიან გეგმაზე მუშაობას შევუდექი. თავიდან ნაკრებმა გაიარა შეკრება ბორჯომში და იასპარეზა სომხეთის ტურნირზე, სადაც ბიჭები უშუალოდ საქმეში ვნახე.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ ვამბობდი, რომ 9 მოკრივისგან ერთ ლიცენზიას ველოდებოდი და რეალურად, მართლაც ასე მოხდა. ლევან ღვამიჩავას (64 კგ), ლიცენზია მსაჯებმა, ფაქტობრივად, ჯიბიდან ამოაცალეს.

შემდეგ იყო მეორე ცდა პესკარის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც გუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე უკეთ გამოვიდა. თუმცა, იქაც ულიცენზიოდ დავრჩით და ბედის ირონიით, კვლავ ღვამიჩავა დაგვიჩაგრეს ყველაზე მეტად.

ბიჭების გამოსვლაში კი იყო პროგრესი, მაგრამ გაჩნდა იმის საშიშროება, რომ დასკვნით – ათენის სალიცენზიო ტურნირზე მათ მსაჯობის გამო შეექმნებოდათ ფსიქოლოგიური პრობლემა. აღსანიშნავია, რომ იტალიაში მსაჯების არაობიექტურობამ უკიდურესად აღაშფოთა ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ახალკაცი. მან ოფიციალური პროტესტიდან დაწყებული და სიტყვიერი კამათით დამთავრებული, ყველაფერი იღონა, რომ ჩვენი სიმართლე დაემტკიცებინა. ახალკაცმა საქმის კურსში ჩააყენა სხვადასხვა ქვეყნების კრივის ფედერაციები, ევროპისა და საერთაშორისო კრივის ფედერაციები, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი...

სიმართლე გითხრათ, მე მდგომარეობის გამწვავებისკენ არ ვიხრებოდი – ათენში უფრო არ დაგვჩაგრონ-მეთქი, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ახალკაცის ნაბიჯი სწორი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ათენში საკმაოდ კარგად გვიმსაჯეს და შედეგიც მოვიდა.

**- რამდენად ელოდით ბოლო ტურნირზე ორ ლიცენზიას?**

- საერთოდ, დღევანდელ კრივში ისეთი სიტუაციაა, რომ რაიმე გარანტიას წინასწარ ვერ გასცემ. თუმცა, რეალურად ნამდვილად გვქონდა იმის პოტენციალი, რომ 1-2 ლიცენზია აგვეღო, რისიც მე პირადად, ნამდვილად მჯეროდა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ იზორიას 54-დან 57 კილოგრამში აწევა საკმაოდ სარისკო ნაბიჯი იყო. ისე მოხდა, რომ ბოლო შეკრებაზე ნიკამ წონაში მოიმატა და დაკლება აღარ მოინდომა. კობა ფხაკაძემაც თქვა, რომ 60 კილოგრამში გადასვლა სურდა. დავთანხმდით, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მათგან ლიცენზიების ნაკლებად გვჯეროდა. ორ კვირაში ახალ წონასთან შეგუება კრივში სახუმარო საქმე ნამდვილად არაა. თუმცა, ჩვენდა გასახარად, იზორიამაც და ფხაკაძემაც გამოცდილებისა და ოსტატობის ხარჯზე, მშვენივრად იჩხუბეს. ნიკამ პირველ ორთაბრძოლაში უძლიერეს ბულგარელ შაიდულინს მესამე რაუნდში მოუგო 20-ქულიანი უპირატესობით და მერე ფინალამდე ისე მივიდა, რომ მისი შემჩერებელი არავინ ჩანდა.

ძლიერად ჩაატარა ტურნირი ფხაკაძემაც, მაგრამ ლიცენზიამდე ერთადერთი შეხვედრის მოგება დააკლდა. კახა ჟვანიას მიმართაც ქების მეტი არაფერი მეთქმის. მან გადალახა ფსიქოლოგიური ბარიერი და დიდებულად იასპარეზა.

მთლიანობაში, მსოფლიო ჩემპიონატიდან ათენის ტურნირამდე ნაკრები დღითი-დღე უმატებდა. მიუხედავად შეზღუდული ვადებისა, მოსამზადებელმა გეგმამ თავისი შედეგი გამოიღო და პეკინის ოლიმპიადაზე ორი ქართველი მოკრივე წარდგება. საბერძნეთში უცხოელმა სპეციალისტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ პერსპექტიული, მზარდი გუნდი გვყავს.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო იმ სპეციალისტებს, რომლებიც მოსამზადებელ ეტაპზე ნაკრებს გვერდში ედგნენ – თემურ ოჩიგავას, ზაალ ჯავახაძეს, ელდარ გაბრიჩიძეს, ზურაბ დუნდუას, როლანდ კვაჭაძეს, ტარიელ ვერულაშვილსა და ავთანდილ შოშიაშვილს...

**- ორი ლიცენზია კარგია, მაგრამ პეკინის ოლიმპიადაზე რა გეგმები გაქვთ?**

- იქამდე გავივლით მოსამზადებელ ეტაპს. მაისში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი გვაქვს, სადაც იზორიასა და ჟვანიას დავასვენებთ. ამის შემდეგ, საქართველოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტებული გუნდი შეკრებას გაივლის ახალგაზრდულ ნაკრებთან, რომელიც ოქტომბერში მსოფლიო ჩემპიონატზე მიდის. თავის მხრივს, ეროვნულ ნაკრებს ოლიმპიადის მერე, ნოემბერში ევროპის ჩემპიონატი ელის, სადაც იზორიასა და ჟვანიასაც ვაჩხუბებთ.

ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ ბოლო ეტაპს გავივლით რუსეთის, ყაზახეთის ან უკრაინის ნაკრებთან ერთად – ეს საკითხი მოლაპარაკების პროცესშია.

რაც შეეხება უშუალოდ კითხვას, იზორია და ჟვანია აშკარად პროგრესს განიცდიან, შეჯიბრებიან შეჯიბრებამდე უმატებენ და ეს იმედს მაძლევს, რომ პეკინში ჩვენც გვექნება პრეტენზიები. ჩემი აზრით, ოლიმპიური მედლის მოპოვების შანსი არსებობს.

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი. ATP-ის ტური

# ფედერერის სათიხნარო შანსები



**მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა როჯერ ფედერერმა ამ სეზონში პირველი ტიტული ეშტორილის გრუნტზე მოიგო. ცნობილი საჩოგბურთო ექსპერტები შვეიცარიელის სათიხნარო პერსპექტივებსა და ახალ მწვრთნელთან, ხოსე იგუერასთან თანამშრომლობის პირველ შედეგებს აფასებენ.**

როლან გაროსთან დაკავშირებით **ფედერერს** ყოველთვის სერიოზული მიზნები ჰქონდა, წელს კი, ეს საკითხი განსაკუთრებულად დგას დღის წესრიგში. ეს ერთადერთი საფარია, რომელზეც პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელს არასოდეს დაუმტკიცებია თავისი პირველობა. თუ წინა წლებში, როჯერის ერთადერთ სათიხნარო პრობლემად **რაფაელ ნადალი** რჩებოდა, ამ სეზონში ეჭვებს თავად შვეიცარიელის თამაში იწვევს. ფედერერი ცდილობს გარდატეხის შეტანას - პირველად ჩავიდა ეშტორილში სათამაშოდ, ხოლო სათიხნარო სეზონის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, კონტრაქტი გააფორმა ახალ მწვრთნელთან, **ხოსე იგუერასთან**.

გრუნტზე ევროპული საგაზაფხულო სეზონი 8 კვირა გრძელდება და ამ მცირე დროში ჩატეულია წლის 4 მთავარი სათიხნარო ტურნირი - სამი მასტერსი და როლან გაროსი. ასეთი მჭიდრო გრაფიკის გამო, ადრე ფედერერი გასახურებელ ტურნირებზე უარს ამბობდა და პირდაპირ მონტე კარლოს მასტერსით იწყებდა სეზონის ამ ნაწილს. ამჯერად, როჯერმა გრაფიკში კორექტივები შეიტანა: *"ეშტორილში ჩემი ხილვა ბევრს გაუკვირდა, მაგრამ მე მგონია, რომ ეს ტურნირი საფრანგეთის ღია პირველობისთვის მზადებაში დიდ სამსახურს გამიწევს"*.

ფედერერის ახალი მწვრთნელის შესახებ უკვე ვწერდით. იგუარესი წარსულში ცნობილი ჩოგბურთელია, რეიტინგში მეექვსე ადგილს იკავებდა, ორჯერ იყო როლან გაროსის ნახევარფინალისტი (1982-83), გრუნტზე 16 ტურნირი აქვს მოგებული. არანაკლებ წარმატებულად განვითარდა მისი სამწვრთნელო კარიერა - სწორედ ესპანელის ხელმძღვანელობით გახდა 1989 წელს **მაიკლ ჩანგი** საფრანგეთის ღია პირველობის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი. **ჯიმ კურიემ** კი, ზედიზედ მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა და როლან გაროსი. იგუერასის სხვა მოწაფეები იყვნენ ესპანელები **სერხი ბრუგერა** (როლან გაროსის ორგზის ჩემპიონი) და **კარლოს მოია** (ერთხელ აქვს მოგებული როლან გაროსი). იგუარესს **პიტ სამპრასთან, ტოდ მარტინთან** და **გილერმო კორიასთანაც** უმუშავია.

ეშტორილის წინ, ფედერერმა ასე ახსნა თავისი არჩევანი: *"მწვრთნელს დიდი ხანია ვარჩევდი. და როცა ხოსე გამახსენდა, ვკითხე, იყო თუ არა ჩემთან თანამშრომლობით დაინტერესებული. ის დათანხმდა და ჩამოვიდა. სინამდვილეში, ის ჩემთან ერთად მთელი სეზონის განმავლობაში რამდენიმე კვირა იმუშავებს. ძირითადად ტურნირებს შორის შესვენებების დროს"*.

ყველა ხვდება, რომ იგუერასთან თანამშრომლობით, ფედერერი როლან გაროსს უმიზნებს, თუმცა როჯერს ესპანელი მწვრთნელი, მხოლოდ გრუნტის სპეციალისტის რანგში არ აინტერესებს: *"ასეა თუ ისე, შენ მუდმივად პროგრესისკენ მიისწრაფი. და თუ ეს პროგრესი საფრანგეთის ღია პირველობაზე მოხდება, ეს იდეალური ვარიანტი იქნება. მაგრამ ვფიქრობ, არასწორია მხოლოდ როლან გაროსზე კონცენტრირება. ჩვენ შორს მიმავალი გეგმები გვაქს"*.

თავის წინა მწვრთნელს, **ტონი რიოჩს** ფედერერი თითქმის ერთი წლის წინ დაცილდა. მიუხედავად იმისა, რომ იგუერასთან ოფიციალური კონტრაქტი არ გაფორმებულა, როჯერის ახალ მწვრთნელთან თანამშრომლობამ, საჩოგბურთო გამოცემებში არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია.

აი, რას წერს tennis.com-ის მიმომხილველი **პიტერ ბოდო**: *"ჩემი აზრით, იგუერასი ამ საქმეში ორი მიზეზით ჩაერთო - ეს არის ნადალი და ჯოკოვიჩი. ტონი რიოჩისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ამ ჭალარა ავსტრალიელს წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ უნდა მოეგო გრუნტზე ფედერერს ნადალისთვის. იგუერასს, როგორც თიხნარის სპეციალისტს, ამ მხრივ ილეთების გაცილებით დიდი არსენალი აქვს. შორეული პერსპექტივის გათვალისწინებით, ფედერერისთვის ჯოკოვიჩი გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ჰარდზე მისი თამაში თითქმის სრულყოფამდეა მისული. სამპრასთან და კურიესთან თანამშრომლობით კი, იგუერასს ამ საფარზეც გააჩნია გამოცდილება"*.

იგივე tennis.com-ის კიდევ ერთი ჟურნალისტი **ტომ პეროტა** კითხვას სვამს - *"აქვს თუ არა ფედერერს ისეთი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტისთვის იგუერასია საჭირო?"* და თავად პასუხობს მას: *"კი და არა. კი - იმიტომ, რომ არსებობენ ნადალი და ჯოკოვიჩი, ნიჭიერი ჩოგბურთელები, რომლებსაც ყველა პირობა აქვთ იმისთვის, რომ პირველი ჩოგანის ტიტული მოიპოვონ. არა - იმიტომ, რომ მის თამაშში პრობლემები არ შეიმჩნევა. თუ როჯერი ისევე ითამაშებს, როგორც შანხაიში მასტერსის თასზე, ძნელი წარმოსადგენია, რომ ნადალმა და ჯოკოვიჩმა მისი ხშირად დამარცხება შეძლონ"*.

მსოფლიო რეიტინგის ყოფილი ლიდერი **ჯიმ კურიე**, რომელიც ყველაზე ნაყოფიერად მუშაობდა იგუერასთან, ახლად შექმნილ ტანდემს პერსპექტიულს უწოდებს: *"ხოსეს კარგად ესმის ჩემპიონის აზროვნება და ხასიათი, იცის ტაქტიანად როგორ მიაწოდოს ინფორმაცია თავით შეგირდს. და რაც მთავარია, მოთამაშის მომზადებაში მას ბადალი არ ჰყავს. ჯერ ძნელია იმის თქმა, რამდენად შეეწყობიან ისინი ერთმანეთს, მაგრამ უდავოა, რომ ფედერერმა ყველაზე ლოგიკური არჩევანი გააკეთა"*.

მაშ ასე, იგუერასთან თანამშრომლობის პირველმა გამოცდილებამ, როჯერს სეზონში პირველი ტიტული მოუტანა, თანაც თიხნარზე. მაგრამ ეშტორილის ტურნირის მსვლელობისას წარმოქმნილმა გარკვეულმა პრობლემებმა დაგვანახა, რომ შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია. როჯერის პერსპექტივების შეფასებისას, პიტერ ბოდო სტატუს-ქვოს შენარჩუნებას წინასწარმეტყველებს: *"სავარაუდოდ, როლან გაროსზე ის ისევ ვერ შეძლებს ნადალის დამარცხებას. უიმბლდონზე კი, კვლავ ფავორიტი იქნება"*.

თავად როჯერი ჯერჯერობით, მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ კმაყოფილებას გამოთქვამს ეშტორილის ტურნირზე გამოსვლით და მომავალს ოპტიმისტურად აფასებს: *"უკანა ხაზზე ჩემი თამაში ყოველთვის დახვეწას მოითხოვდა, მაგრამ ის, თუ როგორ ვიგერიებდი ამ კვირის განმავლობაში მოკლე დარტყმებს, იმაზე მეტყველებს, რომ მართლაც უფრო თავდაჯერებული გავხდი. მატჩებში ჩავარდნა არ მქონია, და ესეც კარგის ნიშანია. ვიღაცამ შეიძლება ეს მოგება დიდ პროგრესად მონათლოს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. წინ უფრო სერიოზული მატჩები მელის. თუ წავაგებ, იმედგაცრუებული ვიქნები, მოგების შემთხვევაში კი, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება"*.

**გია თვალაბეიშვილი**

კალათბურთი. NBA. სეზონის ლაურეატები

# ჯინობილის პირველი ჯილდო



არგენტინელ **მანუ ჯინობილის** არც მასმედიის ყურადღება აკლია და არც რაიმე ტიტული, მაგრამ აღიარება ნებისმიერ დონეზე ფასობს. გუშინ, "სპურსის" ვარსკვლავი NBA-ის საუკეთესო მეექვსე მოთამაშედ დაასახელეს. ეს არგენტინელისთვის ამერიკაში გადაბარგების შემდეგ პირველი ინდივიდუალური ჯილდოა.

წელს, ტეხასური გრანდის ყველაზე სასარგებლო და სტაბილური წევრი არა **ტიმ დანკანი**, არამედ ჯინობილი იყო, რომელმაც 74 შეხვედრიდან, სასტარტოში მხოლოდ 23-ჯერ დაიწყო თამაში. არგენტინელის საშუალო მონაგარი 19.5 ქულა, 4.8 მოხსნა და 4.5 შედეგიანი გადაცემა გახლდათ.

მანუ თავისი გუნდის საუკეთესო მექულე 23 შეხვედრაში გახდა და იმ მატჩებში იგი მხოლოდ ცხრაჯერ იმყოფებოდა სასტარტოში.

გამოკითხვაში მონაწილეობა 124-მა მასმედიელმა მიიღო და ჯინობილიმ 123 პირველი ადგილი დაიბევა, რამაც ჯამში 615 ქულა შეადგინა. ამ ტიტულის შარშანდელმა მფლობელმა, "ფინიქსის" ბრაზილიელმა მსროლელმა, **ლეანდრო ბარბოსამ** 283 ქულა დაიმსახურა, ხოლო მესამე ადგილზე კიდევ ერთი გამოცდილი უკანახაზელი, "დალასის" მესამე მექულე **ჯეისონ ტერი** (44) გავიდა.

1990 წლის მერე, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ამ პრიზის მფლობელი თავისი გუნდის საუკეთესო მექულე გამხდარიყოს. მაშინ, მსგავსი შედეგი "მილუოკის" ძალიან ძლიერმა წევრმა, **რიკი პირსმა** დააფიქსირა, რომელიც იმ სეზონში საშუალოდ 23.1 ქულას უყრიდა თავს.

**ზურაბ თალაკვაძე**

NBA. მილუოკი ბაქსი

# სქაილზი მილუოკიში დაინიშნა



შემდეგი სეზონიდან და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში "მილუოკი ბაქსს" **სკოტ სქაილზი** უხელმძღვანელებს, სპეციალისტი, რომელსაც ლიგის ისტორიაში თამაშისას, ერთ მატჩში ყველაზე მეტი შედეგიანი გადაცემა აქვს დაგროვილი.

სქაილზი ბოლო პერიოდში, ერთ-ერთ კომერციულ ტელეარხზე მიმომხილველად მუშაობდა, მანამდე კი, "ჩიკაგოსა" და "ფინიქსში" მთავარ მწვრთნელად მოღვაწეობდა. სკოტი "მილუოკიში" თავისი მეგობრის, **ლარი კრისტოვიაკის** ადგილს დაიკავებს.

"მილუოკი", რომელსაც "ბოსტონის", "დეტროიტისა" და "ტორონტოს" შემდეგ, აღმოსავლეთში საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს, ამ რეგულარულის ერთ-ერთ უმთავრეს იმედგაცრუებად იქცა. გუნდმა მხოლოდ 26 შეხვედრის მოგება მოახერხა და ცხადია, უპლეიოფოდ დარჩა.

*"მე არ ვარ ჯადოქარი, რომ ახალ თანამდებობაზე თავიდანვე სასწაული მოვახდინო. ამ გუნდს საკმაოდ ბევრი ძლიერი მოთამაშე ჰყავს და ვეცდები, ისინი ერთ მუშტად შევკრა"*, - ამბობს სქაილზი, რომელიც წლიურად 3.15 მილიონ დოლარს მიიღებს.

44 წლის სქაილზს, "მილუოკის" წინა ორ დამრიგებელზე, ზემოთნახსენებ კრისტოვიაკსა და **ტერი სტოტსზე** გაცილებით დიდი სამწვრთნელო გამოცდილება აქვს. "ფინიქსში" მან სამი სეზონი გაატარა. "ჩიკაგოში" მუშაობისას კი, ოთხ სეზონში სამჯერ გაიყვანა გუნდი პლეი ოფში, მაგრამ ამ რეგულარულში გუნდმა ვერ აჩვენა მოსალოდნელი შედეგი და დეკემბერში, "ბულზის" ბოსებმა სქაილზი თანამდებობიდან გაუშვეს.

**ზურაბ თალაკვაძე**

## NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**კლივლენდი-ვაშინგტონი 116:86**

27:22, 26:18, 33:23, 30:23

**კ:** ლ. ჯეიმსი (30+12 პასი+9 მოხსნა), ილგაუსკასი (16+9 მოხსნა), შჩერბიაკი (15), გიბსონი (13).

**ვ:** სონგაილა (12), კ. ბატლერი (12), სტივენსონი (12), ჰეივუდი (10), მეისონი (10).

**სერია: 2:0**

**დასავლეთი**

**ჰიუსტონი-იუტა 84:90**

17:26, 24:21, 26:22, 17:21

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (23+13 პასი+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბ. ჯექსონი (18), სკოლა (15), ბრუქსი (11), ჩ. ჰეიესი (10 მოხსნა).

**იუტა:** დ. უილიამსი (22), ოქური (16+16 მოხსნა), ბუზერი (13), რ. ბრიუერი (10).

**სერია: 0:2**

## ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/8 ფინალი

**მონრეალი (1)-ბოსტონი (8) 5:0**

1:0, 2:0, 2:0

**გოლები:** 1:0 კომისარეკი-1 (კოვალიოვი-3, ს. კოივუ-3), 2:0 შტრაიტი-1 (ლაპიერი-2, კოვალიოვი-4), 3:0 ა. კოსტიცინი-2 (ს. კოსტიცინი-3, ჰამრლიკი-2), 4:0 კოსტიცინი-3 (ბრისბუა-4), 5:0 ს. კოსტიცინი-3 (პლეკანეცი-3, ა. კოსტიცინი-2).

**სერია 4:3**

**ფილადელფ (6)-ვაშინგტ (3) 2:4**

1:0, 1:2, 0:2

1:0 მ. რიჩარდსი-2 (კ. ტიმონენი-2, ლუპული-1), 2:0 ბრიერი-6 (პროსპალი-6, უმბურგერი-1), 2:1 ბექსტრიომი-3 (სიომინი-5, ლეიჩი-3), 2:2 სიომინი-3 (ერსკინი-2), 2:3 ოვეჩკინი-2 (ვიქ. კოზლოვი-2), 4:2 ოვეჩკინი-3 (ლეიჩი-4, ფიოდოროვი-3).

**სერია 3:3**

## ტურნირები

**ATP**

**Masters Series**

მონტე კარლო (მონაკო). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 2 270 000 ევრო

**I წრე**

**იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-პოლ ანრი მატიო (საფ, 9) 6:4, 2:6, 6:3; **სემ კუერი (აშშ)**-კარლოს მოია (ესპ, 10) 6:3, 1:6, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 13)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 6:7 (5), 6:1, 6:1; **ენდი მარეი (აშშ, 14)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 7:6 (5), 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 16)**-ხოსე აკასუსო (არგ) 7:6 (4), 6:3; **ოლივიე როხუსი (ბელ)**-ტომი ჰაასი (გერ) 6:1, 3:0 ჰაასის უარი; **ფილიპო ვოლანდრი (იტა)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:2, 6:3; **კრისტოფ ვლიეგენი (ბელ)**-ფაბრის სანტორო (საფ) 7:6 (4), 6:1; **ნიკოლას ლაპენტი (ეკვ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 7:6 (3), 6:7 (2), 6:4; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-გუსტავო კუერტენი (ბრა) 6:1, 6:2; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 6:4, 6:7 (6), 6:3; **მარიო ანჩიჩი (ხორ)**-ივო მინარი (ხორ) 6:3, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 7:5, 6:4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

ფორმულა 1. ვარსკვლავი

## ბარიკელო რეკორდზე მიდის

თურქეთის დიდი პრიზი სარეკორდო, 257-ე რბოლა იქნება ბრაზილიელ ავტომრბოლ **რუბენს ბარიკელოსთვის**, თუმცა ფორმულა ერთის ოფიციალური ცნობარი, რომელიც ახალი სეზონის წინ გამოქვეყნდა, გვაუწყებს, რომ "ჰონდას" პილოტისთვის ეს მხოლოდ 255-ე რბოლა იქნება.

*"მიუხედავად იმისა, რომ ცნობარის მონაცემები ჩვენსას არ ემთხვევა, რუბენსი სარეკორდო რბოლას ისტანბულში ჩაატარებს"*, - ნათქვამია "ჰონდას" ოფიციალურ განცხადებაში.

რუბინიო ახლა 35 წლისაა და ის დიდი პრიზების ცირკში მე-16 სეზონს ატარებს. ფორმულა ერთში მისი დებიუტი 1993 წლის სეზონში, სამხრეთ აფრიკის დიდ პრიზზე შედგა, სადაც მან "ჯორდანის" ბოლიდით იასპარეზა. დღეისთვის რეკორდი იტალიელ **რიკარდო პატრეზეს** ეკუთვნის, ვინც 1977-1993 წლებში 256 ეტაპზე იასპარეზა.

ფორმულა ერთის ოფიციალურ ცნობარში არაა შეტანილი 1994 წლის სეზონის ტრაგიკული რბოლა – სან მარინოს დიდი პრიზი, რომლის თავისუფალ პრაქტიკებზეც ბარიკელო სერიოზულ ავარიაში მოყვა, რის გამოც, რბოლის სტარტზე გამოსვლა ვერ შეძლო. შეგახსენებთ, რომ იმ ავბედითმა ეტაპმა ლეგენდარული ბრაზილიელის, **აირტონ სენას** სიცოცხლე შეიწირა, მანამდე კი სასიკვდილოდ დაიმტვრა ავსტრიელი **როლანდ რატცენბერგერი**.

იმავე ცნობარში ასევე არაა შეტანილი 2002 წლის სეზონის ორი რბოლა – ესპანეთისა და საფრანგეთის დიდი პრიზები, რომლებზეც რუბინიომ კვალიფიკაცია კი გაიარა, მაგრამ რბოლებში მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან სტარტამდევე შეექმნა პრობლემები. სამაგიეროდ, ბრაზილიელის სტატისტიკას არ დაჰკლებია 1998 წლის ბელგიის დიდი პრიზი, რომლის პირველ წრეზეც ბრაზილიელი (მაშინ ის "ფერარის" ბოლიდით ასპარეზობდა) ავარიაში მოჰყვა და რბოლის განახლების შემდეგ, მასში მონაწილეობა არ მიუღია.

კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ "ჰონდას" ოფიციალურ წინასასეზონო ცნობარში, სეზონის დაწყებამდე ბარიკელოს ანგარიშზე 249 ეტაპი (ერთით ნაკლები, ვიდრე ფორმულა ერთის ცნობარში) ეწერა.

არანაკლებ სადავოა პატრეზეს სტატისტიკაც. მის 256 სტარტში შეტანილია ბელგიის 1981 წლის დიდი პრიზი (მაშინ ის "ეროუზის" პილოტი იყო), რომლის სტარტზე მომხდარი ინციდენტის შემდეგაც, პატრეზეს რესტარტში მონაწილეობა ალარ მიუღია. სტარტზე პატრეზეს ძრავი ჩაუქვრა, გაჩერებულ მანქანას კი უკნიდან მისი თანაგუნდელი, იტალიელი **ზიგფრიდ შტორის** "ეროუზი" შეასკდა.

ფორმულა ერთის ოფიციალურ სტატისტიკოს **ჟაკ დეშენეს** თქმით, ავტომრბოლს რბოლაში მონაწილეობა მაშინ ეთვლება, თუ ის სასტარტო რიგში დგას იმ დროს, როდესაც ტაბლოზე სასტარტო მწვანე შუქი ინთება. და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, სტარტზე მომხდარი ავარიის გამო, რბოლა შეწყდება თუ არა.

ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე, ბარიკელომ რეპორტიორებს განუცხადა, რომ პატრეზეს რეკორდის გაუმჯობესებას გეგმავს და იქვე დასძინა, რომ არც სხვა ოცნებებზე აპირებს ხელის აღებას.

*"ბავშვობაში, როდესაც ფორმულა ერთის რბოლებს "ინტერლაგუშზე" ვესწრებოდი, ყოველთვის ვოცნებობდი იმაზე, რომ ოდესმე ამ რბოლებში მიმელო მონაწილეობა და გამარჯვებული ვყოფილიყავი. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ოდსმე ფორმულა ერთის ისტორიაში, ყველაზე მეტ რბოლაში მივიღებდი მონაწილეობას"*, - ამბობს ბარიკელო, ვისთვისაც ყველაზე წარმატებული "ფერარიში" გატარებული სეზონები იყო, როცა ცხრა ეტაპი მოიგო (მეტი არც მოუგია), კვარცხლბეკზე 55-ჯერ (სულ კარიერაში 61-ჯერ) ავიდა, პოულ პოზიცია კი 11-ჯერ (სულ კარიერაში 13-ჯერ) მოიპოვა. თუმცა 2006 წლის ბრაზილიის დიდი პრიზის შემდეგ ქულაც კი არ აუღია. დაკიდევ, "ჰონდასთან" მიმდინარე კონტრაქტი მას ამ სეზონის ბოლოს ეწურება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი




# TV სპორტი

**23 აპრილი. ოთხშაბათი**

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
14:05 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ლივერპული-ჩელსი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
16:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:50 საფეხბურთო პროგრამა.
18:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ლივერპული-ჩელსი.
22:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
00:45 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:45 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:30 სპორტდოსიე.
07:56 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
08:25 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
08:54 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:51 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ.
11:40 ფეხბურთი. Barca TV.
11:47 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ლივერპული-ჩელსი.
13:42 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. I წრე. მონტე კარლო.
18:15 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი.
20:10 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. მიმოხილვა.
20:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:55 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
21:25 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
21:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი. მატჩის წინ.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
01:07 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-ინტერი.
02:52 ფეხბურთი. Barca TV.
03:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი (LIVE).
05:51 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნაიტედი.

**EUROSPORT**

10:30 რალი-რეიდი. III ეტაპი.
10:45 ექსტრემალური სპორტი.
11:15 მულტისპორტი.
11:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ფლეშ-ვალონი. ბელგია.
18:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 მულტისპორტი.
20:25 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
20:30 გოლფი. PGA-ს ტური.
21:30 გოლფი. ევროპის ტური.
22:00 გოლფ-კლუბი.
22:05 აფროსნობა. ბრაზილიის თასი.
22:35 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
22:40 მულტისპორტი.
22:45 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები.
02:00 რალი-რეიდი. III ეტაპი.
02:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ხეტაფე-ბაიერნი.
13:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. კოლამბუსი-ფილადელფია.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-პორტლენდი.
17:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ეინდჰოვენი-ფიორენტინა.
18:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ხეტაფე-ბაიერნი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
21:55 სერფინგი. ნორვეგია.
22:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი.
00:00 კალათბურთი. საბერძნეთის თასი. ოლიმპიაკოსი-რეტიმნო.
01:00 კალათბურთი. საბერძნეთის თასი. პანათინაიკოსი-პანელინიოსი.
02:15 ახალი ამბები.

მძლეოსნობა. დიდი მარათონების სერია

## ბოსტონში აფრიკელები გაბატონდნენ

აფრიკელი მორბენლების ტრიუმფით დასრულდა ბოსტონის პრესტიჟული მარათონი, რომლის მამაკაცთა გარბენშიც პირველობა არავის დაუთმო კენიელმა **რობერტ ჩერუიოტმა**, ქალთა შორის კი ყველაზე სწრაფი და გამძლე ეთიოპიელი **დირე ტუნე** გამოდგა. და თუ ჩერუიოტისთვის ეს მეოთხე ბოსტონური ტრიუმფია, ტუნემ დიდ ტურნირზე გამარჯვებას პირველად გაუსინჯა გემო.

ჩერუიოტს ბოსტონური მარათონი 2003, 2006 და 2007 წლებშიც აქვს მოგებული. მთელი დისტანციის განმავლობაში, მას ლიდერობა არავისთვის დაუთმია და საბოლოოდ, ფინიშთანაც ეულად მიირბინა. მეორე ადგილი კი მაროკოელმა **აბდერრაჰიმ ბურამდანემ** დაიკავა.

29 წლის კენიელმა გადამწყვეტი შეტევა სტარტიდან საათნახევრის შემდეგ წამოიწყო და ადვილად ჩამოიტოვა მდევართა შეთხელებული ჯგუფი. ამჯერად, ბოსტონური ტრასის რეკორდამდე, რომელიც მასვე ორი წლის წინ დაუმყარებია, სულ რაღაც 32 წამი დააკლდა. გამარჯვებულის შედეგია ორი საათი, შვიდი წუთი და 46 წამი.

*"ძალიან ძნელი გარბენი იყო. ბოსტონის მარათონზე სირბილი იოლი არასოდეს ყოფილა, რაც ტრასის სირთულის ბრალია. უამრავი აღმართის გავლა გვიწევს, რასაც სხვა ქალაქების მარათონებზე ვერ შეხვდებით"*, - განაცხადა ჩერუიოტმა, ვინც გამარჯვებისთვის 150 000 დოლარი დაიმსახურა (შარშან ბოსტონშივე გამარჯვებისთვის მან "მხოლოდ" 100 000 დოლარი მიიღო). რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბოსტონური ტრიუმფი საგრძნობლად ზრდის პეკინის ოლიმპიადაზე მისი მოხვედრის შანსებს. მით უმეტეს, რომ ოლიმპიადაზე გამოსვლისგან თავის შეკავებას აპირებს მისი სახელოვანი თანამემამულე **პოლ ტერგატი**.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 18 რბოლაში, მსოფლიოს უძველესი მარათონი (ის 112-ედ ჩატარდა) კენიელმა მორბენლებმა 16-ჯერ მოიგეს. ჩერუიოტი კი პირველი კენიელია, ვინც ბოსტონში ოთხჯერ გამარჯვება მოახერხა.

გაცილებით საინტერესო გამოდგა ქალთა მარათონი, რომლის ბოლო მონაკვეთზეც ტუნს უშელავათო მეტოქეობა გაუწია რუსმა **ალევტინა ბიკტიმიროვამ**. ბოლო მეტრებზე ორივემ გვერდიგვერდ ირბინა და საბოლოოდ, ეთიოპიელმა თავის მეტოქეს ფინიშთან ერთი ფეხით მიასწრო.

ნაფინიშევს ბიკტიმიროვამ განაცხადა, რომ ბოლო მეტრებზე, მეტოქის გადასასწრებლად ენერგია ალარ ეყო. *"გამარჯვება ძალიან მინდოდა, ბოლომდე ვიბრძოლე, მაგრამ მიზნის მისაღწევად ძალა არ მეყო"*, - განაცხადა რუსმა.

აღსანიშნავია, რომ ბოსტონში წამყვან ამერიკელ ქალ მარათონელებს არ უასპარეზიათ. მასპინძელთაგან საუკეთესო შედეგი **ნიკოლას არსინიაგას** ჰქონდა, რომელმაც მამაკაცებს შორის მეათე ადგილი დაიკავა. ცნობისთვის, ბოლო ამერიკელი, ვინც ბოსტონის მარათონის მოგება შეძლო, **გრეგ მაიერია**, რომელმაც გამარჯვება 1983 წელს იზეიმა.

რაც შეეხებათ ამერიკელ ქალ მარათონელებს, მათ კვირას ბოსტონშივე, ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე იასპარეზეს, რომელზეც იმ სამი ოლიმპიელი მორბენლის ვინაობა გაირკვა, რომლებიც ქვეყნის დროშით პეკინში იასპარეზებენ. მათ შორისაა **დიინა კასტორიც**, ვისაც ათენის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
| --- | --- |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ვულვზი-კარდიფი | 3:0 |
| **I ლიგა** | |
| როვერსი-სუინდონი | 0:1 |
| **II ლიგა** | |
| ჰერეფორდი-რექსჰემი | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| ალდერშოტი-უეიმაუთი | 0:0 |
| კემბრიჯი-ტორკი | 2:0 |
| ქროული-ჰალიფაქსი | 0:4 |
| დროილსდენი-უოკინგი | 1:1 |
| ექსეტერი-სტეფორდი | 4:1 |
| ფორესტ გრინი-გრავესენდი | 2:2 |
| გრეისი-სალისბერი | 1:1 |
| კიდერმინსტერი-ბარტონი | 4:1 |
| ოქსფორდი-რაშდენი | 1:0 |
| სტევენეიჯი-ნორთვიჩი | 1:2 |
| იორკი-ფარსლი | 4:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ლიუბეკი-ფორტუნა | 3:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბასტია-ამიენი | 1:0 |
| დიჟონი-ტრუა | 2:2 |
| ჰავრი-სედანი | 0:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ურალი-როსტოვი | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **პლეიოფი** | |
| იგლზი-დენ ჰააგი | 1:1 |
| ტოპ ოსი-ჰელმონდი | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სირიუსი-მიალბიუ | 1:1 |
| ვასბი-ფალკენბერგი | 2:1 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| ტრნავა-კოშიცე | 3:1 |
| **უკრაინა** | |
| ზარია-შახტარი | 1:4 |
| **პოლონეთის თასი** | |
| ლეგია-ზაგლებე | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| პანდური-არადი | 2:1 |
| სტიაუა-ტიმიშოარა | 1:1 |

| ჩოგბურთი | |
| --- | --- |
| **ATP. მონტე კარლო** | |
| ანდრეევი-ტურსუნოვი | 7:5, 6:3 |
| გროსჟანი-კარლოვიჩი | 6:4, 4:6, 1:6 |
| რობრედო-ვავრინკა | 6:4, 7:5 |
| საფინი-მალისე | 6:3, 6:2 |
| მონაკო-ლი | 6:0, 7:5 |
| კალერი-სეპი | 4:6, 3:6 |
| ჯოკოვიჩი-ლუბიჩიჩი | 6:3, 6:3 |
| სიმონი-რამირეს იდალგო | 1:6, 1:6 |
| ალმაგრო-ლისნარი | 6:4, 6:4 |
| მარეი-ვოლანდრი | 6:4, 6:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნატალი პინკჰემი ზღვაზე ბიკინის დეფილეს აწყობს

ბრიტანული ტელეარხის სპორტული პროგრამების წამყვანი ნატალი პინკჰემი კვლავ გამოჩნდა ბრიტანული გაზეთების ფურცლებზე. თავის დროზე ის ITV -ის ტელეგადაცემაში "ცეკვა ვარსკვლავებთან", რუს ფიგურულადმოციგურავე ანდრეი ლიპანოვთან ერთად გამოვიდა, სადაც მეორე ადგილზე გავიდა, რისი წყალობითაც ტელე და რადიონამყვანის ადგილი მოიპოვა. მიუხედავად ამ წარმატებისა, იგი კვლავ აპირებს თავისი სპორტული უნარი სხვა სახეობებშიც გამოცადოს. მან ყინულზე ცეკვის შემდეგ თავისი შესაძლებლობები დუბაიში, ზღვაზე იოგის ჩვენებით, ბიკინის დეფილეზე გვიჩვენა. ჰოდა, პაპარაცებმაც არ დააყოვნეს...

თუმცა მისი სახე გაცილებით ადრე მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. იგი 22 წლის იყო, როდესაც გაიცნო ინგლისის რაგბის ნაკრების მოთამაშე მეთ დოუსონი. მან დოუსონთან მთელი თავისი სტუდენტური წლები გაატარა. მეთმა მას გააცნო პრინცი ჰარი. ისინი ისე დაახლოვდნენ, რომ მათი ურთიერთობა პრინცის კიდევ ერთ სკანდალად იქცა. სწორედ ამის გამო შეარქვეს მას "ბინძური პრინცი". ახალგაზრდებმა 2004 წელს ბოტსვანაში არდადეგები ერთად გაატარეს. მაშინდელი პრესა გვამცნობდა, რომ პრინცს ნატალი სიგიჟემდე შეუყვარდა. პაპარაცებმა გამოაქვეყნეს ფოტოები, სადაც ჰარი ნატალის მკერდს შემოხვეული კოცნიდა. პინკჰემმა სასამართლო პროცესი მოიგო პრესის წინააღმდეგ. რადგან მას მოპარეს ეს ფოტო და მოგვიანებით გამოაქვეყნეს. გარდა ამისა, იგი კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ სექსუალურ ურთიერთობას პრინცთან.

ამჟამად 29 წლის ნატალი დუბაიში კეროლაინ გრეენვუდთან ერთად იმყოფება. კეროლაინი რაგბის ლეგენდის, ვილ გრინვუდის მეუღლეა, რომელიც ნატალის ყოფილ ბოიფრენდ მეთ დოუსონთან ერთად თამაშობდა 2003 წლის რაგბის მსოფლიო ჩემპიონატზე. ორივე ქალბატონი 250 ფუნტ სტერლინგიან Grosvenor House hotel-ში ატარებს თავის შვებულებას.

ნოდარ დუგლაძე


ნატალი პინკჰემი


ნატალი პინკჰემი აწყობს ბიკინის დეფილეს


პრინცი ჰარი და ნატალი


ნატალი რუს მოციგურავე ანდრეი ლიპანოვთან